ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

ამ კვირაში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 2804 მკითხველი. მათ შორის, 61% აშშ-დან, 28% – საქართველოდან.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №231 (3632) შაბათი, 26 აგვისტო, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

### პრეზიდენტი

## „ჩვენს მიერ გასავლელი 2000 მილი ვერ შეედრება თქვენი მეტად საინტერესო ცხოვრების მანძილზე განვლილ გზას“



ამ სიტყვებით მიმართა მოტომრბოლელთა საქველმოქმედო – ჰუმანური აქციის – „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ერთ-ერთმა უცხოელმა მონაწილემ საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს 25 აგვისტოს გამართულ შეხვედრაზე. მსოფლიოს 8 ქვეყნის 26 მოტომრბოლელისაგან შემდგარმა ჯგუფმა, 22 აგვისტოს ბაქოში, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის მიერ გზის დალოცვის შემდეგ აიღო სტარტი და საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთისაკენ მიემართება. „საუკუნის პროექტის“ მხარდამჭერი აქციის მონაწილეებს თან მიაქვთ ბაქოდან სიმბოლურად წამოღებული ერთი ბარელი ნავთი, რომელსაც საბოლოო პუნქტში – ჯეიჰანში ჩაიტანენ.

ის. მე-2 გვ.

### სახელმწიფო მინისტრი

## საჰაერო დერეფნის უსაფრთხოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს



მსოფლიო ბაზარზე საავიაციო და საზღვაო სანავიგაციო სისტემების წარმოების ერთ-ერთი ლიდერის – ამერიკული კომპანია „ნორტროპ გრუმანისა“ და „საქაერონავიგაციას“ შორის ეფექტიანი საქმიანობის შედეგია, რომ დღეს საქართველოს საჰაერო სივრცე და საზღვარი მოდერნიზებული საჰაერო ნავიგაციის სისტემის მეშვეობით სრულფასოვნად კონტროლდება.

25 აგვისტოს საქართველოში ვიზიტად მყოფი „ნორტროპ გრუმანის“ ვიცე-პრეზიდენტი ჯონ გლასმანი და ფინანსური დირექტორი ჯიმ კოკსი, საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ნიჟარაძე სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა მიიღო.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ამჟამად მხარეებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება თანამშრომლობის მეორე ეტაპის განსახორციელებლად, კერძოდ, ქუთაისის აეროპორტში პირველადი რადარის დამონტაჟება, რაც მხოლოდ სამოქალაქო ავიაციის ინტერესებს როლი ემსახურება.

„ნორტროპ გრუმანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ჯონ გლასმანმა სახელმწიფო მინისტრს აცნობა, რომ დაგეგმილია ერთობლივი საწარმოს შექმნა, რომელიც აღიჭურვება ამერიკული ტექნოლოგიებით და ქართველი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტდება.

ის. მე-2 გვ.

### კანონმდებლები

## საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო სესიის წინ



25 აგვისტოს დაბა ბაკურიანში გაიმართა საქართველოს პარლამენტის გასვლითი ბიუროს სხდომა. იგი განიხილავს საქართველოს პარლამენტის 2000 წლის საშემოდგომო სესიის კანონშემოქმედებითსა და საპარლამენტო ზედამხედველობის საქმიანობის გეგმებს. საქართველოს პარლამენტის გასვლითი ბიუროს სხდომებს, რომელიც 27 აგვისტომდე გაიმართება, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია გაუძღვება, – აცნობეს საქინფორმს საქართველოს პარლამენტში.

ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული ინსტიტუტის ეგიდით, გასვლითი ბიუროს ფარგლებში ასევე გაიმართება სემინარი. მასზე ბიუროს წევრები და უცხოელი ექსპერტები საქართველოში საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების სრულყოფასა და კიდევ უფრო გაძლიერებაზე იმსჯელებენ.

აღსანიშნავია, რომ გასვლითი ბიუროს სხდომა და სემინარი აშშ დემოკრატიული ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით იმართება.

საქინფორმი.

### დემოკრატია

## ასე მივიღეთ საქართველოს კონსტიტუცია



1995 წლის გაზაფხული. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტი, მღელვარე, ქაოსური, წინააღმდეგობრივი, 26 პარტიით დასახლებული, უმეტესობა – სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, ამ სიყვარულის ყველა სხვადასხვანაირად გამომხატველი, ექსპრესიული, ემოციური, მუშაობას ამთავრებს.

სამი წელია ქვეყანა თავისივე გამოგონილი მოდელით ცხოვრობს. საერთო სახალხო კენჭისყრით არჩეული პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური, კუდმოკრეჭილი კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, რომელიც კონსტიტუციის მაგიერობას წევს. სამი უმძიმესი წელი – სისხლის, იარაღიანი ხალხის თარეშის, ტკივილის, სიმწარის. ქვეყანაში სიმშვიდის დამყარების პირველი ნიშნები. პარლამენტმა მუშაობა უნდა დაამთავროს, ხმამაღლა გაისმის მოწოდებები პარლამენტის უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ, რადგან ქვეყნის ბედი გაურკვეველია. 1993 წელს შექმნილი საკონსტიტუციო კომისია 1995 წლის მაისში მუშაობას ამთავრებს და საქართველოს კონსტიტუციის პროექტი პარლამენტს გადაეცემა. პროექტი ქვეყნის საპრეზიდენტო მართვის მოდელს გვთავაზობს. პარლამენტში და საზოგადოებაშიც ჯერ კიდევ ღიაა წინა საპრეზიდენტო მმართველობის ჭრილობები. ვიწყებთ კონსტიტუციის პროექტზე მუშაობას. პროექტი ჯერჯერობით ჩონჩხია მხოლოდ და მან ხორცი უნდა შეისხას, ცოცხალი ორგანიზმი უნდა გახდეს. ეს კი ძნელია, ძალიან ძნელი. შეხვედრები ყოველდღე რამდენიმე საათს გრძელდება. ურთიერთბრალდებები, ეჭვები, რომ ვიღაცას დიქტატურა და განუსაზღვრელი უფლებამოსილებები უნდა, თითოეულის რწმენა – რომ მხოლოდ მან ან მისმა პარტიამ იცის, რა სჭირდება ქვეყანას. პროცესი იმდენად ნელა მიდის, რომ ხანდახან სასოწარკვეთილება გეუფლება, რომ არა, არაფერი არ გამოვა. სახელმწიფოს მეთაურს სწამს, რომ კონსტიტუციის მიღება-არმიღებაზეა დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს ხვალინდელი დღე. ეს რწმენა გადაედება ოციოდე ადამიანს, რომელიც ამ პროცესში განუწყვეტლივ მონაწილეობს. ვდავობთ და ვკამათობთ ყველაფერზე, მე მგონი იმაზედაც, რომ საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი. როცა გვგონია, რომ წინ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით,

ის. მე-2 გვ.

### დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 24 აგვისტო ქ. თბილისი

**თ. ბოჭორიშვილის, ბ. ნაცვლიშვილისა და ც. ჩიტაიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ ქ. ფოთის ჯანდაცვის მუშაკები:

**თალიკო ბოჭორიშვილი** – ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი;

**ბადრი ნაცვლიშვილი** – ქალაქის საავადმყოფოს ტრავმატოლოგიური განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი;

**ციური ჩიტაიშვილი** – №2 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი.

ე. შევარდნაძე.

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი

**დ. გუგუციძისა და ჯ. რობაქიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში აგროკომპლექსისა და სამოქალაქო დანიშნულების მსხვილი ობიექტების მშენებლობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის ინჟინერ-მშენებლები: სააქციო საზოგადოება „მშენებელი - 1996-ის“ დირექტორი **დიმიტრი გუგუციძე** და საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს ექსპერტი **ჯემალ რობაქიძე** დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### თუშეთობა – 2000

## „გრიგალო, იყუჩე! კლდეებო, დასხედით!..“



ჯემალ კასრაძის ფოტო.

გუშინწინის ხვალ გუშინ არ იყო, დღეს არის. და ნუ შემომეკამათებით. დღეების სათვალავი არ ამრევია, საგაზეთო ფართობის დიქტატურა ყველაზე ერთნაირად ვრცელდება და ვისაც ეს გამოუცდია, მიხვდება, რასაც ვგულისხმობ.

ისე, დროის სათვალავს მართლაც დაკარგავ კაცი, როცა „ხმელეთის ზურგზე დასაყრდენს ეძებ“. საკუთრად განცდილს გიზიარებთ. ომალოდან გამომგზავრებისას ვიკითხე, რამდენი ხანია, რაც აქა ვართ-მეთქი და ნინო გაბრიაძემ – საქინფორმის კორესპონდენტმა საათზე დაიხედა. არა, საათი არ მაინტერესებს, რამდენი დღეა, რაც თუშეთში ვართ მეთქი, – კითხვა დავუზუსტე.

მართლაც ასეა, – მთაში დრო სწრაფად გარბის და ომალოში ყოფნამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა ამაში. მადლობა სახელმწიფო მინისტრს გიორგი არსენიშვილს, რომელმაც შესაძლებლობა მომცა, ერთი დღით გავრიდებოდი ბარს და მენახა მოზეიმე თუშნი, – სტუმართა მასპინძლობას თავდაჭერილი სიხარულით რომ სწევდნენ.

სხვაც იყო მეთქი, იმ დღეს ომალოში, გითხარით და დაგპირდით, რომ ამ სხვაზეც მოგითხრობდით.

მივყევით მასპინძლებს და თქვენც ჩამოსხედით ომალოს ქვის ამფითეატრზე. მიუჯექით პაწია თუშ მარიამ ელანიძეს. მართალია, სიტყვას არ გეტყვით, ჯერ ლაპარაკი არ იცის, მაგრამ თუშეთის კამკამა ცა ირეკლება მის თვალებში. და ეს თვალები უფრო მეტყველია, ვიდრე ყველა სიტყვა, რაც კი თქმულა თუშებსა და თუშეთზე.

დასასრული. დასაწყისი ის. „სრ“ № 229.

ის. მე-3 გვ.

### გიხაროდეს!

## პაპა სიხარულით ცას ეწია



ქვირფასო რედაქცია, წარმოშობით ყაზბეგიდან ვართ, სამწუხაროდ, ჩემს ნათესავთაგან, იქ აღარავინ სახლობს. პაპაჩემი მათე კახეთში, გურჯაანის რაიონში ჩასახლებულა, იქვე დაოჯახებულა, ხუთი შვილი შესძენიათ, ორი გოგო და სამი ბიჭი. ყველა დაოჯახებულია და პაპაჩემის 14 შვილიშვილიდან ბიჭი მარტო მე ვარ. მოხუცს გული სწყდებოდა – ჩვენი შტო ხომ არ უნდა გადაშენდესო. უკვე 4 ბადიმიც ჰყავდა, მაგრამ ისინიც გოგონები. მართალია შვილიშვილებიც და შვილთაშვილებიც ძალიან უყვარს, მაგრამ მაინც გულს აკლდა.

გუშინ კი ჩემს მეუღლეს ლალის და მე პირველი შვილი – ვაჟი შეგვეძინა. ორმაგად გახარებული ვარ იმითაც, რომ პაპა სიხარულით ცას ეწია, თანაც მისი სახელი მათე დავარქვით.

დიდი მადლობა, რომ ჩვენს დიდ სიხარულს იზიარებთ.

გელა შადური.

**ლალი და გელა, პირველ შვილს გილოცავთ, იმრავლეთ, იხარეთ!**

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

### ბრიფინგი

## კვირის მნიშვნელოვანი მოვლენები პრეზიდენტის პრესმდივნის შეფასებით

– ბოლო დროს რუსეთის პრესასა და ტელევიზიაში გავრცელებული ინფორმაციები, საქართველოდან ჩეჩნეთში ბოევიკთა დაჯგუფებების გადასვლისა და საზღვრის უკანონო გადალახვის შესახებ საფუძველს მოკლებულია და სიმართლეს არ შეესაბამება, – განაცხადა 25 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანმა კახა იმნაძემ. მისი თქმით, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ურთიერთგამომრიცხავი ფაქტები და მოვლენები აისახება. კერძოდ, თითქოს 24 აგვისტოს ბოევიკთა ჯგუფმა დაარღვია საზღვარი ჩეჩნეთიდან ინგუშეთისაკენ და იქედან საქართველოსკენ, რუსული სმი-ს მეორე საშუალება იმავე დღეს იგივე შინაარსის

ის. მე-2 გვ.

### ინფორმაცია

**29 აგვისტოს ჰანოვერში ჩვენი დღეა**

ჰანოვერში მიმდინარე მსოფლიო გამოფენა ექსპო–2000-ის ფარგლებში 29 აგვისტოს საქართველოს დღე აღინიშნება.

28-30 აგვისტოს გერმანიას ეწვევიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი, კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე, ქვეყნის სხვა ოფიციალური პირები.

**კახა თარგამაძე უარყოფს**

შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე უარყოფს ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას თბილისის პოლიციის უფროსის სოსო ალავიძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

როგორც გუშინ კახა თარგამაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მას სოსო ალავიძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებისთვის ხელი არ მოუწერია.

**სექტემბერში მაცუურას ველოდებით**

საქართველოსა და იუნესკოს მჭიდრო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაფართოების მნიშვნელოვანი სტიმული უწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა ავთანდილ ნაფეტვარიძემ საქართველოში იუნესკოს გენერალური დირექტორის კოიჩირო მაცუურას ოფიციალურ ვიზიტს, რომელიც 15–17 სექტემბერს გაიმართება. კოიჩირო მაცუურა იუნესკოს ხელმძღვანელად გასული წლის ნოემბერში აირჩიეს და ეს მისი პირველი ვიზიტია სამხრეთ კავკასიაში.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართება იუნესკოს გენერალური დირექტორის შეხვედრები საქართველოს ხელმძღვანელებთან.

**ტანკებს თბილისში არ ვარემონტებთო**

სომხეთის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი მიქაელ არუთუნიანი უარყოფს ცნობებს იმის შესახებ, რომ სომხეთი თავის ჯავშანტექნიკას თბილისში, რუსეთის სამხედრო ქარხანაში არემონტებს.

როგორც არუთუნიანმა პრაიმ-ნიუსს უთხრა, სომხეთს არასოდეს გაუგზავნია თავისი ჯავშანტექნიკა შესაკეთებლად თბილისში, რადგან „ერევანს ამისათვის საკუთარი შესაძლებლობები გააჩნია, რომლებიც რუსეთისას არ ჩამოუვარდება“.

გასულ კვირას ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თბილისში სომხეთის შეიარაღებული ძალების სამ ერთეულ ჯავშანტექნიკას არემონტებენ.

**აფხაზებმა მძევლად აიყვანეს 7 ქართველი**

25 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ 23 აგვისტოს საღამოს 18.00 საათზე გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში სეპარატისტთა საბაჟო სამსახურის თანამშრომლებმა 7 მამაკაცი მძევლად აიყვანეს.

აფხაზებმა შეუთვალეს მძევალთა ნათესავებს, რომ გამოსასყიდად თხოულობენ 5 ათას ლარს.

25 აგვისტოს მონაცემებით, მძევლები დამწყვდეული ჰყავთ გალის მილიციის რაიონული განყოფილების შენობაში.

**ბანკირების შეხვედრა**

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) მმართველთა საბჭოს მესამე წლიური შეხვედრის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში, საქართველოში ორდღიანი ვიზიტით იმყოფება ბანკის გენერალური მდივანი ნიკოლას ზახარიადისი.

მომავალი შეხვედრა 2001 წლის 17 მაისს თბილისშია დაგეგმილი, რომელშიც 150-მდე წარმომადგენელი, მათ შორის საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, ბანკირები და მეცნიერები მიიღებენ მონაწილეობას.

ხუთშაბათს სტუმარი მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა.

**პუტინმაც მიულოცა**

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 70 წლის იუბილე მიულოცა ცნობილ კინორეჟისორს, რსფსრ სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიების ლაურეატს გიორგი დანელიას - იტყობინება პრაიმ-ნიუსის საკუთარი კორესპონდენტი მოსკოვიდან.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

### პროკურატურა

## ყველამ შეიკავოს თავი უსაგნო და დაუსაბუთებელი დასკვნებისაგან

ბოლო პერიოდში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, მათ შორის ტელევიზიით, მოსახლეობას მიეწოდება ფაქტიურ გარემოებებთან შეუსაბამო, მცდარი განცხადებები და დასკვნები წლეულს 9 ივლისს ქ. ზესტაფონში უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრებისა და მისი ხელმძღვანელის ა. ელიავას მიმართ განხორციელებულ ანტიტერორისტულ ოპერაციასთან დაკავშირებით.

კერძოდ, ცალკეული პოლიტიკოსი თუ თანამდებობის პირი, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი წევრი, ამტკიცებს, თითქოს ელიავას და მის თანამზრახველებს პოლიციის მუშაკები იარაღის მუქარით მძევლად ხელში არ ჩაუგდიათ, მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. პირიქით, პოლიციის მუშაკებმა ისინი შეიპყრეს და დაკავებულებს მიაყენეს სხეულის მძიმე დაზიანებები. ბოლოს კი მათგან ა. ელიავა და გ. გვილავა დახვრიტეს.

ის. მე-2 გვ.

### შევეწიოთ!

## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| შპს „ფაქარია“ – | 5 ლარი; |
| მარიამი და ნატალი – | 50 ლარი; |
| ნიკა კომახიძე – | 5 ლარი; |
| მალხაზ კომახიძე – | 5 ლარი; |
| ნონა დოლიძე – | 5 ლარი; |
| ირაკლი კაკაბაძე – | 50 ლარი. |

### უკანასკნელ საათს



მთავარმა კონსტრუქტორმა ალექსანდრე კირიუშინმა გუშინ განაცხადა, რომ ატომური წყალქვეშა ნავის „კურსკის“ ბირთვული რეაქტორები გათიშულია და გარემოსთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს.

რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა განაცხადა, რომ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცერი ედმუნდ პოუპი, რომელსაც წაყენებული აქვს შპიონაჟის ბრალდება, საკმაოდ ჯანმრთელია საიმისოდ, რომ პატიმრობაში იყოს. სასამართლომ კიბოთი დაავადებულ პოუპს უარი უთხრა თავისუფლების აღკვეთის ზომის შეცვლაზე.




ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც მარტივდება გენოციდში ბრალდებულთა სასამართლო დევნის პროცედურა.

### ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში: ღამით +16+21; დღისით +26+31.
მთაში: ღამით +13+18; დღისით +23+28.

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში: ღამით +17+22; დღისით +28+33.
მთაში: ღამით +14+19; დღისით +25+30.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა. ღამით +20+22; დღისით +31+32.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

### ლარის კურსი

26 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.9000 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9600 ლარი |
| ევრო | 1 | 1.7603 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0708 ლარი. |

### გვირეკავენ, გვეკითხებიან

– გთხოვთ გვიპასუხოთ, როგორ ხდება დღეს ბინაში ტელეფონის დადგმა და რა თანხა უნდა გადაიხადოს მისმა მომავალმა მფლობელმა ამისათვის?

ნანა დელეყვა, სიმონ ხიდეშელი, თბილისი.

– ამჟამად არსებული კანონის თანახმად, მოსახლეობისათვის ბინაზე ტელეფონის დადგმის საკითხი განიხილება მათი აღრიცხვიანობის მიხედვით და პრეტენდენტთა სიის (ანუ რიგითობის) გათვალისწინებით. ხოლო რაც შეეხება მისი დადგმის ღირებულებას, ეს პირველ რიგში დამოკიდებულია ავტომატურ სატელეფონო სადგურებზე. მაგალითად ელექტრონულის ფასი – 260 ლარია, კოორდინატულის – 65 ლარი, ხოლო დეკადურ-ბიჯურისა – 32 ლარი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.

### ინტერპანორამა

გუშინ რუსეთში აღადგინეს წმინდა გიორგის ორდენი – სამხედროების უმაღლესი ჯილდო და გიორგის ჯვარი.



ქაბულის ჩრდილოეთში მიმდინარეობს ბრძოლები თალიბებსა და ოპოზიციური ჩრდილოეთის ალიანსის ახმად-შაჰ მასუდის არმიას შორის.



საბერძნეთში ტყის ხანძრების ნამდვილი ეპიდემიაა, რამაც სულ მცირე 4 ადამიანი იმსხვერპლა. არკადიას პროვინციაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

ხანძარი მძვინვარებს ბულგარეთში, ხორვატიასა და კორსიკაზეც.

საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა ბულგარეთში, სადაც 70-მდე ხანძარს ებრძვიან.



„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 231. შაბათი, 26 აგვისტო, 2000 წელი.

## პრეზიდენტი

# „ჩვენს მიერ გასავლელი 2000 მილი ვერ შეედრება თქვენი მეტად საინტერესო ცხოვრების მანძილზე განვლილ გზას“

(პირველი გვერდიდან)

აქცია დააფინანსეს სხვადასხვა მსხვილმა ნავთობკომპანიებმა, რომელთა რამდენიმე თვალსაჩინო წარმომადგენელი თავადაც შევიდა მოგზაურთა ჯგუფში. მათთან ერთად არის „აი-ი-ეს-თელასის“ ხელმძღვანელი მაიკლ სქოულიც. ამ საინტერესო მოგზაურობის მიზანია ნავთობსადენის მთელი მარშრუტის გაყოლებით აქტიური პროპაგანდა გაეწიოს პროექტს.

საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას, მოტომრბოლელებთან ერთად ჟურნალისტებიც გაოცა ედუარდ შევარდნაძის ბიოგრაფიის ერთი საინტერესო დეტალის აღმოჩენამ. „სტუდენტობისას ყამირ მიწებზე მოსავლის აღებაში ვმონაწილეობდი, მაშინ, იქ მყოფმა ქართველმა ახალგაზრდებმა გადავწყვიტეთ შინ მოტოციკლებით დაბრუნება და კუსტანაიდან თბილისამდე გზა 6 ათასი კილომეტრი სწორედ მოტოციკლებით გავიარეთ“, — გაიხსენა საქართველოს პრეზიდენტმა და იქვე სინანულით აღნიშნა, რომ მაშინდელმა მოსკოვმა ქართველების ეს ინიციატივა „სპორტულ ხულიგნობად“ შეაფასა.

ედუარდ შევარდნაძემ წარმატებები და კეთილი, უსაფრთხო მოგზაურობა უსურვა მოტომრბოლელებს და ხუმრობით იმასაც დაჰპირდა, რომ მომავალში, ნავთობსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ მოწყობილ გადარბენაში თავადაც მიიღებს მონაწილეობას.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.**

## სახელმწიფო მინისტრი

# საჰაერო დერეფნის უსაფრთხოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს

(პირველი გვერდიდან)

მას ფინანსურ დახმარებას ამერიკის „ექსიმბანკი“ გაუწევს. წარმოების მიზანი კი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ერთობლივი ბიზნესის განვითარებაა.

— საქართველოში საჰაერო დერეფნის უსაფრთხოებასა და მის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა, — წლეულს 4 ივლისს, საქაერონავიგაციის გახსნის ცერემონიაზე, უკვე განვაცხადე, რომ ეს ისტორიული დღეა — საქართველო თვითონვე, უახლესი სანავიგაციო სისტემით ახორციელებს საკუთარი საჰაერო საზღვრის კონტროლს. ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცეს უკვე ენდობიან, საქართველოს საჰაერო სივრცით დიდი ტვირთების ტრანსპორტირებას ახორციელებენ მსოფლიოს წამყვანი კომპანიები.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა მხარეებს დაწყებული საქმის წარმატებით განხორციელება უსურვა.

# გამოიკვეთა გარკვეული პოზიცია

25 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მერაბ ჩიგოევი შეხვდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გიორგი არსენიშვილს, საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს და განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს მალხაზ კაკაბაძეს.

მერაბ ჩიგოევის თბილისში ჩამოსვლა სამხრეთ ოსეთში სტიქიური უბედურების შედეგად ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტამ განაპირობა. მან საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს დახმარება სთხოვა — საქართველოდან სამხრეთ ოსეთისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შესახებ.

როგორც განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ აღნიშნა, შეხვედრებზე საუბარი შეეხო როკის უღელტეხილის გაელით საქართველოში კონტრაბანდული ტვირთების ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის აღკვეთისათვის ერთობლივი კონტროლის მექანიზმების შემუშავებას.

საქინფორმის კორესპონდენტს მერაბ ჩიგოევმა განუცხადა, რომ შეხვედრებზე იმსჯელეს მთელ რიგ ეკონომიკურ საკითხებზე. მისი აზრით, ამჟამად მხარეებს შორის არსებული ეკონომიკური პრობლემები კონსტრუქციულ მოლაპარაკებათა საფუძველზე, ალბათ, ახლო მომავალში მოგვარდება.

რაც შეეხება კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკურ მხარეს, ჩიგოევის განცხადებით, თბილისის შეხვედრებზე მათ არ უმსჯელიათ.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრებისას გამოიკვეთა გარკვეული პოზიცია და გამყარდა იმედი, რომ მხარეებს შორის სიტუაცია ახლო მომავალში მოწესრიგდება, — განაცხადა მერაბ ჩიგოევმა.

**საქინფორმი.**

## დემოკრატია

# ასე მივიღეთ საქართველოს კონსტიტუცია

(პირველი გვერდიდან)

აღმოჩნდება, რომ საწყის წერტილში დავბრუნდით და ყველაფერი თავიდან არის დასაწყები. რაღაც მომენტებში ვგრძნობ, რომ მოთმინების ყველა ძაფი წყდება, სახელმწიფოს მეთაური მოთმინებით გვისმენს დილით, შუადღისას, საღამოს, გვიან ღამით, როცა ვიშლებით. მისი სიმშვიდე ჩვენზედაც გადმოდის, თუმცა მაშინ არ ხდება იმის გაანალიზება, რაღ უჯდება თვითონ მას ეს მოთმინება. ამის გაგება შემდეგ მოდის, დრო რომ გავა და მოგონებების ემოციებს დაწმენდს...

წინასწარი სამუშაო დამთავრდა. ხვალ პარლამენტის სხდომა დაიწყება. სახელმწიფოს მეთაური მე მავალებს კონსტიტუციის პროექტის გამოტანას. შეშინებული ვპასუხობ, რომ ვერ შევძლებ, იურისტი არა ვარ, ვიცი, რომ იურისტებიც კონსტიტუციონალიზმს ათეული წლები სწავლობენ. სახელმწიფოს მეთაური მეუბნება, რომ ის დარწმუნებულია, რომ მე ამას შევძლებ. ვუჯერებ, ვემორჩილები. ახლა უკან რომ ვიხედები, შიში მიპყრობს, როგორ გავბედე?

ის, რაც მთელი თვე დახურულ კარს მიღმა ხდებოდა, ახლა პარლამენტის სხდომაზე მთელი საქართველოს თვალწინ მიმდინარეობს. სხდომებს სახელმწიფოს მეთაური თავმჯდომარეობს. ზის მშვიდი, აუღელვებელი, მხოლოდ ხანდახან, ძალიან რომ ატკენენ გულს, სიწითლე გადაჰკრავს. პარლამენტი ბობოქრობს, ყველა ყველას წინააღმდეგ გამოდის. რამდენი ადამიანიც ზის დარბაზში, იმდენივე აზრია ყველა მუხლთან, ყველა წინადადებასთან დაკავშირებით. მერე გაუგებარი სასწაული ხდება, მუხლი ჩამოყალიბდება, მას კენჭს ვუყრით და ხმების ორი მესამედი გროვდება. ხანდახან ერთ მუხლს მთელი დღე სჭირდება. იშვიათად კარგი დღე გვაქვს და ორ-სამ მუხლს ვერევით. ყოველი სხდომის შემდეგ დახურულ კარს მიღმა შეხვედრები იმართება, ხვალინდელ დღეზე ვთანხმდებით. ხანდახან პროცესი ჩერდება, ფორმულირებას ვერ ვპოულობთ. მაშინ სახელმწიფოს მეთაური ფურცელს იღებს, დაფიქრდება, მერე თავის ფორმულირებას გვაწვდის და როგორც წესი, მრავალ ფორმულირებას შორის, მისი ხდება მისაღები. სადღაც პირველ საათზე ვიშლებით. მე მერე ღამე ვმეცადინეობ, ვიმახსოვრებ ყველას მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ხმამაღლა ვუთხრა ხვალ მთელ საქართველოს, ვის რა მოსაზრება აქვს, გვარით, სახელით, ეს ფსიქოლოგიური მომენტია და ამაზედაც ბევრი რამ არის დამოკიდებული...

23 აგვისტოს ყველა 109 მუხლი გავლილია. 24 აგვისტოს ბოლო კენჭისყრა უნდა შედგეს. არ არის გამორიცხული, მთელი ეს შრომა წყალში ჩაიყაროს და საჭირო ხმების რაოდენობა არ მოგროვდეს. მით უმეტეს, კონსტიტუციის მიღებას მოწინააღმდეგეებიც ბლომად ჰყავს. მე რომ თეთრად გავათენე ის ღამე, ვიცი...

გათენდა 24 აგვისტოს დილა. სხდომა დაიწყო. სახელმწიფოს მეთაურმა კენჭისყრა გამოაცხადა. დარბაზში ისეთი სიჩუმეა, საკუთარი გულისცემა გვესმის. ტაბლო აინთო. კონსტიტუცია მიღებულია! დარბაზი ფეხზე დგება. სახელმწიფოს მეთაური ტრიბუნასთან მიდის — მის ხმას საზეიმო ჟღერადობა აქვს, მაგრამ გადატანილი დამქანცველი მღელვარება ეტყობა. კამათის, ჭიდილის, შრომის დაუსრულებელი საათები დამთავრდა...

ასე მივიღეთ საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიღების 5 წლისთავი 24 აგვისტოს შესრულდა. 29 აგვისტოს კონსტიტუციის ხელმოწერის ცერემონიალი უნდა გამართულიყო. იმ დღეს რუსთაველის პროსპექტი აფეთქებამ შეაზანზარა.

კონსტიტუციის მიღების პროცესის დასასრული ტრაგედიად იყო ჩაფიქრებული... განგებამ თავისი კალთა გადააფარა საქართველოს და ტრაგედია არ შედგა.

ხუთი წელია საქართველოს კონსტიტუცია მოქმედებს. დრომ მისი ღირსება და ნაკლი წარმოაჩინა.

ჩვენ ხშირად ვკამათობთ, სჭირდება თუ არა ჩვენს სახელმწიფოს იდეოლოგია. მე ვფიქრობ, ნამდვილად სჭირდება... და ამ იდეოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი საქართველოს კონსტიტუციაა. დრომ განაპირობა და კონსტიტუციაში ორი-სამი ცვლილება შევიდა. ეს ბუნებრივი პროცესია. 1995 წელს მიღებული გადაწყვეტილებებიდან ალბათ ზოგიერთი დროს ვერ გაუძლებს. მაგრამ არ შეიცვლება კონსტიტუციის სული, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება, დაამკვიდრონ დემოკრატიული წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა — ეს კი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საფუძველია.

გაივლის ათწლეულები. საქართველოში აუცილებლად დაიბადება ვინმე ისეთი გენიოსი ისტორიკოსი, როგორიც ივანე ჯავახიშვილი იყო. დაიწერება მეოცე საუკუნის ბოლოს უმძიმესი ათწლეულის ისტორია. ისტორიკოსი გადაიკითხავს ამ წლების მასალებს, ხან თანაგრძნობას გამოუცხადებს თავის წინაპრებს, მათი შეცდომების და გამარჯვებების ანალიზს გააკეთებს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის ისტორიასაც დაწერს და აუცილებლად აღნიშნავს, რომ თუმცა იმ პარლამენტს უმძიმეს სიტუაციაში მოუხდა მუშაობა, პარლამენტური მუშაობის გამოცდილება აკლდა, პარლამენტის სხდომები ხშირად ქუჩის მიტინგებსაც ჰგავდა, ეთიკის ნორმებიც ხშირად ირღვეოდა, მაგრამ იმ პარლამენტმა ყველაზე მძიმე მომენტში შეძლო პირადი ამბიციების დაძლევა, გაერთიანდა და საქართველოს კონსტიტუცია მიიღო, მოიხსნა უფლებამოსილება, ჩაატარა არჩევნები და ხელისუფლება გადასცა მომდევნო პარლამენტს.

მე მჯერა ჩემი ხალხის სიბრძნის და ვფიქრობ, ეს ყველაფერი თავისუფალ, დამოუკიდებელ, ძლიერ ქართულ სახელმწიფოში მოხდება.

**რუსუდან ბერიძე.**

### შეეწივნენ

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2 ათასი ლარი გადარიცხა ბარენცის ზღვაში ავარიის შედეგად ჩაძირული ატომური წყალქვეშა ნავის - „კურსკის“ მეზღვაურთა ოჯახების დასახმარებლად, - აცნობებს პრაიმ-ნიუსს სასაზღვრო უწყებაში.

### აშშ თავდაცვის ინსტიტუტის სემინარი

ეკონომიკურ მდგომარეობას საქართველოში და ნეგატიური მომენტების დაძლევით გადაჭრის გზებს მიეძღვნება 30 ოქტომბერს თბილისში აშშ-ის თავდაცვის ანალიზის ინსტიტუტისა და მარშალის ცენტრის ეგიდით დაგეგმილი სემინარი-იმიტაცია - „საქართველო-დიალოგი 2000 წელი“.

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობეს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სემინარი-იმიტაცია, რომლის მოსამზადებლად 24 აგვისტოს თბილისს აშშ თავდაცვის ანალიზის ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფი ეწვია, ქვეყნის პარლამენტის, აღმასრულებელი სტრუქტურებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებისთვისაა გამიზნული.

### ფერმერების დასახმარებლად

- 25 სექტემბრამდე გაგრძელდება სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ მსოფლიო ბანკთან ერთობლივი პროექტის - „სასოფლო სამეურნეო გამოკვლევა, დანერგვა და სწავლება“ - ფარგლებში ხუთშაბათს დაწყებული განაცხადების მიღება.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრეს სამინისტროში, გამარჯვებული პროექტების რეალიზაცია 2001 წლის 1 მარტიდან დაიწყება.

კონკურსი შემდეგი მიმართულებებით გამოცხადდა - ფერმერულ მეურნეობებში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა, გარემოს დაცვითი ღონისძიებები, ფერმერთა მომსახურების ორგანიზება.

### 15 მილიონი ევრო ტასისისაგან

15 მილიონ ევროს გამოყოფს ევროგაერთიანების პროგრამა ტასისი საქართველოში 2000-2003 წლებში მთელ რიგ პროგრამათა დასაფინანსებლად. კერძოდ, ეს თანხა მოხმარდება ჩვენს ქვეყანაში ინსტიტუციალურ, ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო სფეროებში რეფორმის განხორციელებას, კერძო სექტორის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

როგორც საქინფორმისათვის გახდა ცნობილი, სადღეისოდ ტასისის საკოორდინაციო ბიუროში საქართველოს სამინისტროებისა და უწყებებიდან შესულია 35-მდე პროექტი. სწორედ მათგან არჩეულ 15 პროექტზე განაწილდება ტასისის მიერ გამოყოფილი 15 მილიონი ევრო.

### რუსეთის ბაზარი სჭირდებათ ქართველ ბიზნესმენებს

რუსეთის ბაზარზე გასვლის ახალ შესაძლებლობებს უსახავს ქართველ ბიზნესმენებს აგროსამრეწველო გამოფენა, რომელიც მიმდინარე წლის 7-11 ოქტომბერს გაიმართება მოსკოვის საგამოფენო ცენტრში. იგი ყოველწლიურად ეწყობა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყველა ქვეყნის, აგრეთვე იმ წამყვანი საზღვარგარეთული ფირმებისა და კომპანიების ინტერესს იმსახურებს, რომლებიც ეწევიან კვების მრეწველობის პროდუქციის მიწოდებასა და შესყიდვას. წლევანდელი გამოფენის მიზანია გააცნოს დამთვალიერებელს პროდუქციის შექმნის ახალი ტექნოლოგიები, მეცნიერთა მიღწევები გადამმუშავებელ მრეწველობაში თანამედროვე კონსტრუქციების შემუშავების სფეროში. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში გამოფენის ორგანიზატორთა მიერ გამოგზავნილ მიწვევაში ნათქვამია, რომ იგი ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვის გაძლიერებას.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს პრაიმ-ნიუსმა და საქინფორმმა.**

## დაზუსტება

25 აგვისტოს მასალაში „საქართველოს კონსტიტუციის მიღების ხუთი წლისთავის აღსანიშნავად“, დაშვებულია უზუსტობა. ამ მასალაში ზემოდან მეათე აბზაცი უნდა იკითხებოდეს:

სხდომის მეორე ნაწილი, რომელიც გახსნა და რომელსაც უძღვებოდა თვალსაჩინო მეცნიერი, საქართველოს კონსტიტუციის ერთ—ერთი ავტორი გივი ინწკირველი, დაიწყო ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას გამოსვლით.

შემდეგ როგორც ტექსტშია.

**საქინფორმი.**

## ბრიფინგი

# კვირის მნიშვნელოვანი მოვლენები პრეზიდენტის პრესმდივნის შეფასებით

(პირველი გვერდიდან)

ინფორმაციას ავრცელებს, მაგრამ მარშრუტი პირიქით არის დასახელებული. რადიო „თავისუფლებამ“ კი გადასცა ინფორმაცია, სადაც ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი აცხადებს, რომ 58-ე არმიის მიერ შემთხვევით და შეცდომით დაიბომბა ჯეირახის რაიონის ორი სოფელი. კახა იმნაძის განცხადებით, რუსეთის გარკვეული ძალების მიერ ამგვარი დეზინფორმაციული ხასიათის მასალების გავრცელება მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს საქართველოსა და რუსეთს შორის პოზიტიური ურთიერთობისა და მემდგომი თანამშრომლობის განვითარებას.

რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სავარაუდო ვიზიტს საქართველოში, კახა იმნაძის განცხადებით საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავისი რუსი კოლეგა მოიწვია საქართველოში, რაზეც რუსეთიდან ოფიციალური პასუხი ჯერ არ მოსულა.

კახა იმნაძემ ჟურნალისტებს გააცნო იაპონიის ინიციატივა — საქართველოში პიროვნების იდენტიფიცირების პროგრამის განხორციელებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ. პირველ ეტაპზე, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის აღწერას იაპონიამ 100 მილიონი იენი ( მილიონი ამერიკული დოლარი) გადასცა საქართველოს. ხოლო მეორე ეტაპისათვის— კომპიუტერული კავშირის ქსელისა და საერთო მონაცემთა ბანკის შექმნისათვის 60 მილიონი დოლარის ინვესტიციაა გამიზნული. აქედან 30 მილიონი დოლარი შეღავათიანი კრედიტის სახით გადმოგვეცემა.

— 21 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ სექტემბრის დამლევამდე განხორციელდება სათესლე ხორბლით დახმარება. ახლო მომავალში კი გაეროს სასურსათო პროგრამა საქართველოს მოსახლეობას გრძელვადიან დახმარებას გაუწევს, — აღნიშნა კახა იმნაძემ. მან თქვა, რომ, გვალვის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას აუცილებლად გაეწევა სათანადო დანაპირები დახმარება, როგორც სახელმწიფოს, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან.

— ანტიკორუფციული პროგრამის ფარგლებში დაიწყო კონტროლის პალატის ფოთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ ბიუროთა გაფართოებული კოლეგიების შეხვედრები, 26 აგვისტოს ანალოგიური შეხვედრები იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და აჭარის რეგიონებში გაიმართება, — აღნიშნა კახა იმნაძემ.

როგორც პრეზიდენტის პრესმდივანმა ბრიფინგზე განაცხადა, ლეშეკ ბალცეროვიჩის მრჩეველთა ჯგუფი სექტემბრის მეორე ნახევარში ეწვევა თბილისს და ამ ჯგუფს მომავალში ამჟამინდელი პოლონეთის ფინანსთა მინისტრის მოადგილე ირჟი მილერი უხელმძღვანელებს.

ჟურნალისტის შეკითხვას, ბელორუსიის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს მიერ გაკეთებული განცხადების შესახებ, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პრინციპების გადაფასებას გულისხმობდა, კახა იმნაძემ განაცხადა, რომ არც საქართველო და არც აზერბაიჯანი არ უარყოფენ დსთ ფარგლებში თანამშრომლობის პოზიტიურ მომენტებს.

— ჩვენი ორიენტაცია უცვლელია: ეს არის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა ყველა მეზობელ ქვეყანასთან, — აღნიშნა კახა იმნაძემ.

დასასრულ პრეზიდენტის პრესმდივანმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების სავარაუდო გაერთიანების შესახებ და აღნიშნა რომ ეს საკითხი სადღეისოდ არ დგას დღის წესრიგში. მისი თქმით, ეს არამართებული ინფორმაცია, ალბათ, ეყრდნობა გენერალ გარი ჯონსონის ხელმძღვანელობით შექმნილ საქართველოს შიდა უსაფრთხოების საკითხებში უცხოელ მრჩეველთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მასში აღნიშნულია, რომ შესაძლოა სამომავლოდ ამ ორი უწყების ზოგიერთი ფუნქციის გადანაწილება მოხდეს.

**საქინფორმი.**

## დოკუმენტი

# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №72/2000

### საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებაზე №65 მარტვილის საარჩევნო ოლქის განთავსების შესახებ

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 30-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

№ 65 მარტვილის საარჩევნო ოლქს ნება დაერთოს განთავსებულ იქნეს მარტვილის სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს შენობაში.

კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
**გიორგი ზესაშვილი.**

კომისიის მდივანი
**მამუკა კოპალეიშვილი.**

2000 წლის 21 აგვისტო.

## გვეხმაურებიან

# ვაჟა ნახუცრიშვილი: „სახაზინო სისტემის რეფორმამ ბევრს დაუკარგა მოსვენება“

— საქართველოს ხაზინის ხელმძღვანელობის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს, რომლებსაც შეიცავს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ამასწინანდელი პუბლიკაცია, სერიოზული საფუძველი არ გააჩნიათ, — განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსმა ვაჟა ნახუცრიშვილმა.

ქვეყნის წამყვანი გაზეთის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში მოყვანილია სახაზინო სამსახურის მიერ თითქოსდა უკანონოდ განხორციელებული ფინანსური ოპერაციების ფაქტები.

**— და მაინც, სახელდობრ რა იყო ამ პუბლიკაციის საბაბი?**

— მიმდინარე წლის გაზაფხულზე სახაზინოს სახელზე ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისაგან ორი წერილი შემოვიდა. ბიუჯეტს დიდი დავალიანება აქვს ამ ორგანიზაციის წინაშე. ერთ წერილში ითხოვდნენ საბითუმო ბაზრისათვის გადაგვერიცხა 3 მილიონი ლარი. მეორეში კი — 300 ათასი ლარი. ხაზინამ გადარიცხა 300 ათასი ლარი, მაგრამ შეცდომით აღნიშნა იმ წერილის ნომერი, რომელშიც ითხოვდნენ 3 მილიონი ლარის გადარიცხვას. როდესაც საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობამ ყურადღება მიგვაქცევინა იმაზე, რომ ნომრები არ ემთხვეოდა, გამოირკვა, რომ წერილები, რომელშიც ითხოვდნენ საბითუმო ბაზრისათვის სამი მილიონი ლარის გადარიცხვას, ჩვენთვის საერთოდ არ გამოუგზავნიათ. იგი „ყალბი“ აღმოჩნდა. ეს წერილი გაუგზავნეს საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელს. სამი მილიონი ლარი კი ბიუჯეტში დარჩა.

**— რა ბედი ეწია გადარიცხულ 300 ათას ლარს?**

— ეს ფულიც ბიუჯეტში დაბრუნდა. საბითუმო ბაზარმა ითხოვა, ეს თანხა გადარიცხულიყო ენგურის ჰიდროელექტროსადგურისათვის ვალის ანგარიშში, იმათ, თავის მხრივ, მოისურვეს ეს თანხა გადარიცხულიყო ფირმა „მერასთვის“ მის მიერ შესრულებული სამუშაოს საფასურის ანგარიშში, „მერას“ კი სჭირდებოდა ამ ფულის გადარიცხვა ბიუჯეტში გადასახადებთან დაკავშირებული დავალიანების დასაფარად. ეს ნორმალური ფინანსური ოპერაციაა, რომელშიც არაფერია კანონსაწინააღმდეგო.

**— საერთოდ, თუ არის ხაზინისათვის ბრალდების წაყენების რაიმე მიზეზი?**

— უთუოდ, საქმე გვაქვს პროცედურის აშკარა დარღვევასთან. უმნიშვნელოვანესი ფინანსური დოკუმენტების ნომრებში შეცდომა დაუშვებელია, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ასეთ დიდ თანხას. მზად ვარ პასუხისმგებლობა ვიკისრო ამ ტექნიკური შეცდომისთვის. მაგრამ ვფიქრობ, არ ღირდა ამის საფუძველზე აურზაურის ატეხვა. მით უფრო, რომ არის დოკუმენტები, რომლებსაც მე არავის ვუმალავ. ამაზე მუშაობს პროკურატურა.



**— ახლა ქვეყანაში კორუფციასთან ბრძოლაა გაჩაღებული. ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად რა მექანიზმები მოქმედებს თქვენს სისტემაში?**

— ხაზინაში რეფორმა ამჟამად მნიშვნელოვან ეტაპზეა. მომზადდა ხაზინის შესახებ კანონის პროექტი, რომელსაც პარლამენტი განიხილავს საშემოდგომო სესიაზე. მიმდინარეობს სერიოზული სტრუქტურული რეორგანიზაცია, რომლის დროსაც დაიხურება დარგობრივი ხაზინები და შეიქმნება ერთიანი ცენტრალიზებული ხაზინა. ვცდილობთ მივაღწიოთ სახსრების განაწილების პროცესის სრულ კომპიუტერიზაციას, რაც გამორიცხავს სუბიექტურ ფაქტორს, და მაშასადამე კორუფციასაც მინიმუმამდე შეამცირებს. ხაზინის მუშაობა მაქსიმალურად გამჭვირვალე გახდება. ჩემი უპირველესი მიზანია, გავზარდო ხაზინის ავტორიტეტი, გამოვასწორო მისი იმიჯი. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმა დიდ დაბრკოლებებს აწყდება. მუშაობის უწინდელი სტილი ბევრს ხაზინაზე ხელის მოთბობის საშუალებას აძლევდა. ამიტომ ჰყავს მას ამდენი მოწინააღმდეგე.

**საქინფორმი.**

## კონტაქტები

# კავშირგაბმულობის ბერძნული კავშირები

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს დელეგაცია, მინისტრის მერაბ ადეიშვილის ხელმძღვანელობით საბერძნეთში, ათენში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

მერაბ ადეიშვილი შეხვდა საბერძნეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს ქრისტოს ვერელისს. მოლაპარაკება ეხებოდა 1997 წელს საქართველოსა და საბერძნეთის მთავრობების მიერ დადებული ხელშეკრულების ირგვლივ არსებულ მდგომარეობას და თანამშრომლობის ახალ მიმართულებებს, ახალი ინვესტიციებისა და ახალი ტექნოლოგიების მოზიდვას კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის სფეროში. ხაზი გაესვა საბერძნეთის აქტიურ მონაწილეობას „ტრასეკას“ პროექტში.

მხარეები შეთანხმდნენ, ოქტომბრის ბოლოს თბილისში მოეწყოს ორმხრივი შეხვედრა ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულებების საფუძველზე ინვესტიციების საქართველოში მოზიდვის საკითხებზე.

მინისტრი ათენში უმაღლეს დონეზე მიიღეს, მას მასპინძლობდა „ოტე“-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლაოს მანანისი. მოლაპარაკებები შეეხო „ოტე“-სა და „ჰელსაკომის“ მიერ საქართველოში განხორციელებულ 17-მილიონიან პროექტს, რომელიც გულისხმობს საქართველოს სეგმენტზე „ტრანსაზია-ევროპის“ ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალის დამთავრებას. ხელი მოაწერეს რწმუნების მემორანდუმს. ორივე მხარე მზად არის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.

დელეგაცია შეხვდა ბერძენ ბიზნესმენთა ჯგუფს — „ჰელსაკომის“, „ჯენერის“, „არგოტელის“, „ინტრაკომის“ დირექტორებს, რომლებმაც მინისტრს სთხოვეს დახმარება და მხარდაჭერა მათი ბიზნესის განვითარებაში საქართველოს ფარგლებში.

მერაბ ადეიშვილი შეხვდა საბერძნეთის ცნობილ გემთმფლობელს კაპიტან ცაკოსს, მათ განიხილეს საქართველოს სანაოსნო კომპანიების განვითარების პერსპექტივა, არ გამორიცხა უმსხვილეს გემთმფლობელთა ჯგუფის აქტიური მონაწილეობა ამ პროექტში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით კუპატაძე, „საქართველოს ტელეკომის“ გენერალური დირექტორი გურამ ხმალაძე და სხვები.

**საქ. ინფორმაცია.**

## პარტიებსა და მოძრაობებში

# ვინ იქნება ლიდერი?

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ თავისი პოლიტიკური სპექტრის გაფართოება ნეოკონსერვატორებით დაიწყო. მართალია, ნეოკონსერვატორები დღეისათვის რაიმე კონკრეტულ ძალას არ წარმოადგენენ, მაგრამ ედპ ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია მათ მაინც მნიშვნელობას ანიჭებს. მისი აზრით, ნეოკონსერვატორებს გარკვეული სტრუქტურები მაინც აქვთ ძველი დროიდან შემორჩენილი, გარდა ამისა, ედპ ლიდერის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ იქ არიან ისეთი სახელები, რომლებიც ძალიან მჭიდროდ უკავშირდებიან ეროვნულ მოძრაობას. ასეთი შეფასებით მადლიერი ნეოკონსერვატორები, როგორც ჩანს, ალიანსში შემოსვლას ხელცარიელი არ აპირებენ. თუ მოახერხეს, მათი „ძღვენი“ გოგი თოფაძე და მისი გუნდი იქნება. ნეოკონსერვატორები აცხადებენ, რომ ისინი მემარჯვენე გაერთიანებაში თოფაძის პარტიის ჩართვაზეც იმუშავებენ, არადა, სარიშვილისა და თოფაძის ურთიერთობა წინასაარჩევნოდ და არჩევნების პერიოდში მთლად ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს არ უნდა იძლეოდეს.

— თუ ეს მოხდება, ძალიან კარგი იქნება, თუმცა, მე პესიმისტურად ვუყურებ ამას. თუ გოგი თოფაძე უკვე მიხვდა, რომ საერთოდ პოლიტიკაში ამ ფორმით ყოფნა და „მრეწველებისთვის“ ცალკე არსებული პარტია ხაფანგია. ეს სხვა საქმეა, — აცხადებს ირინა სარიშვილი-ჭანტურია.

რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიძლიერეს, მისი ლიდერის აზრით, ორგანიზაციულად ედპ-ს არც ერთი ორგანიზაციაც რომ არ დაემატოს, მარტოსაც ეს პრობლემა არ ექნება. ფინანსები კი, — აღნიშნავს სარიშვილი, — არც ნეოკონსერვატორებს აქვთ, არც რესპუბლიკელებს, ასევე, არც „მრეწველებს“ და არც ედპ-ს. რის მიზეზადაც იგი ჩვენს ქვეყანაში თეთრი ბიზნესის არარსებობას ასახელებს.

მაინც რამდენად შეეცდება ედპ თოფაძის გადმობირებას, ამას დრო გვიჩვენებს. თუ გაძლიერდებით, ეს იქნება თოფაძისა და სხვებისთვისაც იმის ნიშანი, რომ სჯობს იყო ძლიერთან, ვიდრე ძლიერის წინააღმდეგ, — ასეთია ედპ ლიდერის პოზიცია.

მესამე გზა დღესდღეობით ფინანსურ სიდუხჭირეს უჩივის, თუმცა, პარტიის გაძლიერების იმედს მაინც არ კარგავს.

ფინანსურ სიდუხჭირეზე თოფაძეც ალაპარაკდა. დღეს ყველას უჭირს, ჩვენც გვაქვს ფინანსური პრობლემები, — ამბობს იგი.

ზემოთ აღნიშნული ალიანსის შესახებ კი გოგი თოფაძის აზრი ასეთია: ჩვენს გაერთიანებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი, თუ თვითონ გაგვეერთიანდებიან. თუ გადმოდგამენ ჩვენსკენ ნაბიჯს, შესაძლებელია, ოღონდ ერთი პირობით: ლიდერობა ჩვენი იქნება, — აცხადებს გოგი თოფაძე.

**მზია გელენავა.**

## პროკურატურა

# ყველამ შეიკავოს თავი უსაგნო და დაუსაბუთებელი დასკვნებისაგან

(პირველი გვერდიდან)

ასეთ პირთა შორის არის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ირინა სარიშვილი-ჭანტურია, რომლის აზრითაც, განიარაღებული ა. ელიავა და გ. გვილავა დახვრიტეს. თითქოს ამის ერთ-ერთი ორგანიზატორი შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე იყო.

მსგავსი განცხადებები და, მით უმეტეს, გაკეთებული დასკვნები, უსაფუძვლოა და პრინციპულად არ შეესაბამება ზესტაფონის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ეს მასალები უცილობლად ადასტურებს შს იმერეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის რუბენ ასანიძისა და სხვათა ხელში მძევლად ჩაგდებისა და მათი სიცოცხლისათვის რეალური საფრთხის შექმნას, რამაც განაპირობა ანტიტერორისტული ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა.

მძევლების გათავისუფლების ოპერაცია განხორციელდა უშიშროების სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის მიერ. საქმის გამოძიების დროს შეკრებილი მტკიცებულებები ცალსახად მიუთითებენ, რომ ძალოვანი სტრუქტურების მოქმედება მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში სავსებით ადეკვატური და მართლზომიერი იყო.

ასევე უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი აღმოჩნდა ი. სარიშვილი-ჭანტურიას განცხადება (გაზეთი „ალია“, 2000 წ. 11-12 ივნისი) საქართველოს შს მინისტრის კ. თარგამაძის კორუფციაში მონაწილეობაზე. ამ ზოგადი ხასიათის განცხადების გარდა, რაიმე დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტი ი. სარიშვილი-ჭანტურიას არც თავის ინტერვიუში და არც პროკურატურაში მოწვევის დროს არ დაუსახელებია. ამის გარეშე კი შეუძლებელია მსჯელობა კორუფციაზე საერთოდ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ი. სარიშვილი-ჭანტურიას მიერ კ. თარგამაძის უკანონო ქმედებების შესახებ ადრე გაკეთებული განცხადებები და წარმოდგენილი მასალები საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, კონტროლის პალატასთან და სხვა შესაბამის ორგანოებთან ერთად, დაწვრილებით შეისწავლა და გამოარკვია, რომ ისინი არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, სარიშვილი-ჭანტურიას მიერ დასახელებულ კანონდარღვევათა ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. ამის შესახებ უკვე ინფორმირებული იყო საზოგადოება და თვით ი. სარიშვილი-ჭანტურია როგორც ადრე, ისე ამ ბოლო დროს პროკურატურაში გენერალური პროკურორის პირველ მოადგილესთან მასმედიის წარმომადგენელთა თანდასწრებით შეხვედრისას.

ზესტაფონში მომხდარ ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის მიზნით საქართველოს გენერალური პროკურატურა მიმართავს ყველას, — თავი შეიკავონ უსაგნო და დაუსაბუთებელი განცხადებებისაგან, განსაკუთრებით კი ასეთი დასკვნებისაგან. იმ შემთხვევაში, თუ გაირკვევა, რომ ესა თუ ის პირი მაინც ცილს სწამებს სხვას დანაშაულის დაბრალებით, სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში დაისმება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

**გენერალური პროკურატურის პრესცენტრი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 231. შაბათი, 26 აგვისტო, 2000 წელი.



## თუშეთობა – 2000

(პირველი გვერდიდან)





# „გრიგალო, იუხჩე! კლდეებო, დასხედით!..“

ომალოს თეატრონზე ზეიმს ხსნის თუშეთის საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ მურთაზაშვილი და მცირე პრესტორიას გეთავაზობს მწყემსის დღესთან დაკავშირებით. კიდევ ერთხელ ეუბნება მადლობას საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც მწყემსის დღეს ჩაუყარა საფუძველი და განვების ძალით („არის სასწაულები, როგორ არა. ისეა, რომ ჩვენც არ ვიცით“) მანვე აღადგინა თითქმის ათი წლით მივიწყებული თუშეთობა.

სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში ბიძინა სონღულაშვილი საქართველოს პრეზიდენტის მიმართვას კითხულობს: **„ჩემო მეგობრებო, თუშებო, უნდა მაპატიოთ მოულოდნელობის გამო მთაში ამოუსვლელობა. დამიჯერეთ, მთელი გულით და სულით თქვენს გვერდით ვარ, ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ ულამაზეს კუთხეს და ხალხს...“**

თეატრონზე სიჩუმეა.

„გრიგალო, იუხჩე!“ – ანდა, სადაა გრიგალი და იმ პირველი თუშეთობის ლვარცოფი.

ფთილა ღრუბლებიდან მზე გამოაჭყიტს თვალს და ყურს მიუგდებს, რამ დააცხროო გრიგალი მთიელთა გულებში, რატომ არ ისმისო ჩქამი.

ქვეყნის პრეზიდენტის მიმართვას ისმენდნენ თუშნი.

თვალით თითქოს ამ მიმართვის ავტორსაც ეძებდნენ, რომელიც „მთელი გულით და სულით“ იქ იყო, ჩვენთან – თუშებთან და სტუმრებთან ერთად ზეიმობდა მწყემსის დღეს.

ტაშმა გაპკვეთა თუშეთის ცა. მზე აბდღერიალდა კესელოს ციხეზე.

ირაკლი ჯამრულიძემ – ახმეტის რაიონის გამგებელმა ნაბადი მოასხა ვანო ქაძეს და გზა დაულოცა „გარე მხარეში“ გასასვლელად.

ობოლი ბიჭია ვანო ქაძე. მამამ პატარაობიდანვე აიმგზავრა და ცხვარ-მეცხვარის მადლს აზიარა. ამიტომაც იყო, ირაკლი ჯამრულიძის თხოვნაზე რამე თქვიო, – „დიდი მადლობა, აბა!“ – გეითხრა და მორიდებით გაეცალა მიკროფონს.

სასიხარულოა, რომ მეცხვარის ასაკი გაახალგაზრდავდა. ასე თქვა ზურაბ მურთაზაშვილმა და დაეჯერება. რეზო ცაძიკიძე კი, 84 წლის ბერიკაცი, რომელსაც 45 წელი მთაში გაუტარებია, აქაურობას ვერ ელევა და ზამთარზაფხულ აქ არის. საერთოდ, ზამთარში მთათუშეთში 120-მდე კაცი (40-მდე ოჯახი) რჩება. რეზო პაპას აღარც მუხლი უჭრის და აღარც ჯანი მოსდევს. ამიტომაც სიხარული ჩაუდგათ თვალში მოხუც მწყემსებს ვანო ქაძის კურთხევისას. მარშანაც 4 ბიჭს დაულოცეს გზა. რაც იმის იძლევა, რომ კიდევაც აღორძინდება მეცხვარეობა.

თუმცა, ამ აღორძინების პროცესს ახლავს პრობლემებიც და ამის შესახებ ისაუბრა ირაკლი ხეთაგურიძემ. თუშური გამოთქმაც მოიშველია – „იწვება გულავ და, გეწვის პირმოსაკრავებიო“.

უჭირს მეცხვარეს, – ვაქცინაცია და რევაქცინაცია არ ჩატარებიათ... გადამამუშავებელი მრეწველობა გაჩერებულია და არ იციან, სად წაილონ, რა უყონ გაზაფხულის მატყლს – განთქმულ თუშურ მატყლს.

ირაკლი ხეთაგურიძის გამოსვლით შეწუხებული დავით კირვალიძე – სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ზეიმის შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბრისას იტყვის:

**– ვაქცინაცია და რევაქცინაცია რამდენიმე კაცს სჭირდება და ეს არ იქნება პრობლემა.**

**რაც შეეხება უფრო დიდ პრობლემას – მატყლის ჩაბარებას, ეს უკავშირდება რეფორმების პოლიტიკას, რომელიც უნდა გატარდეს.**

**გადამამუშავებელი მრეწველობა ყოველთვის არის გარკვეული გარანტი იმისა, რომ პირველადი წარმოება იმუშავებს. ეს არა მარტო მაუდ-კამვოლის კომბინატზეა დამოკიდებული. უნდა ვიფიქროთ შაუმიანის ქარხანაზეც.**

**ამ საწარმოების ამუშავებას ხელშეწყობა სჭირდება, რათა შეძლონ სწორი ნაბიჯების გადადგმა. ეს გამოიხატება ნორმალური საინვესტიციო კლიმატის შექმნაში და საგადასახადო რეჟიმის ოპტიმიზაციაში, ნორმალური გარემოს შექმნაში და, გარდა ამისა, ამ რეჟიმის დარეგულირებაში, რაც სტიმულს მისცემს მათ წარმოების განსავითარებლად.**

**ბუნებრივია, ეს იქნება აუცილებელი მეცხვარეობის გადასარჩენად.**

**უფრო ფართოდ თუ შევხედავთ, საქართველო გახდა ფაოს წევრი და ჩვენ გვაქვს უფლება, გამოვკვეთოთ ჩვენი პრიორიტეტები და მათ ხელი შევუწყოთ.**

საყურადღებოა დავით კირვალიძის გულისხმიერება.

ჩვენ კი თეატრონზე დავბრუნდეთ.

ომალოს ზეიმის საქმიანი ნაწილის კულმინაცია იყო დაჯილდოება.

სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა ღირსების ორდენები გადასცა რუბენ ბილოიძეს – შპს „ქვემო ალვანის“ მეცხოველეობის ბრიგადის ბრიგადირს და ალიოშა ომაიძეს – სოფელ ზემო ალვანის მეცხოველეობის სანაშენე სახაზინო მეურნეობის მეცხვარეობის №1 ბრიგადის ბრიგადირს. ღირსების მედალი ლაიშახურა ხანდრო იდიძემ – სოფელ ზემო ალვანის მეცხოველეობის სანაშენე სახაზინო მეურნეობის მეცხვარეობის №2 ბრიგადის მწყემსმა.

რისთვის? მოგახსენებთ, – საქართველოში მეცხოველეობის დარგის განვითარებაში, რთულ კლიმატურ პირობებში თუშური ჯიშის ცხვრის შენარჩუნებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის.

მადლობას უხდიდნენ თავიანთ პრეზიდენტს მისი თუშები.

სახელმწიფო მინისტრმა კი, რომლისთვისაც არც ეს ხალხია უცხო და არც ამ ხალხისთვის არის უცხო გიორგი არსენიშვილი, თავის გამოსვლისას გაიხსენა:

**– მარშან, 3 აგვისტოს აქ ვიზეიმეთ მწყემსის დღე, ვმხიარულობდით, მაგრამ 6 დღის შემდეგ მოხდა სამწუხარო ამბები და ჩვენ საკმაო დრო დავხარჯეთ იმაზე, რომ გაგვერკვია, ვინ იყო მტყუანი და ვინ – მართალი. მართალი იყო თუშეთი, თუშები, ჩვენ.**

**ეს, მართლაც, ძალიან დიდი ხანია არ მომხდარა, რომ ქვეყანამ, რომელმაც დაბომბა ეს ადგილები, – და თქვენ ძალიან კარგად გახსოვთ რა ამბავი იყო აქ ცხრაშიც, ათშიც, თერთმეტშიც და ათი დღის შემდეგაც, – ღმერთის წყალობით, ბოდიშიც მოიხადა.**



**ამით დაამტკიცა, რომ კეთილშობილებაა, როცა რამეს დააშავებ, ბოდიშიც მოიხადო.**

**იმ ორიოდე კაცს, რომელიც დაშავდა, იმ ოჯახებს გვერდში უნდა ამოვუდგეთ და დავეხმაროთ.**

**ეს არის ნამდვილი საქართველო. მე მინდა, რომ თუშეთი იყოს ყოველთვის ძლიერი, ყოველთვის ამაყი იმით, რაც გაკეთებული აქვს საქართველოსთვის.**

**თუშეთი ყოველთვის ერთგულია იმ მისიისა, რომელიც აკისრია თუშობას.**

ნაბდით დაასაჩუქრეს თუშებზე შეყვარებული კაცი – გიორგი არსენიშვილი.

სიკეთე და მხარში დგომა არ იკარგება.

და ამაში დავარწმუნებდათ თუშთა დამოკიდებულება სახელმწიფო მინისტრისადმი.

არაფერს ვაჭარბებ, – გავიხსენოთ შარშანდელი 9 აგვისტო და თქვენც დამეთანხმებით.

**იმ დღეების ქრონიკა:**

9 აგვისტოს, დაახლოებით 14 საათსა და 45 წუთზე საქართველოს საზღვრებზე შემოიჭრა 2 მოიერიშე თვითმფრინავი, რომლებმაც სოფელ ზემო ომალოსა და მის მიმდებარე ხევის ტერიტორიაზე ნაღმები ჩამოყარეს.

დაიჭრა სამი ადამიანი, ერთი მძიმედ. ისინი (3 ახალგაზრდა კაცი) იმავე დღეს გადმოიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შეშფოთება გამოთქვა მომხდარის გამო და რუსეთის მაშინდელ პრემიერს ბორის ელცინს მიმართა:

**„მჯერა, საქართველოს მოსახლეობა და ხელისუფლება მიიღებენ სათანადო განმარტებას მომხდარ ვანდალურ აქტთან დაკავშირებით“.**

მხოლოდ მიმართვით არ შემოიფარგლა ქვეყნის ხელისუფალი.

პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და განსახლებით დაცვის მინისტრი დავით ჯორჯიბაძე იმავე დღეს გაფრინდნენ ომალოში.

მეორე დღისთვის, 10-ში ასამდე (შეიძლება მეტიც) ნაღმი ააფეთქეს.

მოვუსმინოთ გიორგი არსენიშვილს, რომელიც იმ დღეებს იხსენებს:

**– მოსკოვში ვიყავი 9-ში და 3 საათზე გავიგე, რომ აქ ნაღმები ჩამოყარეს. მაშინვე გამოვფრინდი მეგობრების დახმარებით და 10-ში, დილით ადრე თუშეთში ამოვედი.**

**ქვემო ომალოში პატარა ბიჭი შემხვდა და ვკითხე, როგორ იყო მეთქი, ნაღმები რომ ჩამოყარეს.**

**ასე მითხრა: – ბრჭყვიალებ ცვიოდაო.**

საუბარში ირაკლი ჯამრულიძე ერთვება:

**– აქა ცხოვრობს ერთი, იმან კიდე აკრიფა, სახლში წაიღო, ეს რა კარგი საჩუქრებიაო.**

**– მაგის სახლში არ იყო, რომ მერე ავაწყვეთ? – აზუსტებს გიორგი არსენიშვილი და აგრძელებს: – აქ იყვნენ თელავის თეატრის მსახიობები, თბილისელები და, – რა ხდებაო, – კითხულობდნენ.**

**ვეუბნები, წადით აქედან.**

**– რა უნდა მოხდეს, – უკვირთ და ამ დროს... თავისით სკდებოდა.**

**ახლა გვეცინება და მაშინ...**

ისევ ქრონიკა:

13 აგვისტოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი არსენიშვილი რუსეთ-საქართველოს ერთობლივი კომისიის წევრებთან ერთად ომალოში ავიდა.

18 აგვისტოს რუსეთმა აღიარა, რომ მისმა თვითმფრინავმა 9 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიაზე შეცდომით ჩამოაგდო ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებიანი კონტეინერი.

და ბოდიში მოუხადა საქართველოს. ასევე, განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს მიყენებული ზარალის კომპენსაციის საკითხი.

აი, ამას გულისხმობდა გიორგი არსენიშვილი, როცა ამბობდა, – კეთილშობილებაა, როცა რამეს დააშავებ, ბოდიშიც მოიხადოო.

თუმცა, ამ კეთილშობილმა მეზობელმა ამ ორიოდე თვის წინათ სადავოდ გამოაცხადა რუსეთ-საქართველოს საზღვრის დაღესტნის მონაკვეთი, კერძოდ, თუშეთში, დიკლოს მთის მიმდებარე ტერიტორია – 4200 ჰექტარი. ამის შესახებ (სხვა შეუთანხმებელ მონაკვეთებზეც) ისაუბრა ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ზაზა კანდელაკმა – საქართველოს საზღვრების სადელიმიტაციო-სადემარკაციო კომისიის თავმჯდომარემ და ხაზგასმით აღნიშნა, – თვითშემოქმედებას ნუ მიემართავთ საზღვრებზე წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებითო.

ჩვენც ნუ მივეცემით თვითშემოქმედებას. რაც არ ვიცით, ნუ შევუდგებით იმის განსჯას. და მოვუსმინოთ გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძეს – სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

**– თვითონ მოსახლეობაც გვერდში გვიდგას. განსაკუთრებით, – ზამთარში. საზღვარი საკმაოდ ჩაკეტილია. ეუთოს დამკვირვებლებიც აფიქსირებენ ამას. მესაზღვრეები ომალოში და გირევში არიან.**

**გირევში ზამთრის პერიოდში მეეჭვება, მაგრამ ომალოში დარჩებიან. საზღვრის დარღვევას ადგილი არა ჰქონია. საჰაერო სივრცეს ხშირად არღვევენ და რეაგირებას ვახდენთ.**

**საჰაერო სივრცეზე პასუხისმგებელია თავდაცვის სამინისტრო და მათ საქმის კურსში ვაყენებთ.**

იეარ ეიკი – ეუთოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე და ჯერი ტომასი – ეუთოს დამკვირვებელი, აშშ არმიის ვიცეპოლკოვნიკი ადასტურებენ ვალერი ჩხეიძის ნათქვამს, თუმცა, თავს იკავებენ რაიმე კომენტარის გაკეთებისგან:

**– ჩვენ ვაკვირდებით საზღვარს მიწაზე და ზეციდანაც – ვერტმფრენით. საზღვრის დარღვევის ფაქტები არ შეგვიმჩნევია. სიტუაცია კონტროლდება.**

შარშან თუშეთს 30-კაციანი საგუშაგო ჰქონდა. ზაფხულობით, როდესაც უღელტეხილები იხსნება, მათ დამატებითი ძალები შეეხიდებიან ხოლმე.

**„თქვენ საქართველოს იცავთ. თქვენი იმედი გვაქვს და მადლობას გიხდით სამსახურისათვის“,** – მიმართა მესაზღვრეებს საქართველოს პრეზიდენტმა ომალოში სტუმრობისას.

ვალერი ჩხეიძის თქმით, ახლა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთისა და დაღესტნის მონაკვეთს თუშეთში 120-მდე ქართველი მესაზღვრე იცავს.



საზღვრის დაცვა საზღვრისპირა სოფლებში ცხოვრების წესია. ამიტომაც, ამ მოვალეობის შესრულება მხოლოდ მესაზღვრეებთან არ ასოცირდება.

მათთან ერთად საზღვარს იცავენ თუშნი.

ომალოს თეატრონზე ჰარმონის ხმა გაისმა და სიმღერები, გულში ჩამწვდომი თუშური სიმღერები:

„რა ლამაზია თუშეთი...“

„დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან...“

„იქ, სადაც ზაფხული ივნისში იწყება...“

„საყონის მწვერვალზე ანაზდად,
ჭაბუკი მხედარი გამოჩნდა...“

თუშებმა გიორგი არსენიშვილს იყალთოელების – გიგლა პაპალაშვილის, დათა ბაზერაშვილის, ლადო არსენაშვილის და გიორგი შათირიშვილის სიმღერა მიუძღვნეს, რომელიც ჩავიწერე და მინდა თქვენც შემოგთავაზოთ:

სოფლის ბოლოში ღელეზე,
ერთი პატარა ხიდია,
ამ ხიდით ჩვენთან მოდიან,
ამ ხიდით ჩვენგან მიდიან.

ბებიაჩემი ამ ხიდზე
დადის ოთხმოცი წელია,
ბებია ამბობს, — ეს ხიდი
თამარის დროინდელია.

ვინ იცის, კიდევ ამ ხიდზე
რამდენი კაცი გავაო,
ზოგი პირველად შემოვა,
ზოგიც საერთოდ წავაო.

ხიდი ხომ მაინც დარჩება,
რადგანაც ხიდი ხიდია,
ასეა წუთისოფელი —
სულ მოდიან და მიდიან“.

მშვილდოსნობაში ეჯიბრებიან სტუმრები და მასპინძლები.

რა მოხდება? ნუთუ, ახლაც ვიხილავთ სასწაულს, რომელიც „არის, როგორ არა. ისეა, რომ ჩვენც არ ვიცით“?

ვერ ვიხილეთ. ედუარდ შევარდნაძის შარშანდელი რეკორდი ვერავინ მოხსნა. მეორე გასროლაზე კი არა, მეოცედაც მოზიდეს მშვილდი და ისარიც ოცჯერ გაფრინდა, მაგრამ დროშას (მით უფრო, დროშის ტარს!) კი არა, ვერც ერთ პრიზს ვერ მოახვედრეს.

დროშის გარდა პური, მარილი, მატყლი და წინდა იყო სამიზნედ. იქვე ახლოს ცხვარი ელოდება პატრონს, რომელიც არ ჩანდა.

პირველი აღტაცებული შეძახილი – პურს მოარტყა დათო ბერძენიშვილმა – ახმეტის გამგებლის მოადგილემ. ცხვარიც მისია.

მოისარნი ემხში შეეიდნენ. არც ერთი პრიზი არ უნდა დარჩეს მოუგებელი. – ასეთია მოთხოვნა.

ზურაბ ქაძე – რუსთავის №2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ქირურგიული განყოფილების გამგე დაუჯდა ცხენს, რომელმაც შორს არსად წაიყვანა. იქვე, დიკლოში გადააბრძანეს და მხოლოდ იმ დღის ღამეებს, ჩვენთან ერთად დატოვა თუშეთი და თბილისს დაბინავდა, როგორც კიდევ ერთი დასტური თუში კაცის თვალის ქორებულ მხედაენობისა.

ზურაბი ოჯახთან ერთად მხოლოდ ორი კვირით ეწვია მშობლიურ დიკლოს და მერე, მგზავრობისას, არაერთხელ გაიმეორა – ბედნიერი არისო ეს წელიწადი ჩემთვის.

დოღში პირველობა არავის დაუთმო ლევან კახოძემ. მის ასაკს ფოტოზეც იოლად გამოიცნობთ. თუშნი ამბობდნენ, ლევანი ათენგენობაზეც პირველი იყოო.

აღდგენილ თუშეთობას ორი მხედარი ჰყავს – შარშან ეკა ჭერიტიძემ ისახელა თავი, წლეულს – ლევან კახოძემ.

იოსებ ლონგიშვილის ლექსის ორი სტრიქონი მახსენებს თავს:

**„კვლავ დაირწევა ბუხრის პირს მთას ნზმობ ბალღის აკვანი!“**

კვლავ დაირწევა. კიდევაც იმარჯვებენ თუშნი, რომელთაც ყურადღება არ აკლიათ, მაგრამ დღევანდელი დღისთვის.

ასედაც ბრძანებს გიორგი არსენიშვილი:

**– რა თქმა უნდა, ბევრი რამ არის გასაკეთებელი საქართველოს ამ მარგალიტისთვის.**

**პირველი, ეს არის ტურიზმის განვითარება, მაგრამ ამისთვისაც გარკვეული სახსრებია საჭირო და ამ სახსრების გამოყოფა, ალბათ, მომავალი წლისთვის იქნება შესაძლებელი.**

**გარდა ამისა, მუშავდება საერთაშორისო პროგრამა, რომელიც თუშეთისთვის 3 მილიონი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს. უნდა ვთქვა, რომ ამას დიდი ღვაწლი დასდო თუშეთის გამგებელმა ზურაბ მურთაზაშვილმა თავისი აქაური მეგობრების და საქართველოს პარლამენტის დახმარებით.**

**მაგრამ, მთავარი არის ის ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მთათუშეთისთვის უპირველესია – მეცხვარეობა. ეს არის არა მხოლოდ თუშეთის გადარჩენა, არამედ ერის გადარჩენა.**

**დღეს მეცხვარეობას დახმარება სჭირდება. გაივლის სულ მცირე დრო და ამასაც შევძლებთ.**

**თუშები მოწუწუნე ხალხი არ არის, ძალიან მედგარი და მაგარი ხალხია. მე ამაში დავრწმუნდი, როდესაც შარშან ნაღმები ჩამოყარეს. აქ შეშინებულ კაცს ვერ ნახავდით, თუმცა, ბავშვები გაარიდეს და სწორადაც მოიქცნენ.**

**თუშები და თუშების საქმე უკვდავია. და ვიდრე იარსებებს საქართველო, იქნება ეს მარგალიტიც.**

გენერალ ვალერი ჩხეიძის საამაყო მფრინავი შამილ ქორთოშიძე ვერტმფრენის დასაჯდომად ადგილს ზვერავს – „ხმელეთის ზურგზე დასაყრდენს ეძებს“.

შემოსჯარვია ომალოს „მთები, მთები – ბუმბერაზთა მხედრობა...“ (გიორგი ლეონიძე).

დათო კირვალიძემ შეხედა ალმეტრს – ზღვის დონიდან 2000 მეტრზე ვიმყოფებით.

...მზის ჩაწვრეამდე ... ომალო. ციცაბო ფერდობ... უფსკრულის პირებს ცხვარი შეჰფენოდა და მხოლოდ მაღალი მთის აბედით ძუმანკოებას თეთრად აგეირისხებდა.

**ზონდო მძინარაშვილი,**
„სრ“ სპეც. კორ.

**P. S. ვალერი ჩხეიძემ გვიამბო:**
**ერთხელ მიხეილ ხერგიანს ჟურნალისტმა ჰკითხა:**
**– რას ეძებთ, რატომ დადიხართ მთაში?**
**– იმიტომ დავდივარ, რომ მთაში ასეთ ბრიყვულ შეკითხვებს არ მისვამენ, – უპასუხია ლეგენდარულ მთამსვლელს.**

## მამული

**რუბრიკას უძღვება**
**როინ მეტრეველი**

**„მშობლიური მიწა-წყალი, მამული მარტო ნივთიერი ფაქტორი არ გახლავთ, იგი სულიერია, ცოცხალი არსებაა“ – იაკობ გოგებაშვილი.**

**– „ძველი დრო გათავდა. ვიწყებთ ახალ ცხოვრებას, ახალ ისტორიულ პერიოდს, ეს პერიოდი უნდა იყოს ჩვენი თავისთავადობისა და დამოუკიდებლობის დაბრუნება“...**

**„თანამედროვეობა მკაცრია და ჭუჭყიანი, მყრალი და მძვინვარე, მაგრამ არავის აქვს უფლება, ამის საფუძველზე, თავი გაითავისუფლოს მისი გაწმენდისაგან, მისი ასენიზაციისაგან. თორემ გასაგებია, ფრაკებში და თეთრ ხელთათმანებში ყველას ესიამოვნება ცხოვრების სასახლის გაპრიალებულ პარკეტზე სრიალი“, – ნიკო ნიკოლაძე.**





# იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ნიკოლაძე საუკუნეთა მიჯნაზე

საუკუნეების მიჯნაზე გადაღებულ ცობილი ფოტოგრაფის ცნობილ ფოტოებს ვუცქერთ, დავჩერებივართ, ყოველდღიურად ვხედავთ და ვფიქრობთ, გვსურს სურათიდან ალვიქვათ, გავიგოთ მორსმჭვრეტელი მზერა სამი ბუმბერაზი ქართველის – ილიას, აკაკის და იაკობის... შუაში ილია დაბრძანებულა, როგორც ეკალრება, მარჯვნივ და მარცხნივ აკაკი და იაკობი, როგორც ეკუთვნით. ახალი, მეოცე საუკუნის დასაწყისია, თერთმეტერულეამით შემოსილნი სხედან მედიდურად შავი ფრაკებითა და ცილინდრებით მორთულნი, დინჯად, დარბაისლურად, მხოლოდ მათ რომ შეეძლოთ და მხოლოდ მათი ხვედრი რომ არის ისე, იმგვარად... ეს ფოტოსურათი, საეკლესიო ფრესკებს – ხატებს გვაგონებს, სადაც კანონიკური – რელიგიური მხატვრობის წესით წმინდანთა გამოხედვა – მზერა მარადისობისაკენ, უსასრულობისაკენ, კონკრეტული დროის განუსაზღვრელად უნდა იყოს აღქმული; იდუმალებითა და ზებუნებრივობით მოცული, ყველა დროსა და ყველა ეპოქაში იმედისა და რწმენის ჩამსახველი მზერით, უბრალო მომაკვდავთათვის ამოუცნობი და ჭეშმარიტ მორწმუნეთათვის საცნაური და იმედის მომცემი... ასეთი შედარება-შეფასება მკრეხელობაში რომ არ ჩამოგვერთვან, იმასაც დავძენთ, რომ ფოტოზე აღბეჭდილი დიდებული ქართველებიდან ერთი – ილია ჭავჭავაძე – შემდგომში წმინდანად შერაცხეს, აამაღლეს, ხოლო ორნი – აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი ჩვენი ქვეყნის ხატებად და გმირებად დარჩნებიან მუდამ... სამივენი კი, შთაის საქმეებითა და სახელით – უკვდავნი ქართველთა მეხსიერებაში, მრავალი მომავალი საუკუნის განმავლობაში... ზემოთ აღნიშნულ ფოტოს, ორიოდე დიდი ქართველიც რომ დაემატოს, მათთან ერთად რომ ილვაწეს, უფრო მეტად შეივსებოდა გენიოს ქართველთა გალერეა, მაგრამ... ჩვენი განმარტება – გეგმა-მიზანი, ვისაც ახსოვს, საუკუნეების მიჯნაზე, დიდ ქართველ მოღვაწეთა ნაშრომის წარმოჩენა-გაცნობაა, მათი ფიქრისა და განსჯის ზუსტად ამ პერიოდში ჩვენეული შეფასებაა.

დღეს, ამ სურათის მაცქერალნი, ილიას და აკაკის გვერდში მდგომს, არა მხოლოდ ფოტოზე, არამედ ყველა დიდ ეროვნულ საქმეში, ქართველთა განმანათლებელს, უპირველეს მასწავლებელს – მოძღვარს იაკობ გოგებაშვილს და მრავალმხრივ განსწავლულ-განათლებულ, ყოველგვარ საქმიანობაში გარკვეულ ნიკო ნიკოლაძეს გაგაცნობთ. გაცნობას როგორ შევბედავთ, უბრალოდ და ზუსტად ჩვენი პრინციპით – სურვილით, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, მათი მოღვაწეობის რამდენიმე სურათს – ფურცელს წარმოვიდგენთ საუკუნეების მიჯნაზე... ზემოთ, ფოტოსურათთან დაკავშირებით აღვნიშნავდით -- ორიოდე გენიოსი ქართველიც რომ დაემატოს ამ სამეულს, სრული სურათი შეიქმნებოდა დიდებულთა გალერეისა და იმ ფოტოზე, ერთად თუ არ აღმოჩნდნენ ჩვენი წარმოდგენით ერთ მთლიან ნაწერად-კრებულად, მაინც ვეცდებით ამ გალერეის პორტრეტთა დასურათება-წარმოჩენას დროის კონკრეტულ პერიოდში... წინა წერილებში, ამ სახით, ამ დოზით, ჩვენ იმ ფოტოს ორ გმირზე – დიდ ილიაზე და დიდ აკაკიზე ვისაუბრეთ, შემდეგ იმ ფოტოზე, იმ შემთხვევაში არ დაფიქსირებულს, მაგრამ, ყველა ჩვენგანის წარმოდგენაში იქვე მდგომს და სინამდვილეში – ცხოვრებაშიც – მოღვაწეობითაც მათი თანამოაზრის დიდი ვაჟას შესახებაც ვისაუბრეთ და მასთან ერთად, იმავე წერილში, ახალგაზრდა ღრმად მოაზროვნე ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, არჩილ ჯორჯაძის დახასიათებაც მოვასწარით საუკუნეთა მიჯნაზე.

ამ კომენტარებისა და „ახსნაგანმარტების“ შემდეგ ღრმად გავიაზროთ, ჩვენეე შევიგნოთ და სხვასაც გავაგებინოთ იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ნიკოლაძის ნალვაწ-ნამოქმედარი-შექმნილი. კონკრეტული პერიოდის, კონკრეტული მასალის წარმოჩენით...

იაკობ გოგებაშვილის საქმესა საგმირონსა ჩვენ რა უნდა შევმატოთ? დიდი იაკობი, ხომ ის პიროვნებაა, ის ძალაა, ის ღვთაებაა, დღემდე ყველა ქართველს, ქართულად რომ აწერინებს და მშობლიურ ენაზე ალაპარაკებს!

თანამედროვე ენა, თანამედროვე მეტყველება, აი, დღეისათვის და ყველა შემდგომი დროისათვის ქართველთა უპირველესი საუნჯე – საგანძური, დიდი იაკობის ნაბოძვარი სიმდიდრე, საჩუქარი!

კვლავ, იმ ფოტოს ვუბრუნდებით. ილიას ცილინდრი ქვემოთ, შუბლზე აქვს ჩამოწეული, თითქმის თვალებამდე, გვეჭვრეტს, ეჭვით გვიყურებს, დარწმუნებულიც არის და არც არის ჩვენს ბედისწერაში... აკაკი გვერდიდან შემოგვცქერის, მედიდურად და ცოტათი ირონიულად – მისებურად. იაკობს კი, ხელები, მათგან განსხვავებით, უფრო მეტად მიუბჯენია გულმკერდზე, თითქოსდა გვეუბნება: რაც შემეძლო გავაკეთეო... ასეც არის, ასეც იყო, დასამალი რა აქვს, არხეინად კი არ აქვს ხელები შემოწყობილი, არამედ აბა თქვენ იცით – ისწავლეთ, იშრომეთ – მე ჩემი ვთქვი და ახლა ნაყოფს ველოდებიო... ამიტომაც ჰქვია დღემდე მასწავლებელს – დამრიგებელი, მხოლოდ იგი, განსხვავებით კლასის დამრიგებლისაგან, ერის მასწავლებელი – დამრიგებელი იყო... განა ტყუილად ამბობს 1990 წელს დაწერილ სტატიაში, „ქართველთა განათლების ნიჭი“ რომ დაარქვა: „ცნობილია, რომ პედაგოგიური ნიჭი ვერ დაისადგურებს ვერც კერძო კაცში და ვერც ერში, გარეშე ნამდვილი ადამიანურის გრძნობისა“. და შემდეგ: „ეგოისტ კაცთა და ტომთა არ ძალუძთ პედაგოგიის სფეროში შემოქმედებითი ძალა აღმოაჩინონ. ისეთი ფრიად რთული და ყოვლად ძნელი საქმე, როგორც ადამიანის აღზრდა და სწავლებაა, ხელიდგან გამოუვა მხოლოდ მათ, ვისაც აღულღმელებს გულწრფელი სიყვარული მოყვასთა მიმართ“. ეს აღნიშნული თავისებურებანი ქართველთა ბუნებისააო – დასძენს იაკობ გოგებაშვილი. ამით იგი მიუთითებს საზოგადოებას, რათა უპირველესი ყურადღება მიექცეს სწავლა-განათლებას, უფრო მეტიც, ახალ დროს – ახალ საუკუნეში, ახალი სწავლების მეთოდიკაზე ლაპარაკს და იმასაც მიანიშნებს, რომ ისეთი სასწავლებლები უნდა შეიქმნას, „რომელთაც შეუძლიათ გამოუზარდოს ჩვენს ქვეყანას ახალი ტიპის ქართველები“. ხაზგასმით, ფართო ასოებით მიანიშნებს ერსა და ბერს ამის აუცილებლობაზე.

მეოცე საუკუნის დაწყებამდე იაკობ გოგებაშვილმა მოღვაწეობის მწვერვალი უკან მოიტოვა, დიდი მეცნიერულ-შემოქმედებითი პედაგოგიური გზა განვლო, ქართველებს წერა-კითხვა შეაყვარა და შეასწავლა, ფუტკარივით იშრომა, მთელი ძალა და ენერგია შეალია სახელმძღვანელოების შექმნას, სასწავლო პროგრამებისა და სასკოლო სწავლების მეთოდიკის შედგენას. „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ ქართველებს „სამზითვო“ წიგნად დაუტოვა და ისეთი რუსული „Русское слово“ დაწერა, არა მხოლოდ ქართველი ბავშვების, არამედ რუსეთის იმპერიის ქალაქების, რუსულ სკოლებში, რუსი ბავშვების სანატრელი სასწავლო წიგნი გახდა... მან თითქმის ყველა სფეროში ილვაწა: სკოლების მშენებლობიდან დაწყებული – ისტორიული ნაწარმოებებით დამთავრებული, მაგრამ... მაინც ვერ ისვენებს, გრძნობს ახალი საუკუნის დაწყებას, ახალი ცხოვრების წესის მოსვლას, ახლებური ცოდნის აუცილებლობას, ქართველთა მომავლისათვის განმსაზღვრელი ახალი საქმიანობა – პროფესიების შესწავლის აუცილებლობას... ამ მიზნით, ვითომდაც ხანდაზმულ-დაღლილი კაცი, ვითომ რომ ხელები გულზე დაუკრეფია, ახალი ცხოვრებით იწყებს მოღვაწეობას საუკუნეების მიჯნაზე, მის მიერ დაწერილი მცირე სტატია თუ დიდი ნარკვევი, მაღალ საზოგადოებაში სიტყვით გამოსვლები, ათეული მოხსენება თუ დოკუმენტი გამსჭვალულია მომავლისათვის – საქართველოს, ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

იაკობ გოგებაშვილი გრძნობს ახალი საუკუნის ახალ მიმართულებებს პოლიტიკაშიც, ეკონომიკაშიც, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაშიც და, რაც მთავარია, განათლების სისტემაში. ამიტომაც მის იმჟამინდელ ნაწერებში თუ გამოსვლებში იგრძნობა ახალი მიმართულებების და სპეციალობების ღრმა ცოდნა, იაკობ გოგებაშვილს – მწერალს, პედაგოგს, ჩვენთვის – მისი საყვარელი ერისათვის საბანკო საქმეც შეუსწავლია, კაპიტალისტურ ეკონომიკურ სპეციფიკასაც გასცნობია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნიუანსებშიც ჩაუხედავს, ევროპის მოწინავე ქვეყნების მაგალითზე... კაპიტალიზმის ჩასახვაც უგრძვნია და ისიც არ დავიწყნია, თუ როგორ უნდა შეესწავლა და გაეთავისებინა ეს ქართველ ხალხს. უფრო მეტიც, დიდ ქართველს ისიც კარგად განუსაზღვრავს, თუ როგორ მიაღწიოს ყველაფერმა ამან, ჯერ ქართველთა გონებამდე, ე. ი. სწავლა-განათლებით, და შემდეგ ქართველთა შრომაში ე. ი. ახალი სპეციალობების ათვისებით. ამასთან დაკავშირებით, ნახეთ რას უქადიებს ხალხს, საზოგადოებას: **„დროა შევიგნოთ ჟამთა ცვლილებანი, ჩვენც შევიცვალენოთ შესაფერად და დავადგეთ იმ გზას, რომელსაც ადგია ყოველი სადი და მომავლიანი ერი. დროა აწინდელი წამის მაგიერ გავამეფოთ ჩვენს ცხოვრებაში პრინციპი მომავლისა, პატარა დღევანდელს სიამოვნებას ვამჯობინოთ ყოველთვის ხვალინდელი დიდი სიკეთე“**... აი, მისი ლედაარი, აი მისი ცხოვრების კრედო ამ ეტაპზე, საუკუნეთა მიჯნაზე (სტატია „დღევანდელი კვერცხი, თუ ხვალინდელი ქათამი?“).

ყველაფერს გრძნობს, ყველაფერი იცის და ესმის, კონკრეტული მაგალითი ნახეთ სტიპენდიების გაცემისა და გიმნაზიის შექმნის შესახებ: „ჩვენი აზრით, ყველას ის ემჯობინება, რომ რამდენიმე ბანკის დამფუძნებელმა შეადგინოს საერთო ქაღალდი მართველობის სახელობაზედ, მასში განაცხადოს თავისი სურვილი, რომ მისაღები ფული გადაცემული იქნას სააზნაურო სკოლის კომიტეტში და ამ ქაღალდებზე ყველა დამფუძნებელს მოაწერინონ ხელი. ქაღალდში მოხსენებული იქნება, რომ ეს ფული გადაეცემა კომიტეტს იმ პირობით, რომ მან ჯერ იგი მოიხმაროს სახლის აშენებაზე, (გიმნაზიის მშენებლობაზე ავედარები), მერე ისე დაიბრუნოს, უკვდავ თანხად გადასდოს, შეინახოს ქართულს სამეურნეო ბანკში და მისი სარგებლით აღზარდნ სტიპენდიატები“, როდესაც ერს გაუჭირდა, მის სანუკვარ ოცნებას, ქართველთა განსწავლულობას – განათლებას ფერი ეცვალა, „აი იას“ ავტორმა საბანკო საქმეც ისწავლა... საოცარია, წარმოუდგენელია, თითქოსდა მისთვის საერთოდ უცნობი საქმის ასეთი ღრმა ცოდნა, კიდევ ერთ მსუყე, მაგრამ ჩვენი აზრით, აუცილებელ აბზაცს მოგაწვდით დიდი იაკობის შეგონებისა „მესამე სიკეთეც შეიძლება მოატანინოს თავადაზნაურობამ ამ ფულსა (ლაპარაკია ადრე ბანკში შეტანილი ფულის მომგებიან პროცენტის ავტორებზე.), ეს სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ რვა ათასი თუმანი ფული შეტანილ იქნას სასარგებლოდ არა სხვა რომელიმე ბანკში, არამედ ქართულს სამეურნეო ბანკში, რომელიც მკვიდრს საფუძველზე დგას და სარგებელსაც მეტს იძლევა, ეს ფული გაუმლის თვით ბანკსა, ახლა ძალაუნებურად ხელმოჭერილსა, და შეძლებას მისცემს უფრო მეტ გაჭირვებულს ქართველ მეურნეთ, მეტადრე გლეხებს გაუმართოს ხელი, ვიდრე აქამდე უმართავდა“.

მოკლედ, თქვა – მიუთითა – მიუნიშნა – ურჩია ორ წინადადებაში და არც სწავლა-განათლება დაივიწყა, არც მეურნეობა და არც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მომავლისათვის... ეს უზარმაზარი აზრებიც არაფრად გამოჩნდება იმ გლობალურ აზროვნებასთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილმა, ქართველთა უპირველესმა მასწავლებელმა და დამრიგებელმა, ზუსტად მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოაქვეყნა საპროგრამო წერილში: **„ქართული მიმართულება“**, სწორედ ასეა, ზომით მცირედ ნაწერში ისეთი დიდი მასალა დევს, ისეთი საგანძურია, ისეა შედგენილი და წარმოჩენილი, რომ იქ, მეოცე საუკუნის დასაწყისში იაკობის ნააზრევი, ქართველ ხალხს მომავალ საუკუნეებში გაუწევს სამსახურს და მეგზურობას. თვით განსაჯოს დღევანდელმა მკითხველმა, დღევანდელ საუკუნეთა მიჯნაზე, დღევანდელი გადასახედიდან, იაკობ გოგებაშვილის სიტყვების – აზროვნების სიცოცხლისუნარიანობა, ამავე წერილის შესავალში მოტანილი ღრმაერული წინადადებით: „კარგად მოგეხსენებათ, რომ საზოგადო ასპარეზზე მომქმედი ადამიანი მხოლოდ მაშინ ეწევა გულის წადილს და იმარჯვებს, როდესაც მას გამორკვეული აქვს გეგმა და პროგრამა მოქმედებისა, ერთი სიტყვით აღჭურვილი არის ნათელი, განსაზღვრულის მიმართულებით, და ამასთან მხნედ ახორციელებს ამ თავისს მიმართულებას, პროგრამას. მით უმეტეს საჭიროა ამისთანა განსაზღვრული, ნათელი მიმართულება მთელის ერისათვის, მეტადრე იმისთანა ერისათვის, რომელსაც ბრძოლა არსებობისათვის მეტად გაძნელებია საზოგადოდ უკუღმართთა გარემოებათა წყალობით. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქართველი ერი სწორედ ამისთანა გაჭირვებულს მდგომარეობაშია ჩავარდნილი“. ულრმესი აზრით და დარდით გვამცნობს დიდი ქართველი მოღვაწე და ქართველი ხალხის დიდი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე აყალიბებს თავის ძირითად საპროგრამო მუხლებს – ბურჯებს!

იაკობ გოგებაშვილს სხარტად – ზუსტად – კონკრეტულად აქვს ჩამოყალიბებული და ახსნილი ყველა უმთავრესი ბურჯი ერის ცხოვრებისა და მომავალი სიცოცხლისათვის. ვგონებ, ეს ცნობილი წერილი, მასში მოყვანილი პროგრამა ყველასათვის არის ცნობილი, მაგრამ... ვინაიდან ზუსტად საუკუნის დასაწყისშია დაწერილი და ჩვენი ნარკვევების თუ სიუჟეტების ძირითად ქარგას შეეფარდება, აუცილებლად მივეჩნია თითო წინადადებით ჩამოვთვალოთ მაინც, ერთხელ კიდევ, რომ ვიგრძნოთ ავტორის ჩანაფიქრის სიდიადე...

**ოთარ მიმინოშვილი,**
**ვახტანგ გურული.**

(დასასრული იქნება).

# საზღვარგარეთ

## მემუარები

**კონსტანტინე სიმონოვი**

# ჩემი თაობის კაცის თვალით

მასთან იყვნენ ბერია და მეხლისი, სტალინმა მათი თანდასწრებით გამლანძღა, მითხრა, რომ რაღაცას მიედ-მოედები, ათას სისულელეს ვწერ და ასე შემდეგ.

ამაზე ვუპასუხე: – ამხანაგო სტალინ, ძალიან გთხოვთ შეარჩიეთ გამოთქმები. მე გენერალური შტაბის უფროსი ვარ. თუ თქვენ, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს, მიგაჩნიათ, რომ გენერალური შტაბის უფროსი სისულელეებს ჩმახავს, იგი უნდა გადააყენოთ თანამდებობიდან, ჩემი თხოვნაც ეს იქნება.

მან მითხრა:

– წაბრძანდით, ჩვენ განვიხილავთ თქვენს თხოვნას.

ორმოცი წუთის შემდეგ კვლავ გამომიძახა, და ამჯერად, უფრო მშვიდი ტონით მითხრა:

– ჩვენ გადავწყვიტეთ, დავაკმაყოფილოთ თქვენი თხოვნა. გათავისუფლებული ხართ გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობიდან. რისი გაკეთება გსურთ? რა სამუშაოზე გაგამწესოთ?

ვუთხარი, რომ სათავეში ჩავუდგები კორპუსს, გნებავთ არმიას, გნებავთ ფრონტს. ვფიქრობ, მეტი სარგებლობის მოტანა შემიძლია, თუ ფრონტს ვუხელმძღვანელებ-მეთქი.

ჩემს წერილობით მოხსენებაში, რომელსაც მოჰყვა ეს ლაპარაკი და გენერალური შტაბის უფროსობიდან ჩემი გათავისუფლება, ვწერდი, რომ დასავლეთ ფრონტზე საჭირო იყო ამ დროისათვის უკვე გერმანელების მიერ დაკავებული ელნის შვერილის ლიკვიდაცია, რადგან იგი დიდ სირთულეებს შეგვიქმნიდა. ახლა, როცა საქმე მიდგა იმაზე, სად და რა თანამდებობაზე უნდა დავენიშნე, ვთქვი, მინდა ამ ოპერაციის განხორციელების საშუალება მომეცეს-მეთქი.

– იერიშზე გადასვლა გინდათ? – ირონიულად იკითხა სტალინმა.

– დიახ.

– თქვენი აზრით, შესაძლებელია, ჩვენი ჯარებით იერიშზე გადასვლა? – განაგრძო მან ისევე ირონიულად. მათ ჯერ ერთხელაც არ შეუტევიათ გერმანელებისთვის და თქვენ აპირებთ იერიშზე გადასვლას?

ვუპასუხე, რომ ვაპირებ და წარმატების იმედიც მაქვს.

როდესაც ფრონტის სარდლად დამნიშნეს და ელნის ოპერაცია განვახორციელე, კვლავ მოვახსენე სტალინს ჩემი მოსაზრებები იმ საფრთხის შესახებ, რომელსაც შეგვიქმნიდნენ გერმანელები ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ჩვენი სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ზურგში. ამჯერად, ამ მოსაზრებებს სხვაგვარად შეხედა, თითქოს მომიბოდიშა კიდეც. როცა მითხრა:

– თქვენ მაშინ სწორი მოსაზრებები გქონდათ, მაგრამ მე კარგად ვერ გავიგეთ. ამის შემდეგ ილაპარაკა იმაზე, რომ ბუდიონი თავს ვერ ართმევს სარდლობას სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

– თქვენი აზრით, ვინ შეიძლება შეცვალოს იგი?

გავიფიქრე, იქნებ მე ვყავარ მხედველობაში-მეთქი, და ვუპასუხე, რომ კარგი იქნებოდა იქ ტიმოშენკო დაენიშნათ, რადგან მას ავტორიტეტი ჰქონდა არმიაში, გამოცდილიც იყო, გარდა ამისა, მის უკრაინულ წარმომობას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინაში მიმდინარე ოპერაციებისათვის.

სტალინს არაფერი არ უთქვამს და ლენინგრადის ფრონტის თემაზე გადავიდა. ლენინგრადთან შექმნილი მდგომარეობა, მისი აზრით, კატასტროფული იყო. მახსოვს მან, სიტყვა „უიმედოც" კი იხმარა. მან თქვა, რომ რამდენიმე დღეც და ლენინგრადი დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ, რის შემდეგაც გერმანელები და ფინელები გაერთიანდებიან და იქ წარმოიქმნება უაღრესად სახიფათო დაჯგუფება, რომელიც ჩრდილოეთიდან დაემუქრება მოსკოვს. ეს რომ თქვა, უცბად მკითხა:

– რის გაკეთებას აპირებთ შემდგომში?

ცოტა გაკვირვებულმა ვუპასუხე, რომ ფრონტზე დაბრუნებას ვაპირებ. – რას იტყოდით, სხვა საქმე რომ დაგაკისროთ?

ვუთხარი, თუ ასეა, მინდა ლენინგრადის ფრონტს ვუხელმძღვანელო-მეთქი. – მაგრამ, ეს თუ უიმედო საქმეა?

იმედი გამოვთქვი, რომ ჯერ კიდევ, შეიძლებოდა რაღაცის გაკეთება. – როდის შეგიძლიათ, წახვიდეთ? – მოკლედ მითხრა მან.

ვუთხარი, რომ თუ წასვლაა, მირჩევნია დაუყოვნებლივ გავემგზავრო.

– დაუყოვნებლივ არ შეიძლება, ჯერ თქვენი თანმხლები ავიაგამანადგურებლების.

მაშინვე დაურეკა ავიატორებს და მოსთხოვა ამინდის პროგნოზი მომახსენეთო. სანამ პროგნოზს შეატყობინებდნენ, მკითხა, თქვენს ნაცვლად დასავლეთის ფრონტზე ვისი დანიშვნა აჯობებსო. მე ვუპასუხე, რომ მე-19 არმიის სარდალი კონევი კარგად გაუძღვებოდა საქმეს.

ამასობაში ავიატორებმა მოახსენეს, რომ დილისათვის ნისლი იყო მოსალოდნელი.

სტალინმა თქვა:

– პროგნოზით ცუდი ამინდი იქნება. მაშასადამე, თქვენთვის – კარგი. და იქვე დაწერა პატარა ბარათი.

„ვოროშილოვს. ლენინგრადის ფრონტის სარდლად დაინიშნა არმიის გენერალი ჟუკოვი. გადაეცით ფრონტი და იმავე თვითმფრინავით დაბრუნდით უკან. სტალინი.

ეს ბარათი იყო სწორედ ჩემი დანიშვნის ბრძანება. ჩავიდე ჯიბეში, დილით ჩავფრინდი ლენინგრადში და ჩავიბარე ფრონტი.

შემდეგი ჩანაწერი, რომელიც აქ მინდა მოვიყვანო, დაკავშირებულია ჩვენთვის მძიმე ოქტომბრის მოვლენებთან, როდესაც გერმანელებმა გაარღვიეს ფრონტი, ვიაზმასთან ალყაში მოაქციეს დასავლეთისა და სარეზერვო ფრონტების ჯარების დიდი ნაწილი და მოსკოვისაკენ დაიძრნენ.

„6 ოქტომბერს, ნაშუადღევს, სტალინმა ლენინგრადში დამირეკა. გამომკითხა, როგორ არის საქმე ფრონტზე, რა ვითარებაა და მერე მითხრა, რომ დაუყოვნებლივ დავბრუნებულიყავი მოსკოვში საგანგებო დავალების შესასრულებლად.



7 ოქტომბერს, ლენინგრადის ფრონტის სარდლობა გადავაბარე შტაბის უფროსს, გენერალ ხოზინს და მოსკოვში გავფრინდი. საღამოს, როგორც კი ჩავფრინდი, სტალინის ბინისაკენ გავეშურე. სტალინს გრიპი ჰქონდა, მაგრამ მუშაობდა.

თავის დაქნევით მომესალმა და რუკასთან მიმიხმო:

– ვერავინ ვერ მაგებინებს, რა ხდება ახლა დასავლეთის მიმართულებით. სად არის მოწინააღმდეგე, სად დგანან ჩვენი ჯარები? დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ დასავლეთის ფრონტის შტაბში და დამირეკეთ ნებისმიერ დროს. გელოდებით.

აქ გამოვტოვებ ჟუკოვის ნაამბობს დასავლეთის ფრონტზე მისი საქმიანობის შესახებ და გადავალ სტალინთან მის იმ საუბრებზე, რომლებიც ჰქონდა ჟუკოვს, როდესაც დასავლეთის ფრონტის სარდლად დანიშნეს.

სტალინი განერვიულებული და განრისხებული იყო. ცოფმორეული უშვერი სიტყვებით ლანძღავდა დასავლეთისა და ბრიანსკის ფრონტების სარდლებს კონევსა და ერიომენკოს, მაგრამ სიტყვაც არ დაუძრავს ბუდიონზე, რომელიც სარეზერვო ფრონტს სარდლობდა. სტალინმა მითხრა, რომ მნიშნავდა დასავლეთის ფრონტის სარდლად, რომ კონევი გადაყენებულია ამ თანამდებობიდან და, როდესაც მასთან, ფრონტის შტაბში გაგზავნილი მთავრობის კომისია თავის დასკვნებს გამოიტანს, იგი სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარსდგება.

ამაზე სტალინს ვუპასუხე, რომ ასეთი მოქმედებით არც არაფერი გამოსწორდება და არც არავინ გაცოცხლდება. არმიაზე კი მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენს. შევახსენე, რომ ომის დასაწყისში დასავლეთის ფრონტის სარდალი პავლოვიც დახვრიტეს, და მერე რა მოგვცა ამან? არაფერი არ მოგვცა. კარგად იყო ცნობილი, რას წარმოადგენდა პავლოვი, ბევრი-ბევრი დივიზიის მეთაურად გამოდგარიყო. ეს ყველამ იცოდა. მიუხედავად ამისა, ფრონტის სარდლობა დაეკისრა და თავი ვერ გაართვა, ვერ შეძლო. კონევი კი პავლოვი არ არის. კონევი ჭკვიანი კაცია. იგი კიდევ გამოადგება ქვეყანას.

– თქვენ რას გვთავაზობთ, როგორ მოვიქცეთ?

ვთხოვე, კონევი ჩემს მოადგილედ დაენიშნა.

სტალინმა იჭვნეულად მკითხა:

– რატომ იცავთ კონევს, თქვენი ძმაბიჭია?

ვუთხარი, რომ მე და კონევი არასდროს არ ვყოფილვართ მეგობრები, რომ ვიცნობ როგორც თანამშრომელს, როდესაც ბელორუსიის ოლქში ვმსახურობდი.

სტალინი დამთანხმდა.

ვფიქრობ, რომ კომისიის დასკვნამდე სტალინის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ უდიდესი როლი შეასრულა კონევის ცხოვრებაში, იმიტომ, რომ კომისია, რომელიც მოლოტოვის მეთაურობით გაემგზავრა კონევის საქმის გამოსარკვევად. უეჭველია, სხვა გადაწყვეტილებას მიიღებდა. კარგად ვიცნობდი მოლოტოვს და ამაში ეჭვი არ მეპარებოდა.

ფრონტის სარდლობას რომ შევუდექი, მეორე თუ მესამე დღეს კონევი, როგორც ჩემი მოადგილე, გავგზავნე მარჯვენა ფლანგზე, კალინინთან, იგი ამ მოშორებულ მონაკვეთზე დამოუკიდებლად და წარმატებით მოქმედებდა და მალე შეუერთდა იქ კალინინის ფრონტის მიერ შექმნილ სარდლობას.

ორი დღის შემდეგ დამირეკა მოლოტოვმა. საქმე ეხებოდა ერთ-ერთ მიმართულებას, სადაც გერმანელები წინ მიიწევდნენ, ჩვენები კი უკან იხევდნენ, როგორც ჩანს, მას ჰქონდა პირდაპირი ინფორმაცია ამ უბანზე გერმანელთა ტანკების წინსვლის შესახებ, მე კი ვერ მოვასწარი ბოლომდე გავრკვეულიყავი ვითარებაში. ერთი სიტყვით, მოლოტოვმა რაღაც ამის მსგავსი მითხრა: მე ან შევაჩერებ ამ შემოტევას, რომელიც მოსკოვს ემუქრება, ან დამხვრეტენ. ამაზე ვუპასუხე:

– ნუ მემუქრებით, არ მეშინია თქვენი მუქარის. ორი დღეც არ არის, რაც ფრონტის სარდლობა ჩავიბარე და ბოლომდე ვერ მოვასწარი ვითარების შესწავლა, ბოლომდე არ ვიცი, სად რა ხდება. საქმის ვითარებაში ვერკვევი, ჯარებს ვიბარებ.

მან კვლავ ხმას აუწია და მითხრა:

– რას ნიშნავს, ორ დღეში ვერ მოვასწარით!

მე ვუთხარი, თუ თქვენ უფრო სწრაფად შეგიძლიათ ამის გაკეთება, ჩამობრძანდით და ჩაიბარეთ ფრონტის ხელმძღვანელობა-მეთქი. მან ყურმილი დაახეთქა, მე კი ჩემს საქმეებს მივუბრუნდი.

წითელ მოედანზე აღლუმამდე რამდენიმე დღით ადრე სტალინმა დამირეკა და მითხრა, რომ უმაღლესი მთავარსარდლობა აპირებს 7 ნოემბერს ტრადიციული აღლუმი გამართოს მოსკოვში. რა აზრის ხართ? გერმანელები ხომ არ შეგვიშლიან ხელს ჰაერიდან და ხმელეთიდან მოქმედებით? ხომ არ შეეცდებიან მოსკოვისკენ გაჭრას?

ვუპასუხე. ხმელეთზე განსაკუთრებული არაფერი რომ არ მოხდება. ამის გარანტიას გაძლევთ-მეთქი. ჩემი აზრი გავუზიარე, რომ ჰაერიდან კი საჭირო იქნება დამატებითი ღონისძიებების განხორციელება, მოსკოვთან განლაგებული ავიაგამანადგურებელთა ნაწილებს სხვებიც უნდა დაემატოს. ბოლოს დავძინე, რომ ჩემი აზრით, აღლუმის ჩატარება შეიძლებოდა და არმიაზე საკეთო შთაბეჭდილებას მოახდენდა, გაამხნევებდა მას.

მეორედ სტალინმა უკვე დილით დამირეკა, აღლუმის წინა დღეს. მითხრა, რომ გადაწყდა, აღლუმი გამართონ, საღამოს კი მოსსაბჭოს სხდომაზე გამოდის, და მკითხა, მქონებოდა თუ არა საშუალება ფრონტის შტაბიდან იქ ჩავსულიყავი.

ჩავედი და დავესწარი იმ სხდომას, რომელიც მეტროში გაიმართა „მაიაკოვსკაიას" სადგურზე.

სტალინი ის კაცი იყო, რომელიც ერთხელ თუ რაიმეს გაკეთებას ჩაიდებდა გულში, უჭირდა მერე იმ იდეაზე ან განზრახვაზე უარის თქმა. მაშინაც კი, როდესაც ობიექტური გარემოებანი ამის საშუალებას არ იძლეოდა.

1942 წლის მაისში შედარებით რბილად მოეკიდა იმათ, ვისაც ბრალი მიუძღვოდა ქერჩის კატასტროფაში. ალბათ, იმიტომ, საკუთარი პასუხისმგებლობაც ჰქონდა გაცნობიერებული. დავიწყოთ იმით, რომ იერიში იქ განახორციელეს მისი დაჟინებული მოთხოვნით, ასეთი რაოდენობით ჯარებსაც მისი მოთხოვნით მოუყარეს თავი. მთავარსარდლისა და გენერალური შტაბები სთავაზობდნენ, ჯარები ქერჩის ნახევარკუნძულიდან გადაეყვანათ ტამანის ნახევარკუნძულზე და იქ გაემაგრებინათ თავდაცვა. მაგრამ მან ყურად არ იღო ეს წინადადებები, რადგან ფიქრობდა, რომ ასეთი მოქმედებით გამოვათავისუფლებდით მანშტეინის მე-11 გერმანულ არმიას. საბოლოოდ გამოვიდა, რომ მანშტეინი მაინც გამოთავისუფლდა, ჩვენ კი ქერჩთან მწარედ დავმარცხდით.

სტალინმა, გარდა იმისა, რომ მცდარი გადაწყვეტილება მიიღო, ქერჩის ნახევარკუნძულზე გაგზავნა მთავარსარდლის შტაბის ისეთი წარმომადგენლები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს კატასტროფას: მეხლისი და კულიკი. ამ უკანასკნელს საერთოდ არ შესწევდა გონიერულად ხელმძღვანელობის უნარი. ეს წარმომადგენლები ქერჩთან მოქმედებდნენ ფრონტის სუსტ, უნიათო სარდალთან კოზლოვთან ერთად. და როდესაც სტალინის დაჟინებული მოთხოვნით დაწყებული ეს ოპერაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პირადად მის მიერ მივლენილი ადამიანები, კატასტროფით დამთავრდა, ისინი უფრო მსუბუქად დაისაჯნენ, ვიდრე, ალბათ, მოსალოდნელი იყო სხვა გარემოებაში.

თარგმნა
**ლია გოგიჩაიშვილმა.**
(გაგრძელება იქნება).

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 181-185; 187-201, 203, 211-230.**

---

# კატასტროფა სახელმწიფოს სახელით



„კურსკის" კატასტროფამ ერთობ საგულისხმო რეაქცია გამოიწვია. იგი საუცხოოდ მოწმობს იმ ფაქტს, რომ ჩვენ თვითონაც არ ვიცით, რა გვინდა ცხოვრებისაგან. როგორც გამოკითხვის ფურცლები მოწმობს, გვინდა წესრიგი, სტაბილურობა, მტკიცე სახელმწიფო, რომელიც მუშაობს, როგორც კარგად შეზეთილი და დაბალანსებული მექანიზმი. მაშინ გაუგებარია ახლანდელი პრეტენზიები ადმირალების, მთავრობის, პრეზიდენტის მიმართ. აკი, ასეთი სახელმწიფოს აყვავების ყველა პერიოდში, კოლოსალური ინდუსტრიული მიღწევების, მაქსიმალური ტერიტორიული მონაპოვრების პერიოდებში – პეტრეს, ეკატერინეს, იოსების დროს – ადამიანის სიცოცხლეს ყოველთვის ჩირის ფასი ჰქონდა. ჩვენს ყველაზე დიად მიღწევებს, ისეთებს, რომელთა შემხედვარე მეზობლებს ტანში შიშის ჟრუანტელი უვლიდა, ყოველთვის ედო საფუძვლად მილიონობით ადამიანის ძვლები. სამწუხაროდ, სხვაგვარად ჯერჯერობით ვერაფრისთვის მიგვიღწევია.

რას ენიჭება ასეთ სახელმწიფოში უმაღლესი პრიორიტეტი? 118 მეზღვაურის სიცოცხლეს, რომლებიც სახელმწიფო ვალს იხდიდნენ (სწორედ რომ ვალს, სხვა ტერმინოლოგია ჩვენთვის უცნობია), თუ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საიდუმლოებებს? კითხვა რიტორიკულია, ამიტომ მასზე პასუხის გაცემას აზრი არა აქვს, ისევე, როგორც იმის კითხვას, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის – ევროპაში გაჭრილი ბრწყინვალე სარკმელი, თუ ამ სარკმლის გაჭრის დროს ჭაობებში ჩამხრჩვალი ათიათასობით ყმაგლეხის სიცოცხლე.

მთელი წინა კვირის განმავლობაში სახელმწიფო ზედმიწევნით იცავდა გარეშე, ნატოს სამყაროსაგან სამხედრო საიდუმლოს. განა ასეთი უბრალო პასუხი არ იყო საკმარისი მთელი წინა პერიოდების მანძილზე? განა წინათ, როდესაც რუსულ იარაღს ყველანი მოწიწებით უყურებდნენ, როდესაც სახელმწიფო ნამდვილად ძლიერი იყო ამ სიტყვის რუსული გაგებით, შრომით კოლექტივებში, ოჯახებში, სამიკიტნოებში, ყველგან, სადაც გნებავთ, თუგინდ ცოლ-ქმრულ საწოლში, ადამიანებს არ ასვენებდათ კითხვა, რის გულისთვის დაიღუპნენ ესა თუ ის მეომრები? დაიღუპნენ, მაგრამ არ დანებდნენ მტერს, არ უღალატეს და არ განუდგნენ სამშობლოს, არ ინდომეს შეწყალება, ან სხვისი დახმარება.

მაშ, რატომ არის, რომ ახლა ისინი, ვისაც პირზე აკერია ძლიერი სახელმწიფო, ამის პარალელურად უსიტყვოდ კი არ გლოვობენ დაღუპულებს, არამედ იქით ედავებიან ხელისუფლებას და უმაღლეს სარდლობას, და ბრალად სდებენ, ყველა შესაძლებლობა არ გიხმარიათ ეკიპაჟის გადასარჩენადო? რატომ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე? განა შეუძლიათ სამოქალაქო გამომძიებლებს საამკარაოზე გამოიტანონ ის, რაც დასავლეთის დაზვერვებისგან არის დაფარული? განა უცნაურად არ ჟღერს ამ დროს ფედერალური უშიშროების სამსახურის დაპირება, რომ ხელს შეუწყობს გამოძიებას? რისთვის შეუწყობს ხელს, იმისათვის, რომ გამოქვეყნდეს ის, რისი გულისთვისაც დაიღუპა 118 კაცი?

რაოდენ მკრეხელურადაც უნდა მოგეჩვენოთ, დროთა განმავლობაში ყველაფერი მიჩუმდება და დაივიწყებას მიეცემა. როგორც წინათაც ყოფილა. მაგალითად, ვის ახსოვს დღეს, მშობლების გარდა, ის ათასობით ჯარისკაცი, გალეშილმა პაველ გრაჩოვმა რომ გამოიყვანა გროზნოზე იერიშის მისატანად? იყო რაიმე სისხლის სამართლის პროცესი? მოსთხოვეს რაიმე პასუხი გენერალს? სად არის ახლა ყოფილი რიხიანი თავდაცვის მინისტრი? დღეს ეს მინისტრი იარაღს ჰყიდის და შეძლებული ბიზნესმენია.

რა თქმა უნდა, ახლანდელები – იგორ სერგეევი, ვლადიმერ კუროედოვი და ვიაჩესლავ პოპოვი, თითქოს შეძრწუნდნენ, ეს რა მოგვივიდაო, და პუტინს გადადგომის პატაკი გადასცეს. ძნელია იმსჯელო ამ საქციელის გულწრფელობაზე, ვინაიდან წინასწარ იყო ცნობილი, რომ პუტინი პატაკის მიღებაზე უარს იტყოდა. ასეც მოხდა. ყველაფერში უნდა გავერკვეთ. მაგრამ ნაკლებად სარწმუნოა, რომ უმაღლეს ხელისუფლებაში ყველაფერი არ იციან. ყველაფერი იცოდნენ უკვე მესამე დღეს, როდესაც პუტინის განცხადებაში, მიუხედავად იმისა, რომ „ნავიდან კაკუნი გაისმის", სამგლოვიარო ნოტები გაისმა.

მეორე, როგორ შეუძლია სახელმწიფოს, დასაჯოს ადამიანები, თუ ისინი იცავდნენ მის ინტერესებს, სახელდობრ – საიდუმლოს. არა ზოგადად სახელმწიფოს, არა აბსტრაქტულს, არამედ სრულიად კონკრეტულს, ისეთს, როგორსაც ხედავს სიზმარში მილიონობით მოქალაქე. ციხეებში ამბოხებათა დროს ტუსაღები კედლებს უბრახუნებენ ალუმინის ჯამებს და ღრიალებენ: „თავისუფლება!". ჩვენ კი გავკივით: „ციხე, ციხეო!". ეგებ, გამოვიღვიძოთ და გავუსწოროთ თვალი გარემომცველ რეალობას? – წერს დასასრულ გუშინდელ **„ვესტი. რუ"**-ში მიმომხილველი ვლადიმერ ტუჩკოვი.

# დაღუპულებს იქით სდებენ ბრალს



**რუსეთის გენერალურმა პროკურორმა ვლადიმერ უსტინოვმა გამოაცხადა, რომ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე „კურსკ" წყალქვეშა ნავის დაღუპვის ფაქტის გამო. ამ საქმეში ბრალდებულნი შეიძლება გახდნენ თვით ისინიც, ვინც ბარენცის ზღვაში დაიღუპა. ამ ვერსიას განმარტავს რუსეთის ადვოკატთა ფედერალური კავშირის პრეზიდენტი ალექსეი გალოგანოვი.**

„ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი საშუალებას იძლევა, ბრალი დავდოთ ყველას და ყველაფრისათვის", – თქვა მან. სისხლის სამართლის შესაძლო ფიგურანტებს შორის სავსებით შეიძლება აღმოჩნდნენ თანამდებობის პირები, – თავდაცვის მინისტრი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი, ჩრდილოეთის ფლოტის სარდალი, რომლებსაც, ადვოკატ გალოგანოვის ვერსიით, შეიძლება წაუყენონ ბრალდება, რფ სსკ 125 მუხლის მიხედვით – „განსაცდელში მიტოვება". მათი მოქმედება „კურსკის" ავარიის დროს შეიძლება, სწორედ ასე დაკვალიფიცირდეს. ამ დანაშაულში ბრალდებულნი ჯარიმდებიან 50-100-გზისი მინიმალური ხელფასით, ანუ 6,6-13,2 ათასი რუბლით, ანდა ჯარიმდებიან ერთი თვის ხელფასით. ეს თანამდებობის პირნი შეიძლება, აგრეთვე, დაპატიმრებულ იქნენ სამ თვემდე ვადით, ან მიესაჯოთ გამასწორებელი სამუშაოები ერთ წლამდე ვადით.

იმ საკონსტრუქტორო ბიუროსა და სერიული ქარხნის თანამშრომლები, რომლებიც „კურსკის" დასამზადებლად მუშაობდნენ, სავსებით შეიძლება მიეცნენ პასუხისგებაში რფ სსკ 266 მუხლის მიხედვით „სატრანსპორტო საშუალებათა უხარისხო რემონტი და მათი საექსპლოატაციოდ გადაცემა ტექნიკური უწესივრობით", რისთვისაც მოელით კასჯელი 4-დან 10 წლამდე.

მაგრამ კოდექსში ყველაზე მეტია მუხლები, რომელთა მეშვეობით შეიძლება დასაჯონ „კურსკში" დაღუპული მეზღვაურები. მაგალითად, გამოძიებას შეუძლია, შემდგომ განავითაროს ის ვერსია, რომ ხომალდის დაღუპვა დაკავშირებულია დაღესტნის ქარხანა „დაღდიზელის" ორ თანამშრომელთან, რომლებიც არ იყვნენ ეკიპაჟის წევრები (ეკიპაჟზე მიმაგრებული კრონშტადტელი უფროსი ლეიტენანტი 24 წლის არნოლდ ბორისოვი და თადარიგის უფროსი ლეიტენანტი, 42 წლის მამედ გაჯიევი). ისინი უნდა დასწრებოდნენ ახალრავიანი ტორპედოების გამოცდას და მათ სავსებით შეიძლება დაედოთ ბრალად „სატრანსპორტო საშუალებათა გაფუჭება". არ არის გამორიცხული, რომ შეეფარდონ „ტერორიზმის" მუხლი, რომლის ვერსიას უკვე განიხილავს გამოძიება. ეს დანაშაული, ჩადენილი პირთა ჯგუფთან პირშეკრის გზით, თუ მას შედეგად სიკვდილი მოჰყვა, ისჯება 10-დან 20 წლამდე ვადით".



თუ ამ სკანდალურ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულებად დაღუპულებს გამოიყვანენ, მაშინ სისხლის სამართლის საქმე შეწყდება მათი სიკვდილის გამო.

# უშიშროებისათვის დაფარული მართლაც არაფერია

ამ რამდენიმე დღის წინათ რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ გამოსცა №130 ინსტრუქცია, რომელიც დიდად გაზრდის ფედერალური უშიშროების სამსახურის შესაძლებლობებს, თვალი ადევნოს ქვეყნის მოქალაქეთა ელექტრონული წერილების ნაკადს. სამნიშნა რიცხვის მიღმა იმალება დოკუმენტი, რომელიც არ განუხილავთ არც პარლამენტის კედლებში და არც პრესის ფურცლებზე.



ლუბიანკა. აქ შეისწავლიან ელექტრონულ ფოსტას.

ამიერიდან, რუსეთის სპეცსამსახურებს შეუზღუდველად შეუძლიათ, მოისმინონ სატელეფონო საუბრები, წაიკითხონ ელექტრონული ფოსტა და საპეიჯერო შეტყობინებანი. აქამდე ყოველივე ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი დადგენილების შემდეგ, მაგრამ ახლა, ასეთი დადგენილება აღარ არის საჭირო. უშიშროება საერთოდ არ არის ვალდებული, გაამჟღავნოს თავისი ინფორმაციის წყაროები და მიზეზები, რომელთა გამო დაინტერესდა ამა თუ იმ მოქალაქით. ამ ბოლო დრომდე, ელექტრონული ფოსტის თვალყურის დევნება არ იყო უბრალო საქმე – პროვაიდერები ცდილობდნენ, უზრუნველეყონ კლიენტების კორესპონდენციის მაქსიმალური პრივატულობა. ახლა კი, პროვაიდერი ვალდებულია, აცნობოს ფედერალური უშიშროების სამსახურს ყველაფერი, რასაც იგი მოსთხოვს.

რა თქმა უნდა, რუსეთი არ არის გამონაკლისი ქვეყანა, სადაც ხელისუფლება მოითხოვს მოქალაქეთა ელექტრონული კორესპონდენციის ხელმისაწვდომობას. ახალი კანონები გამოდის ბევრ ქვეყანაში. აშშ-ში პოლიტიკური სკანდალი ატყდა ელექტრონული ფოსტის მონიტორინგის სისტემის გარშემო, რომელიც **ფბრ**-მ წამოაყენა.

ბრიტანეთის პარლამენტმა ახლახან მიიღო დებულება გამომძიებელთა უფლებამოსილებების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა ელექტრონული ფოსტის გაცნობის შესაძლებლობას. მაგრამ რუსეთის ახალი კანონი არ განუხილავს არც საზოგადოებას და არც პარლამენტს, ხოლო პრესა ახალი კანონის შედეგების განხილვას შეუდგა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ძალამოსილად გამოცხადდა.

ფედერალური უშიშროების სამსახური, პრეზიდენტ პუტინის გამჭრიახი მზერის ქვეშ, იბრუნებს საზოგადოებისადმი ძალაუფლებას, რომელიც ერთი ხანობა ხელიდან ჰქონდა გაშვებული. ახალი კანონი მოწმობს, რომ საიდუმლო სამსახურები რუსეთში ჯერჯერობით არავითარ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ კონტროლს არ ექვემდებარებიან, წერს დასასრულ **სტივენ ეიი**, ბიბი-სის მიმომხილველი.

# ოსვენციმში დისკოთეკა გაიხსნა

**ყოფილ ტყავის ქარხნის შენობაში, ოსვენციმის ნაცისტური ბანაკის ტერიტორიაზე დისკოთეკა გაიხსნა.**

ინვესტორმა კომერციული საქმიანობის ნებართვა მიიღო იმ კანონის შესაბამისად, რომელიც შენობის სხვადასხვა მიზნით გამოყენების უფლებას იძლევა. აგვისტოს დამდეგს შინაგან საქმეთა მინისტრმა გააუქმა ადგილობრივ ხელისუფალთა გადაწყვეტილებანი, რომლებიც კრძალავდნენ კომერციული და გასართობი ცენტრების მშენებლობას ოსვენციმის მახლობლად.




1942-1945 წწ. ტყავის ქარხანაში მუშაობდა ათასზე მეტი ტუსაღი. სულ ოსვენციმში დაიღუპა 1,5 მილიონი კაცი.

ამჟამად ბანაკის ტერიტორიაზე გახსნილია მუზეუმი, რომელსაც ყოველწლიურად ათვალიერებს 500 ათასამდე კაცი. სწორედ მათი იმედი აქვთ ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის გარშემო გახსნილი ნაირ-ნაირი კომერციული დაწესებულებების მფლობელებს.

ახალგაზრდული პოლონურ-გერმანული ცენტრის ლიდერებმა უკმაყოფილება გამოთქვეს პროექტის გამო, ვინაიდან, მათი აზრით, დისკოთეკის ხმაური და მუსიკა ხელს შეუშლის მუზეუმის დამთვალიერებლებს. თვით მუზეუმის მუშაკებმა კომენტარზე უარი თქვეს.

# პინოჩეტის ეფექტის სიკეთე

**„პინოჩეტის ეფექტი" – ასე უწოდებს მოვლენებს, არგენტინაში რომ მოხდა მას შემდეგ, რაც აუგუსტო პინოჩეტს მოეხსნა საპარლამენტო იმუნიტეტი.**

ჩილეს ყოფილი დიქტატორისათვის საპარლამენტო ხელშეუხებლობის გაუქმებამ ლათინური ამერიკის ქვეყნებში სასამართლო პროცესების მთელი სერია გამოიწვია. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არგენტინაში აღიძრა 80-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე. იურისტთა აზრით, ადამიანები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ გენოციდი აუცილებლად დაისჯება და ასეთ დანაშაულობათა დროს არაფერ შუაშია ცნება – „ხანდაზმულობის ვადა".

ის ფაქტი, რომ ჩილეში ყოფილ დიქტატორს გაასამართლებენ, შესაძლებელი გახდა მხოლოდ ევროპული მართლმსაჯულების ჩარევის წყალობით, რომელმაც პირველმა დააყენა მოთხოვნა, მოეხსნათ საპარლამენტო იმუნიტეტი. „აგერ უკვე, თითქმის წელიწადია, რაც ევროპის სასამართლო ინსტანციები ცხოველ მონაწილეობას იღებენ ჩვენს საქმეებში, რისთვისაც ჩვენ მათი მადლიერნი უნდა ვიყოთ"! – ამბობს არგენტინელი პროკურორი მიგელ ოსნორეო. იგი ახლა იძიებს საქმეს ავადსახსენებელ „კონდორის" გეგმის გამო, რომელმაც 70-80-იან წლებში მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ახალი სიოს წყალობით არგენტინა გადაიქცა „უზარმაზარ საპატიმროდ, საიდანაც დაუსჯელად ვერ გამოვა ვერავინ, ვისაც ასე თუ ისე, ურევია ხელი სამხედრო ხუნტის პირსისხლიანი რეჟიმის საქმეებში", – წერს პოპულარული გაზეთი „ბუენოს-აირეს ჰერალდი".



არგენტინელი სამხედრო დამნაშავენი მარტოოდენ თვით არგენტინას როდი აინტერესებს. საფრანგეთის პროკურატურის თხოვნით, 6 აგვისტოს რომში დააპატიმრეს ყოფილი პოლკოვნიკი ხორხე ორივარა, რომელიც ეჭვმიტანილია საფრანგეთის მოქალაქეთა დევნასა და გაქრობაში.

„კონდორ" გეგმის საქმის ერთობლივმა გამოძიებამ ესპანეთის ხელისუფალთ საშუალება მისცა, გამოეცხადებინათ 48 არგენტინელის საერთაშორისო ძებნა, რომლებიც ესპანეთის ტერიტორიას აფარებენ თავს. საფრანგეთის პროკურატურამ უკვე დაჰკითხა ადმირალ ამილიო მასერასა და ყოფილი გენერალი კარლოსს სუარესი, რომლებიც „კონდორ" გეგმის ფარგლებში პირადად მონაწილეობდნენ იმ ბავშვების განადგურებაში, ტყვეობაში რომ გაუჩნდათ არგენტინელებს. ამ ფაქტის გამო, ინფორმაციის მეტი ნაწილი სამართალდამცავ ორგანოებს მიაწოდა დაკარგული ბავშვების დედათა ფონდმა, რომლებიც არ კარგავენ იმედს, რომ მართლმსაჯულება იზეიმებს და მათი შვილების მკვლელები დაისჯებიან.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ ომის დანაშაულობათა ესოდენ აქტიური გამოძიება შესაძლებელი გახდა „პინოჩეტის ეფექტის", აგრეთვე, ევროპისა და ლათინური ამერიკის იურისტთა საერთაშორისო თანამშრომლობის მეოხებით.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან**

***არჩილ მანჯგალაძე, კახა ქორიძე.***

GCF
№ 5 (42)
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

ქომაგებს

# მხარში დგომას ვთხოვთ!

27 ოქტომბერს სტამბოლში საზეიმოდ გაიხსნება 34-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა. ქართველი დიდოსტატები ინდივიდუალურად ემზადებიან ამ უმნიშვნელოვანესი ასპარეზობისათვის. ამჟამად გადაწყვეტის პროცესშია ჩვენი დელეგაციის ოლიმპიადაში მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ცდილობს ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს მოჭადრაკეებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია თბილისის სპორტის და ტურიზმის სამსახურის ხელმძღვანელობის გულისხმიერი დამოკიდებულება ჩვენი წამყვანი მოჭადრაკეების მიმართ.

ყოველივე ამის მიუხედავად, პრობლემები მაინც რჩება.

**მივმართავთ თხოვნით საქმიანი სამყაროს წარმომადგენლებს, საკუთარი ფირმების რეკლამის მიზნით, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს დელეგაციის 14 წარმომადგენელი უზრუნველყონ ერთიანი ცივილური ფორმით.**

**კონსულტაციები და სხვადასხვა საკითხების დაზუსტება შეგიძლიათ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტთან ნონა გაფრინდაშვილთან.**

**საკონტაქტო ტელეფონია: 98-27-47.**

**ფედერაცია სიამოვნებით მიიღებს ორმხრივ სასარგებლო სხვა წინადადებებსაც.**



ევროპა-20

# თამაშობენ ოცწლიანები

ესპანეთის ქალაქ ალავესში დასასრულს უახლოვდება ევროპის 20 წლის მოჭადრაკეთა ჩემპიონატი. მასში 68 ჭაბუკი და 38 გოგონა მონაწილეობს.

საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავენ საერთაშორისო ოსტატები ანა მათნაძე და ზვიად იზორია, აგრეთვე, მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი 16 წლის გოგონათა შორის სოფიკო ხუხაშვილი.

ჩვენმა გოგონებმა კარგი სტარტი აიღეს – დაამარცხეს ცნობილი ლიტველი მოჭადრაკე ვიქტორია სმილიტე. მეექვსე ტურში მათნაძის და ხუხაშვილის პარტია ყაიმით დამთავრდა, მეშვიდეში ლიდერმა ინგლისელმა იოვანკა ჰოუსკამ (5,5) ყაიმით დაასრულა პარტია პოლონელ იევტა რაძიევიჩთან (4,5), სლოვაკმა რეგინა პოკორნამ (4,5) დაამარცხა სოფიკო ხუხაშვილი (5), ანა მათნაძემ (4,5) შავებით მოუგო დანა რეიზნიეცეს (4).

მერვე ტურში ლიდერი ჰოუსკა (6 ქულა), შეხვდება პოკორნას (5,5), მათნაძე (5,5) ევგენია ჩასოვნიკოვას (5), რაძიევიჩი კი ხუხაშვილს. ორივე მათგანს 5-5 ქულა აქვს.

ჭაბუკთა ტურნირში შვიდი ტურის შემდეგ ზვიად იზორიას 4,5 ქულა აქვს. მერვე ტურში იგი მერვე დაფაზე ითამაშებს.

ჩემპიონატში თერთმეტი ტურის გამართვაა დაგეგმილი.

ევროპის ჩემპიონატი

# სწრაფად და კარგად

იუგოსლავიის ქალაქ ბანავ ვრუჩიცაში 15-20 აგვისტოს გაიმართა ევროპის პირველი ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში. მონაწილეებს ყოველი პარტიისთვის 25-25 წუთი ჰქონდათ გამოყოფილი.

შესანიშნავად ითამაშა **მაია ჩიბურდანიძემ**, მან 11 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 8,5 ქულით მეორე ადგილზეა ბულგარელი ანტუანეტა სტეფანოვა, რომელსაც ნახევარი ქულით ჩამორჩა პოლონელი იანა დვორაკოვსკა. ალისა მარიჩმა და ნატაშა ჟუკოვამ 7-7 ქულით მე-5 და მე-6 ადგილები დაიკავეს. სულ ტურნირში 35 ქალი ასპარეზობდა.

სწრაფი ჭადრაკის შემდეგ მოჭადრაკეებმა ელვისებურ ჭადრაკში მოსინჯეს ძალა. ეს ტურნირი წრიული სისტემით, 34 ტურად გაიმართა. 31,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ნატაშა ბოიკოვიჩმა. მაიამ ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა, ალისა მარიჩის აქტივშია 30,5 ქულა, ანტუანეტა სტეფანოვამ კი 30 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა.



მაია ჩიბურდანიძე.



ნატაშა ბოიკოვიჩი.

არდადეგებზე



# რიონისპირელები – ზღვის პირას

11-29 ივლისს ქობულეთში განათლების სამინისტროს ეგიდით გაიმართა საქართველოს პირველობა ჭადრაკში 10, 12, 14 და 16 წლამდე გოგონათა და ჭაბუკთა შორის. ეს შეჯიბრება ყოველწლიურად იმართება და მასში საქართველოს თითქმის ყველა ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის ეგიდით აქ იასპარეზა 16-მა მოჭადრაკემ, რომლებსაც ორი მწვრთნელი და დელეგაციის ხელმძღვანელი ახლდნენ. სპორტსმენები იმერეთის პირველობებში შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფებიდან საუკეთესო მაჩვენებლების მიხედვით შეირჩნენ. მათ იმედები არ გაგვიცრუეს – ღირსეულად დაიცვეს იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის სახელი და ოთხი პირველი, ერთი მეორე და ოთხი მესამე ადგილი დაიკავეს.

16 წლამდე ასაკის გოგონათა შორის I ადგილი გ. ნიკოლაძის სახელობის ოლიმპიური რეზერვების სპორტული ლიცეუმის აღსაზრდელმა სალომე ჭოხონელიძემ დაიკავა (მწვრთნელი – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გია მენაბდე), III ადგილს მაკა ლონდარიძე დაეუფლა. იგი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მერაბ მეტრეველთან გადის საჭადრაკო მომზადებას.

14 წლამდე გოგონათა შორის I-III ადგილები სპორტული ლიცეუმის მოსწავლეებმა დაიკავეს: I ადგილი – ნინო ალეიშვილმა, II – სალომე ჭოხონელიძემ, ხოლო III ადგილზე გავიდა თინათინ თევზაძე (მწვრთნელი გ. მენაბდე). ამავე ასაკის ჭაბუკთა შორის I ადგილს თერჯოლელი გიგა ყუფარაძე დაეუფლა. მან დამაჯერებლად განვლო ტურნირი და ორი ტურით ადრე (შეჯიბრებები შვეიცარიული სისტემით – 9 ტურად გაიმართა) გაინაღდა ჩემპიონობა (მწვრთნელი გ. მენაბდე).

12 წლამდე ასაკის ჭაბუკებში III ადგილი კომპლექსური სკოლის აღსაზრდელმა ჯაბა ხეცურიანმა დაიკავა (მწვრთნელი თამილა მესხი).

10 წლამდე ჭაბუკებში I ადგილი ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუს მკვიდრმა, საჭადრაკო კლუბ „მაიას“ მოსწავლემ დავით ბენიძემ დაიკავა (მწვრთნელი ხათუნა გუბელაძე), ხოლო III ადგილს ჭადრაკის საქალაქო კლუბის მოსწავლე ზურაბ ქელბაქიანი (მწვრთნელი ბადრი კლიმჩუკი) დაეუფლა.

30 ივლისიდან 8 აგვისტომდე კი საერთაშორისო ტურნირი „მართვილი-2000“ გაიმართა, სადაც ქართველ მოჭადრაკეებთან ერთად მონაწილეობა სომეხმა კოლეგებმაც მიიღეს. შეჯიბრება რამდენიმე კატეგორიის ტურნირად დაიყო (ასაკისა და საჭადრაკო თანრიგის მიხედვით). I კატეგორიის ტურნირში, რომელშიც 25 ქალ-ვაჟი ასპარეზობდა ქუთაისელმა ნანა ძაგნიძემ ქალთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

უნდა აღინიშნოს საქართველოს პირველობაზე ჩვენი წარმომადგენლების კარგი გამოსვლა – მათ საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავეს, რასაც ხელი შეუწყო ასპარეზობათა საინტერესოდ და ორგანიზებულად მოწყობამ, რასაც საჭადრაკო დონის ამაღლებასთან ერთად შინაარსიანი დასვენებაც თან სდევდა.

**ალეკო არსენიძე,**
**იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის მდივანი.**

**სურათზე: ნორჩი მოჭადრაკეები – შავი ზღვის პირას.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ორბიტაზე

# ახალი საინტერესო შეჯიბრება – მსოფლიო თასი

ფიდეს ახალმა გადაწყვეტილებამ, შემოიღოს მსოფლიო თასის გათამაშება როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის, დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს იქნება შეჯიბრება, რომელიც მნიშვნელობით მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატს თუ ჩამოუვარდება. ამასთან, ერთი უპირატესობაც ექნება – მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობა იმას ნიშნავს, რომ მოსალოდნელია ბრძოლის მეტი სიმძაფრე, ნაკლები „წინასწარ გადაწყვეტილი“ შეხვედრები.

მის შესახებ აზრი გამოთქვეს **ფიდეს** ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა:

**ემანუელ ომუკუ:** ლონდონში **ფიდეს** საპრეზიდენტო საბჭოზე კირსან ილიუმჟინოვი გამოვიდა მსოფლიო თასის გამართვის ინიციატივით. ახალი შეჯიბრება ტრადიციული და ყოველწლიური იქნება. მოეწყობა ვაჟთა და ქალთა ტურნირები, თითოეულში 24 მონაწილით. მსოფლიო თასის მიზანია **ფიდეს** ოფიციალური კალენდრის გაფართოება და ჭადრაკში ახალი ორგანიზატორების მოზიდვა, რომელთაც სურთ დიდი რანგის, მსოფლიო ჩემპიონატთან მიახლოებული შეჯიბრებების გამართვა.

**– როგორია მსოფლიო თასის საპრიზო ფონდი?**

– საერთო ფონდი 400 ათასი დოლარია. შემდგომ შეჯიბრებებში იგი, შესაძლოა, გაიზარდოს. ვაჟთა შორის გამარჯვებული 50 ათას დოლარს მიიღებს, ქალთა შორის – 30 ათასს. შეჯიბრება ასე ტარდება: ჯერ გაიმართება 4 წრიული ტურნირი ექვს-ექვსი მონაწილით. ორ-ორი გამარჯვებული გადის შემდგომ ეტაპზე: ეს 8 მონაწილე უკვე ნოკაუტ-სისტემით გააგრძელებს გზას და ასე გამოავლენს თასის მფლობელს.

ის, ვინც უკვე ნოკაუტ-სისტემით ვაჟთა შორის პირველივე მატჩს წააგებს, 10 ათას დოლარს მიიღებს. ვინც ერთ წრეს გაივლის და მეორე მატჩს წააგებს, უკვე 20 ათას დოლარს მიიღებს. ასევე განაწილდება თანხები ქალთა შორის. უკვე დავდეთ ხელშეკრულება ჩინეთის ქალაქ შენიანთან, რომელსაც დაარსებიდან 2300 წელი უსრულდება. აქ გაიმართება თასის გათამაშება 1-დან 14 სექტემბრამდე.

**– ითამაშებენ თუ არა მსოფლიო თასზე უძლიერესი მოჭადრაკეები – კასპაროვი, კრამნიკი, ანანდი?**

– **ფიდე** ასეთ პოლიტიკას ატარებს – არავის მიუხუროს კარი. დაე, ყველამ თვითონ გადაწყვიტოს, ითამაშებს თუ არა. უკვე გვქონდა წინასწარი მოლაპარაკება ზოგიერთ წამყვან მოჭადრაკესთან. მათ სურთ თამაში.

იხ. მე-6 გვ.

ანონსი

# „ცხვარიჭამია – 2000“

საერთაშორისო დიდოსტატ გიგა ყაჭეიშვილის ინიციატივით, 19-28 სექტემბერს ცხვარიჭამიაში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა კვალიფიციურ მოჭადრაკეს.

ტურნირში დაითვლება ფიდეს რეიტინგი. გარანტირებული საპრიზო ფონდი შეადგენს 3500 ლარს.

ტურნირის დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ტელეფონებზე:

22-67-02 გიგა ყაჭეიშვილი,
35-08-49 ნატო ებგვერაძე.

„ლაზიერის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ანზორ ბასილაია დაბადების 65 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საპატიო სიგელით.

ვულოცავთ კოლეგას!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 231. შაბათი, 26 აგვისტო, 2000 წელი.

სტამბოლი — 2000

# ოლიმპიადისთვის ემზადებიან

**„ლაზიერის“ მკითხველისთვის საინტერესოა იმ საერთაშორისო ტურნირების შედეგები, რომლებშიც ქართველი მოჭადრაკეები მონაწილეობენ. ყურადღების ცენტრში ჩვენი ოლიმპიური გუნდის წევრები არიან. სტამბოლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის დაწყებამდე არცთუ ისე დიდი დრო რჩება.**

### ესპანეთი

5-13 აგვისტოს ბარსელონაში გაიმართა ესპანეთის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც ათი კლუბი მონაწილეობდა.

გალიციის „მარკოტეს“ პირველ დაფაზე ქართველი დიდოსტატი გია გიორგაძე იყო მიწვეული.

მისმა გუნდმა მე-2 გუნდური ადგილი დაიკავა და მხოლოდ კანარის კუნძულების „პალმა ოაზისს“ ჩამორჩა. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობას ალექსეი შიროვი და ვესელინ ტოპალოვი ამშვენებდნენ.

**გია გიორგაძემ** ცხრა პარტიიდან ორი მოიგო, ერთი წააგო (შიროვთან) და ექვსი ყაიმით დაასრულა. ამ შედეგით მან პირველ დაფაზე მეორე შედეგი აჩვენა.

### შვეიცარია

აგვისტოს პირველ ნახევარში ბილში და ბერნში გაიმართა ტრადიციული ღია ტურნირები. თითოეულ მათგანში 100-ზე მეტი მოჭადრაკე თამაშობდა.



ზურაბ სტურუა.

ბილში ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად გაიმართა. დიდოსტატმა **ზურაბ სტურუამ** 7,5 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა. **ნინო გურიელმა** კი 6 ქულით ქალთა შორის I-II ადგილები გაიყო.

ბილიდან მოჭადრაკეებმა ბერნში გადაინაცვლეს. როგორც ჩანს, **ზურაბ სტურუა** ჩვეულ სპორტულ ფორმას იბრუნებს. მან 9 თამაშიდან 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

5,5 ქულით **ნინო გურიელმა** ქალთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

### საბერძნეთი

ზაფხულში ტრადიციულად საბერძნეთში საერთაშორისო ტურნირების მთელი სერია იმართება.

იკაროს საერთაშორისო ტურნირმა 125 მოჭადრაკე შეკრიბა.

9 შესაძლებლიდან 8 ქულით პირველობა არავის დაუთმო ჰოლანდიელმა ერიკ ვან დენ დოულმა. შვიდმა მონაწილემ 7 ქულით დაამთავრა ასპარეზობა, მათ შორის არიან ფიდეს ოსტატი **ბესარიონ ხეცურიანი** და საერთაშორისო ოსტატი **ნიკოლოზ მანაგაძე**.

კორინტოს ტურნირში კი 94 მონაწილე ჩაება. პირველი ადგილი ისევ ვან დენ დოულს დარჩა – 7 ქულა 9 თამაშიდან. ამდენივე ქულით მეორე ადგილზეა თბილისელი დიდოსტატი **გიორგი ბაღათუროვი**, მესამე ადგილი კი მაქსიმ ტუროვს (რუსეთი) ხვდა. 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს რუმინელმა ანდრეი ისტრატესკუმ და უნგრეთის წარმომადგენელმა ალექსანდრე ჩერნინმა.

19 აგვისტოს ბალკიდიის ტურნირის შედეგები შეჯამდა.

48 მონაწილეს შორის უძლიერესი იყო არკადი როტშტეინი (გერმანია, 7,5 ქულა – 9 თამაშიდან).

სატურნირო ცხრილში დანარჩენი მოჭადრაკეები ასე განლაგდნენ: II. ანდრეას კოფიდისი (საბერძნეთი, 7), III. ანდრეი ისტრატესკუ (რუმინეთი, 6,5), IV. **თამაზ გელაშვილი** (6,5),... VI. **ნიკოლოზ მანაგაძე** – 6 ქულა.

### გერმანია

როგორც „ლაზიერის“ წინა გამოშვებაში ვიუწყებოდით, გერმანიის ქალთა ღია ჩემპიონატში **მაია ლომინეიშვილი** დაწინაურდა.

საბოლოოდ სამმა მოჭადრაკემ – (ლომინეიშვილმა, ტატიანა ვასილევიჩმა და ინა გაპონენკომ) თანაბარი ქულებით დაამთავრა ასპარეზობა და საპრიზო ადგილებიც ერთმანეთში გაინაწილეს.

* * *

ბავარიაში მიმდინარეობს პირამიდა-ფრანკის მესამე ტრადიციული ტურნირი. მასში 97 მოჭადრაკე გამოდის. **მაია ლომინეიშვილს** 5 თამაშის შემდეგ ოთხი ქულა აქვს და ლიდერთა ჯგუფშია. მეტოქეები კი მას საკმაოდ ძლიერები ჰყავს – დიდოსტატები ჩერნინი, იბრაგიმოვი, კინდერმანი და სხვები.

### პოლანდია

საქართველოს ჩემპიონმა **თამაზ გელაშვილმა** იტალიაში ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჰოლანდიაში გადაინაცვლა.

ვლისინგენში, სადაც გაიმართა საერთაშორისო ტურნირი 183 მოჭადრაკის მონაწილეობით, ფინიში ერთდროულად ხუთმა მოჭადრაკემ გადალახა (9 შესაძლებლიდან 7-7 ქულა). კოეფიციენტებმა პირველი ადგილი ბოსნიელ დიდოსტატ ივან სოკოლოვს არგუნა. გერმანიის წარმომადგენელი ვლადიმერ ეპიშინი მეორეა, ვიტალი გოლოდი ისრაელიდან – მესამე. თამაზის მეხუთე ადგილი მიეკუთვნა.



თამაზ გელაშვილი.

### ნორვეგია

გაუსდალში დამთავრდა ტურნირი 36 მოჭადრაკის მონაწილეობით. საუკეთესო შედეგი აჩვენა სერგეი ტივიაკოვმა, რომელიც ამჟამად ჰოლანდიის სახელით ასპარეზობს. მან 9 თამაშიდან 7,5 ქულა მოაგროვა. თბილისელი საერთაშორისო ოსტატი **დავით ლობჟანიძე** 6,5 ქულით მეორე ადგილზეა.

ემრავლოს!



# კიდევ ერთი დიდოსტატი

ქართველ დიდოსტატთა რიგებს სტამბოლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის შემდეგ ნიჭიერი მოჭადრაკე მიხეილ კეკელიძე მიემატება.

მიხეილი ოთხმოცდაათიანი წლებიდან გერმანიაში ცხოვრობს. ის ხშირად თამაშობს საერთაშორისო ტურნირებში. ორი წლის წინ, ის საერთაშორისო ოსტატი გახდა.

წლეულს მან წარმატებით იასპარეზა რამდენიმე ტურნირში. ჯერ იყო და, აპრილის დასაწყისში გერმანიის ქალაქ ბად-ვიდბადში დიდოსტატის ბალი აიღო, შემდეგ ნექვარ-ოპენის მე-4 ტრადიციულ ტურნირში კიდევ ერთი მოიპოვა და ბოლოს უკვე მაისში „ნიუ-იორკ-2000“-ში მიაღწია საწადელს.

დიდოსტატის პირველი ბალი კი მიხეილმა ჯერ კიდევ 1998 წლის დეკაპელე-ლეგრანდის მე-14 ტურნირში დაიმსახურა.

ოთხი ბალი და მაღალი რეიტინგი იმის გარანტიაა, რომ სტამბოლში ფიდეს კონგრესზე მიხეილ კეკელიძეს უმაღლეს საჭადრაკო წოდებას ოფიციალურად გაუფორმებენ.

ორბიტაზე

# ახალი საინტერესო შეჯიბრება – მსოფლიო თასი

(მეხუთე გვერდიდან)

**– მაინც რა პრინციპული განსხვავებაა მსოფლიო თასსა და მსოფლიო პირველობას შორის?**

– მინდა გითხრათ, რომ ბევრ ქვეყანას სურს მსოფლიო პირველობის გამართვა, მაგრამ ფინანსური შესაძლებლობები არა აქვს. აი, მსოფლიო თასი კი ამის შესაძლებლობას აძლევს. გარდა ამისა, ჩვენ უფრო ფართოდ ვეწევით ჭადრაკის პოპულარიზაციას და ვზრდით ტურნირების რაოდენობას. გარდა ამისა, მსოფლიო თასი თავისი ფორმულითაც განსხვავდება მსოფლიო ჩემპიონატისაგან.

**ვილი იკლიკი:** იდეა საკმაოდ მარტივია. ფიდე თავის ძალებს ორ უმთავრეს ტურნირს – მსოფლიო ჩემპიონატსა და მსოფლიო თასს მოახმარს. მსოფლიო თასზე მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის, აფრიკის, აზიის წარმომადგენლები, რომლებსაც საკმაოდ მაღალ დონეზე გამოსვლის საშუალება მიეცემათ.

**– კარპოვს თუ მოიწვევთ?**

– ჯერ ეს საკითხი არ გადაწყვეტილა. საბოლოო სია მალე უნდა გამოქვეყნდეს.

**– რა შეიძლება ითქვას ფიდეს ხელმძღვანელთა ამ განცხადებებზე?**

– გარი კასპაროვი და ვლადიმირ კრამნიკი ნამდვილად არ ითამაშებენ. ჩვენ მხოლოდ კასპაროვის მტრული პოზიცია არა გვაქვს მხედველობაში ფიდეს მიმართ. უბრალოდ, 7 ოქტომბერს, ლონდონში კასპაროვი-კრამნიკის მატჩი იწყება მსოფლიო პირველობაზე, შეიძლება სხვებმაც განაცხადონ უარი, მაგრამ ყველა შემთხვევაში მსოფლიო თასზე მეტად ძლიერი შემადგენლობა იქნება.

24 მონაწილე ვაჟს შორის მსოფლიოს სხვა ცნობილ მოჭადრაკეებთან ერთად იასპარეზებს ზურაბ აზმაიფარაშვილი. ქალთა ტურნირში კი ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ მაია ჩიბურდანიძე და ნინო ხურციძე.

პერსონალურად იყო მიწვეული ნანა იოსელიანი, მაგრამ მან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

ჩვენი მოჭადრაკეები 28 აგვისტოს ჩინეთში მიემგზავრებიან.

**ფიდემ** სააპელაციო კომიტეტის წევრად მიიწვია დიდოსტატი ნანა ალექსანდრია.

**გოგი თეთრაძე.**

უცხოეთში

# „ფიშერის ჭადრაკს“ კომპიუტერი ფიშერის სტილით თამაშობდა: ზუსტად, თანმიმდევრულად, შეუბრალებლად

ამ ბოლო ხანებში თანდათან ფეხს იკიდებს „ფიშერ რენდომ ჩეს“-ი, ანუ, უბრალოდ, ფიშერის ჭადრაკი. როცა სხვადასხვა კომპიუტერებს ფიდეს მაღალი კატეგორიის საერთაშორისო ტურნირებში უშვებენ, აქ დიდოსტატები ჩივიან, რომ ეს კომპიუტერები თეორიისადმი მიძღვნილ მთელ „ბიბლიოთეკებს“ იყენებენ. ეს, რა თქმა უნდა, ასეა და დიდოსტატები სულ უფრო მეტ გასაჭირში ვარდებიან. ასე, მაგალითად, დორტმუნდის საერთაშორისო ტურნირში კომპიუტერმა „იუნიორ 6“-მა მოუგო პეტერ ლეკოსა („რკინაბეტონიანი“ უნგრელი დიდოსტატის ერთადერთი დამარცხება!) და რობერტ ჰიუბნერს, გაასწრო მსოფლიო ჩემპიონ ალექსანდრ ხალიფმანს!

აი, „ფიშერის ჭადრაკში“ კი ვერავინ ვერავითარ „ბიბლიოთეკებს“ ვერ გამოიყენებს, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა პარტიაში ფიგურები სხვადასხვანაირად არის განლაგებული. აქ წინასწარი მომზადება ვერაფერს გიშველის, საკუთარი ჭკუით უნდა ითამაშო, თუნდაც იყო... არტურ იუსუპოვი!

ჩვენ კარგად ვიცნობთ არტურ იუსუპოვს. ყმაწვილობისას იგი საქართველოს მოსწავლეთა ღია ჩემპიონატში მონაწილეობდა, რომელიც განათლების სამინისტროს ეგიდით ბათუმში გაიმართა. ისეთი კარგი გარეგნობის ბავშვი გახლდათ, რომ ძლივს იგერიებდა რესტორან „ინტურისტის“ ოფიციანტ ქალებს, რომლებსაც მისთვის სისტემატიურად მიჰქონდათ შოკოლადი.

გავიდა დრო. იუსუპოვი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე გახდა, ითამაშა პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში და, ამდენად, გარკვეულ დროს იყო დიდოსტატი № 3. იგი მოსკოველია და ყოველთვის ამ ქალაქში ცხოვრობდა, სანამ ძალიან უსიამოვნო ამბავი არ მოხდა. იუსუპოვმა მოიგო დიდი საერთაშორისო ტურნირი მიუნხენში და შესაბამისად მიიღო თვალსაჩინო ფულადი პრიზი, რა ჯანდაბაა! თურმე, მოსკოველი ქურდები თუ ყაჩაღები გერმანულ გაზეთებსაც კი კითხულობენ. როგორც კი იუსუპოვი დაბრუნდა და შუადღისას სახლში მივიდა, აქ ყაჩაღები დახვდნენ, ყველაფერი წაართვეს და კინაღამ მოკლეს. ამის შემდეგ იუსუპოვმა გერმანიაში სამუდამოდ გადასახლება გადაწყვიტა და ამ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი გახდა.

ამას წინათ, მაინის ფრანკფურტის დიდი საჭადრაკო ფესტივალის ორგანიზატორებმა იუსუპოვს შესთავაზეს ორი პარტია ეთამაშა „ფიშერის ჭადრაკით“ კომპიუტერ **Fritz/Primergy**-სთან. იუსუპოვი დათანხმდა, და, ახლა, შესაძლებელია, ძალიან ნანობს. საქმე ის არის, რომ ეს კომპიუტერი ისე მოქმედებდა, თითქოს თვით რობერტ ფიშერი მიუჯდა დაფასო.

გთავაზობთ პირველ პარტიას, რომელსაც სიამოვნებით გაარჩევს ყველა მკითხველი.

აი, ფიგურების განლაგება ამ შეხვედრის წინ:



თეთრები: **Fritz/Primergy** – **მფc1, ლd1, ეf1, ეh1, მa1, მg1, კb1, კe1**, პაიკების განლაგება ჩვეულებრივია მეორე ჰორიზონტალზე.

შავები: არტურ იუსუპოვი – **მფc8, ლd8, ეf8, ეh8, მa8, მg8, კb8, კe8**. პაიკების განლაგება ჩვეულებრივია მეშვიდე ჰორიზონტალზე.

მაშ, ასე...

1. **მf3 d6** 2. **d4 e6**
3. **c4 მe7** 4. **კd3 a6**
5. **კd2 კa7** 6. **მb3 კa4**
7. **ლc2 h6** 8. **კc3 მფb8**
9. **მფb1 f6** 10. **ეd1 მb6**
11. **h4 მd7** 12. **h5 e5**
13. **e3 ლe8** 14. **g4 ლf7**
15. **მh4 ეc8** 16. **ეhe1 მb6**
17. **კa5 მc6** 18. **კb6 cb**
19. **კg6 ლc7** 20. **კf5 ეcd8**
21. **კe6 ეhe8** 22. **d5 მa5**
23. **მf5 ლc4** 24. **ლc4 მc4**
25. **მg7 ეe7** 26. **მf5 ეh7**
27. **ეd3 b5** 28. **ეc1 კb6**
29. **e4 b4** 30. **ეc4 კb5**
31. **მd6 ეd6** 32. **ეc8 მფa7**
33. **ეd2 a5** 34. **ეf8 a4**
35. **მc1 კd8** 36. **b3 a3**
37. **მe2 კe7** 38. **ეc8 კe2**
39. **ეe2 ეd8** 40. **ეec2 ეhh8**
41. **ეd8 ეd8** 42. **ეc7 კd6**
43. **ეh7 კf8** 44. **მფc2 მფb6**
45. **მფd3 მფa6** 46. **კf5 b6**
47. **ეf7 კc5** 48. **ეf6 ეd6**
49. **კeb ეd8** 50. **ეh6 ეf8**
51. **კf5 კf2** 52. **g5 ეf7**
53. **ეc6 1-0**.

როგორც არტურ იუსუპოვმა ამ პარტიის შემდეგ განაცხადა, **Fritz/Primergy** თავიდან ბოლომდე ყველაფერს „ხედავდა“, მას კი პოზიციის შეფასება ძალიან უჭირდა. ლიახ, როგორც ჩანს, ნამდვილად ასე იყო...

**გივი გამრეკელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

# პირველი უცხოელი მოჭადრაკე თბილისში

1926 წლის მარტის ბოლოს თბილისის ჭადრაკის სექციის (ფედერაციის) თაეკაცებმა (თავმჯდომარემ ა. ნაზარეტიანმა, მოადგილემ ა. პეტროკოვსკიმ) შეიტყვეს, რომ მსოფლიოს გარშემო საჭადრაკო გასტროლების შემდეგ ციმბირისა და მოსკოვის გავლით იუგოსლავიაში ბრუნდება გამოჩენილი სერბი მაესტრო (მაშინ ასე იხსენიებდნენ დიდოსტატებს) ბორა კოსტიჩი. მათ სექციის სახელით იგი თბილისში მოიწვიეს.

მაესტრომ თანხმობა განაცხადა, თან შემოთვალა, მხოლოდ ორ ერთდროული თამაშის სეანსს ჩავატარებო. ეს ამბავი სწრაფად მოედო თბილისს და სეანსში მონაწილეობის მსურველთა ჩაწერა დაიწყეს.

ბორა კოსტიჩი (1887-1963 წ.წ.) 20-იან წლებში მსოფლიოს უძლიერესთა ათეულში შედიოდა. იმარჯვებდა დიდ ტურნირებში. დამარცხებული ჰყავდა იმდროინდელი კორიფეები. იგი არაფრით ჩამორჩებოდა ა. ალიოხინს ერთდროული თამაშის სეანსებსა და დაფაზე დაუხედავად თამაშში. 1924-1926 წლებში ბ. კოსტიჩმა შემოიარა სამხრეთი და ჩრდილოეთი ამერიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, იაპონია, ჩინეთი, ფილიპინები და ციმბირის დიდი ქალაქები, სადაც ათასობით პარტია ითამაშა.

ძვირფასი სტუმარი თბილისში 5 აპრილს ჩამოვიდა. 6-ში საღამოს იგი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციას ეწვია – გაზეთი მისი მასპინძელი იყო და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ა. პეტროკოვსკი ამ გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი გახლდათ. საინტერესო საუბრის დასასრულს კოსტიჩმა და რედაქციის „ნაკრებმა" საკონსულტაციო პარტია გაითამაშეს. კონსულტანტებმა მხოლოდ 59-ე სვლაზე დაჰყარეს ფარ-ხმალი...

პირველი სეანსის დღეს, 7 აპრილს, განათლების მუშაკთა სახლის დარბაზში ტევა არ იყო. მაგიდებს 30 მოყვარული მიუსხდა. სეანსი გვიანობამდე გაგრძელდა. იცით რატომ? თურმე მონაწილეებს 150 კონსულტანტი ჰყავდა. თამაშის დროს ნებადართული ყოფილა პოზიციის ანალიზი დაფაზე ფიგურების გადაადგილებით, გულმოდგინე თათბირი კონსულტანტებთან.

სეანსში კოსტიჩმა 17 პარტია მოიგო, 5 წააგო (ა. კავკასიძე, ბუდსდორფი, რეიმანი, სომოვი, ბაიდურსკი) და 8 ყაიმით დაამთავრა (ვ. გოგლიძე, პოპოვი, ნ. კორსუნსკი, ალიხანოვი, მერ. ორახელაშვილი, მკრტუმოვი, ფრანგულიანი, სიმონოვი).

მეორე სეანსი მოეწყო 9 აპრილს წითელი არმიისა და ფლოტის სახლში. კოსტიჩს აქაც 30 მეტოქე ჰყავდა. მან დიდად მოინდომა და შედეგიც გააუმჯობესა: 18 პარტია მოიგო, 10 ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ორი წააგო. მას მოუგეს 20 წლის ვ. გოგლიძემ და პროფესორმა გიორგი ნიკოლაძემ.

ერთხელ ვიქტორ გოგლიძეს რომ გავახსენე კოსტიჩის სეანსი, მიამბო:

– ჩვენს გვერდით მოხვდა გიორგი ნიკოლაძე. დიდოსტატის მორიგი სვლის მოლოდინში მეგობრულად მესაუბრა, მოიწონა ჩემი გადაწყვეტილება – საჭადრაკო ხელოვნებას მინდა დავეუფლო-მეთქი და მითხრა:

– ნიჭიერმა ახალგაზრდებმა უნდა განადიდოთ ქართული ჭადრაკი, ეს თქვენი მოვალეობაა სამშობლოს წინაშეო.

ბ. კოსტიჩს ყაიმით დაუმთავრეს შეხვედრა: დოლუხანოვმა (შემდგომში გამოჩენილი მუსიკოსი-კომპოზიტორი და საჭადრაკო კომპოზიტორი), ვ. სიდამონ-ერისთავმა (გამოჩენილი მხატვარი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ქართული მხატვრული ჭადრაკის კომპლექტის შემქმნელი), ვახეკმა, ღოღობერიძემ, ვართანიანმა და სხვ.

საბოლოო შედეგით (+35-7=18) სტუმარი უკმაყოფილო დარჩა. მან თქვა: ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში 1570 პარტია ვითამაშე, მათგან მხოლოდ 24 წავაგე და 320 ყაიმით დავამთავრეო.

გამგზავრების წინ ბ. კოსტიჩმა ინტერვიუში განაცხადა:

– მიმაჩნია, რომ მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის შემდეგ ძალიან მალე თბილისმა უნდა დაიკავოს თვალსაჩინო ადგილი სსრ კავშირის საჭადრაკო ცხოვრებაში. თბილისში შევხვდი უჩვეულოდ ძლიერ საშუალო მოთამაშეებს და იმ ლტოლვას, მისწრაფებას, რაც აუცილებელი პირობაა წინსვლისა და სრულყოფისათვის. აქ ძალიან მკაფიოდ გამოჩნდა ის სიკეთე, რაც მოაქვს აურაცხელ გაზეთებში საჭადრაკო განყოფილებების არსებობას. ჩემმა მეტოქეებმა გამოავლინეს სადებიუტო თეორიის და ენდშპილის თამაშის კარგი ცოდნა, რაც ჩემს აღფრთოვანებას იწვევდა. ყველაფერმა ამან უზრუნველყო მათი წარმატება ჩემს სეანსებში. თუ თბილისში ასეთი ტემპით გაგრძელდა საჭადრაკო ცხოვრება როგორც ამჯამად, დარწმუნებული იყავით, რამდენიმე წლის შემდეგ თბილისში ძლიერი, საკავშირო მასშტაბის ოსტატები გაიზრდებიან.

ბ. კოსტიჩს გამოსათხოვარი ვახშამი გაუმართეს „ქართული საზოგადოების" (ახლა იქ ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრია) რესტორანში.

10 აპრილს ბ. კოსტიჩი ბაქოს გაემგზავრა, სადაც აპირებდა შეხვედრას მოყვარულებთან სეანსში.

და ბოლოს, ერთხელ ოსტატმა ნ. სოროკინმა, რომელიც ახლოს იცნობდა სტუმარს, სიცილით გაიხსენა შემდეგი კურიოზი:

– კოსტიჩი თბილისიდან შინ ოდესის გავლით უნდა დაბრუნებულიყო. ამ დროს მიიღო თხოვნა ოდესელებისგან, მათთვისაც გაემართა ერთდროული თამაშის სეანსი. თანხმობა რომ შეუთვალა, კოსტიჩმა გამოთქვა სურვილი შეხვედროდა სეანსში უკრაინის ვაჟთა ჩემპიონატის თორმეტივე მონაწილეს. ოდესელებმა იწყინეს ეს და ისეთი თავგამოდებით ითამაშეს, რომ კოსტიჩს „თავი მოჭრეს": მაესტრომ მხოლოდ ორი თუ სამი პარტია დაამთავრა ყაიმით, დანარჩენი წააგო და ჩემპიონატში მისი შედეგები რომ შეიტანეს, ბოლო ადგილზე აღმოჩნდა!

ბორა კოსტიჩი პირველი უცხოელი სტუმარი დიდოსტატი აღმოჩნდა თბილისის ჭადრაკის ისტორიაში.

**ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.**

ᲙᲕᲚᲔᲕᲐ, ᲫᲘᲔᲑᲐ

# 64 უჯრა და ჩვენი პრესა

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ ᲒᲖᲐ 1830-2000 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ

**ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ჟურნალისტიკა არის ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი აღიარებული დარგობრივი მიმართულება. ესაა საჭადრაკო პრესა – გაზეთები, ჟურნალები და წიგნები (რეპორტაჟები, ცნობარები, პარტიების კრებულები და სხვ.). ქართულმა საჭადრაკო ჟურნალისტიკამ გრძელი გზა განვლო, მაგრამ აქამდე არ გამხდარა კვლევის საგანი, არ დაწერილა მისი ისტორია.**

**ვიდრე ეს პროცესი დაიწყება, ჩვენ ვცადეთ მოკლედ მაინც მიმოგვეხილა ქართული საჭადრაკო პრესის განვლილი გზა.**

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ირკვევა, ქართულმა საჭადრაკო პრესამ თითქმის გაიმეორა ევროპის საჭადრაკო ჟურნალისტიკის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის გზა. ცნობილია, რომ ჟურნალ-გაზეთებში ჭადრაკის კუთხე პირველად შემოიღეს XIX საუკუნის დამდეგს ინგლისსა და გერმანიაში. მალე მას მოჰყვა (1836 წ.) საფრანგეთში პირველი საჭადრაკო ჟურნალის „პალამედის" (რედაქტორი ლ. ლაბურდონე) დაარსება. მერე ეს ყველაფერი სხვა ქვეყნებმაც გადაიღეს.

საქართველოს გაზეთებში ჭადრაკთან დაკავშირებით პირველი ინფორმაციები (პირდაპირ შეგვიძლია დავასახელოთ) 1830, 1873 და 1893 წლებში გამოჩნდა. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან XIX საუკუნეში ჭადრაკი არ იყო იმდროინდელი საზოგადოების კულტურული ცხოვრების მაჩვენებელი.

1830 წელს გაზეთი „თბილისის უწყებანი" (12) წერდა, რომ ახალი წლის წინ თბილისის ოჯახებში ქალებიც ჭადრაკს თამაშობენო. ეს ინფორმაცია მოწოდებული იყო როგორც სიურპრიზი.

1873 წლის „დროებაში" ჭადრაკი გაიხსენა ჟურნალისტმა დ. მიქელაძემ (მეველე) პარიზიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში იმის გამო, რომ ანდრია დადიანმა დაამარცხა საფრანგეთის დიდოსტატი ს. როზენტალი ერთდროული თამაშის სეანსში. ამ ინფორმაციის მინაწერში დ. მიქელაძე გვამცნობს იმდროინდელი საზოგადოების დამოკიდებულებას ჭადრაკისადმი. იგი წერს: „მე სხვებივით არ ვფიქრობ, რომ ჭადრაკის თამაში საზრახისი საქმე იყოს, მაგრამ ბევრად უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ რაიმე სამშობლოს სასარგებლო მოქმედებით გაითქომდნენ სახელს ჩვენი თავადები".

ალბათ, ისიც საინტერესოა, რომ „დროებაში", მანამდე და შემდეგაც, არასოდეს დაბეჭდილა სხვა ინფორმაცია ჭადრაკთან დაკავშირებით.

1893 წლის დამლევს ილია ჭავჭავაძის „ივერია" სისტემატურად აქვეყნებდა ინფორმაციას პეტერბურგში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების მ. ჩიგორინისა (რუსეთი) და ზ. ტარაშის (გერმანია) მატჩის მსვლელობაზე. ორთაბრძოლის დამთავრებისას (ანგარიშით 9:9) გაზეთში (№ 239) ხელმოუწერელი ვრცელი შემაჯამებელი წერილი – „ჭადრაკის მეფენი" – დაიბეჭდა. იგრძნობოდა ჭადრაკში კარგად გათვითცნობიერებული კაცის ხელწერა. მსგავსი არაფერი გამოქვეყნებულა XIX საუკუნის ქართულ პრესაში. მკვლევარების (ვ. სიდამონიძე) აზრით, წერილი თვით ილია ჭავჭავაძემ დაწერა. არცაა გასაკვირი. დიდმა ილიამ ჩინებულად იცოდა ჭადრაკი. ჩვენი აზრით, ნამდვილი ქართული საჭადრაკო ჟურნალისტიკა სწორედ აქედან იწყება.

ჭადრაკთან დაკავშირებით თითქმის არაფერი იწერება XX საუკუნის დამდეგამდე. მხოლოდ 20-იან წლებში დაიწყეს ჭადრაკზე წერა. უფრო მეტიც, პირველად გამოჩნდა გაზეთის ფურცლებზე საჭადრაკო ტექსტი (პარტიები, ამოცანები, ეტიუდები). რა თქმა უნდა, ეს საზოგადოებრიობის ჭადრაკისადმი დიდმა დაინტერესებამ განაპირობა. ამ დროს თბილისში დუღდა საჭადრაკო ცხოვრება, რაც მოსკოვის პირველ (1925 წ.) საერთაშორისო ტურნირს მოჰყვა. ჩვენშიც გამოჩნდნენ ნიჭიერი მოჭადრაკეები.

1925 წლიდან გაზეთებში ჭადრაკის განყოფილებებს უძღვებოდნენ ვ. გოგლიძე (გაზეთი „კომუნისტი"), გ. ლევენფიში, ნ. სოროკინი („ზარია ვოსტოკა"), კ. ლამბარაშვილი („ახალგაზრდა კომუნისტი"), ა. ფალავანდიშვილი („მუშა", „ფიზკულტურელი"), ი. მალუნცევი („მოლოდოი სტალინეცი") და სხვ.

„ჭადრაკის კუთხეში" ძირითადად იბეჭდებოდა ინფორმაციები საქართველოს და სსრ კავშირის საჭადრაკო ცხოვრებიდან, თითო-ოროლა პარტია შენიშვნებით, ამოცანები და ეტიუდები, უპირატესად -- ქართველი ავტორებისა.

ჭადრაკს დიდძალი მოტრფიალე და მოყვარული ჰყავდა, ამიტომ 1936 წელს კ. ლამბარაშვილმა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" დასვა საკითხი ქართულ ენაზე საჭადრაკო გაზეთის გამოცემის თაობაზე. აღნიშნავდა, რომ საქართველოში დიდი მოთხოვნაა საჭადრაკო ლიტერატურაზე და ამ მხრივ „შიმშილი" იგრძნობაო.



მოწოდებას გაზეთი „ფიზკულტურელი" გამოეხმაურა. 1938 წელს მან შეძლო სპეციალური დანართის „ჭადრაკი და შაში" ოთხი ნომრის გამოცემა. დანართი არ გამოირჩეოდა მასალის სიმდიდრით და იმ წელსვე დაიხურა.

მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კვლავ დაისვა ქართული საჭადრაკო გაზეთის გამოცემის საკითხი: ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა მიხეილ კაკაბაძემ გაზეთ „ლელოს" 1951 წლის 23 მაისის ნომერი მთლიანად „საქართველოში ჭადრაკის განვითარებას" მიუძღვნა. მსგავსი არაფერი გაუკეთებია რომელიმე ქართულ გაზეთს. აქვე ვიტყვით, რომ მხოლოდ 1984 წლის 26 ივლისს „ლელოს" დანართად შეიქმნა პირველი ქართული საჭადრაკო გაზეთი „მერანი" (რედაქტორი თენგიზ გიორგაძე).

მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, ჩვენს გაზეთებში ჭადრაკის განყოფილებებს უძღვებოდნენ ცნობილი მოჭადრაკეები და ჟურნალისტები: ვ. გოგლიძე, გ. გამრეკელი („კომუნისტი", თენგიზ გიორგაძე („ლელო", „სოფლის ცხოვრება"), გ. ნადარეიშვილი („თბილისი"), ვ. კალანდაძე („მოლოდიოჟ გრუზიი"). არ შემწყდარა ჭადრაკის კუთხეების მუშაობა „ლელოში" (ვ. ნეიძე, გ. გამრეკელი), „საქართველოს რესპუბლიკაში" (შ. ინწკირველი, ვ. კალანდაძე), „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი" (ი. აკობია) და სხვ. ჟურნალ „პიონერში" ჭადრაკის განყოფილებას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ თენ. გიორგაძე და შ. ინწკირველი, ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკაში" – ვ. ნეიძე.

60-70-იან წლებში ქართველი ჟურნალისტების თაოსნობით დიდი ტურნირებისა და მატჩების დროს გამოდიოდა სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენები (რუსულ ენაზე) მასობრივი ტირაჟით მ. კაკაბაძისა, გ. ბედინეიშვილის, თენ. გიორგაძის და ა. ფირცხალავას რედაქტორობით. (გამოვიდა 17 კრებული).

ᲘᲮ. ᲛᲔ-8 ᲒᲕ.

ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲡ ᲓᲝᲖᲐ




ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲙᲣᲪᲘᲐᲡ ნახატი.

ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ

# კასპაროვი – სტინგი 1:0

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ საესტრადო მუსიკის ვარსკვლავი სტინგი ყველას დიდ პატივში ჰყავს. ჯერ იყო და, განთქმული როკმუსიკოსი თვით თანამედროვეობის უდიდესმა ტენორმა ლუჩანო პავაროტიმ მიიწვია თავის მშობლიურ ქალაქში და ერთობლივი (!) კონცერტი გამართა. ახლა კი გარი კასპაროვმა, როცა გაიგო, რომ სტინგი ჭადრაკის მოყვარულია, მასთან თამაში მოინდომა. ეს პარტია ჩვენს მკითხველებსაც დააინტერესებს. რა თქმა უნდა, ისინი გაითვალისწინებენ, ვისთან თამაშობს სტინგი. თვით მომღერალს კი ვერაფერს დაუწუნებენ, გარდა იმისა, რომ იგი მე-17 სვლაზე შეცდა, და, რომ იტყვიან, პაიკი „დასვა". დანარჩენი ყველაფერი ამ პარტიაში ნორმალურია, ხოლო სტინგის მიერ სადებიუტო სტადიის გათამაშება – უდავოდ მოსაწონი. ვთქვათ ისიც, რომ სტინგმა მსოფლიო ჩემპიონს გაცილებით უფრო შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია, ვიდრე ლეგენდარულმა გერმანელმა ჩოგბურთელმა ბორის ბეკერმა ან განთქმულმა გერმანელმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა, რომლებიც ასევე შეხვდნენ თანამედროვეობის უძლიერეს მოჭადრაკეს.

**ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ — ᲡᲢᲘᲜᲒᲘ**

**1. g3 მf6 2. კg2 e5**
**3. d3 კc5 4. მf3 d6**
**5. 0-0 0-0 6. c4 მc6**
**7. მc3 კg4 8. h3 კf3**
**9. კf3 ლd7 10. კg2 a6**
**11. e3 კb4.**

მოყვარული მოჭადრაკე მშვენივრად თამაშობს. მას მტკიცე პოზიცია აქვს. **12. მe2 ეae8 13. a3 კc5 14. ლc2 ეe7 15. b4 კa7 16. მc3 ეf8 17. კd2 d5.**

ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო. რა ვუყოთ, სტინგი შეცდა!

**18. cd მd8 19. e4 h6**
**20. კe3 b6 21. მe2 მb7**
**22. g4 ეc8 23. მg3 მd6**
**24. ლc6 ლc6 25. dc ეd8**
**26. a4 მc8 27. ეfd1 ეe6**
**28. b5 a5 29. კf3 ეed6**
**30. კe2 მh7 31. h4 მe7**
**32. მf5 მf5 33. gf f6**
**34. ეa3 მფh8 35. ეd2 ეd8**
**36. h5 მg5 37. მფf1 მh3**
**38. კg4 მf4 39. d4**

და რამდენიმე სვლის შემდეგ განთქმული მომღერალი დანებდა. ინტერნეტით ამ პარტიას გაცილებით უფრო მეტი მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე სტინგის ნებისმიერ კონცერტს, რომლებიც ზოგჯერ დიდ სტადიონებზეც კი იმართება.

**ᲒᲘᲕᲘ ᲗᲝᲠᲔᲚᲘ.**

## კვლევა, ძიება

# 64 უჯრა და ჩვენი პრესა

**(მეშვიდე გვერდიდან)**

ამ დიდმა შრომა-გარჯამ მოამზადა გამომცემლობა „განათლების“ (დირექტორი ხუტა ბერულავა) მეთოდური ბიულეტენის „ჭადრაკის“ გამოცემა (რედაქტორი გია ნადარეიშვილი). 1971-1976 წლებში „ჭადრაკის“ თერთმეტი ნომერი გამოვიდა. „ალმანახში“, როგორც მას ვეძახდით, აქტიურად თანამშრომლობდნენ ჩვენი ცნობილი დიდოსტატები და ოსტატები.

მალე ჟურნალისტურ სარბიელზე „მერანიც“ გამოჩნდა. მან შემოგვინახა იმდროინდელი საჭადრაკო ცხოვრების ამბები. 1990 წელს „მერანი“ დაიხურა უსახსრობის გამო. კიდევ ერთი წელი (1991 წ.) აცოცხლა იგი ცნობილმა ჟურნალისტმა გიგლა გობეჩიამ, რომელიც „მერანს“ დამოუკიდებელ გაზეთად გამოსცემდა. შეჭირვებული ცხოვრების 90-იან წლებში ქართულ ჭადრაკს აღარ ჰქონდა თავისი პრესა. 1997 წელს გამომცემლობა „დედაენის“ თავკაცმა, ჭადრაკის ჭეშმარიტმა ტრფიალმა ვ. მესხიშვილმა დააარსა ახალი ჟურნალი „ჭადრაკის სამყარო“ (მთ. რედაქტორი თენგიზ გიორგაძე). მაგრამ ვერც მან გაუძლო საერთო დუხჭირ ცხოვრებას. ათი ნომრის შემდეგ შეწყდა მისი გამოცემა.

ქართველ საჭადრაკო მოძრაობას მხარში ამოუდგა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია (მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე), რომელიც 1996 წლის 26 ოქტომბრიდან გამოსცემს გაზეთის საჭადრაკო დამატებას – „ლაზიერს“. დღეს იგი ქართული საჭადრაკო პრესის ერთადერთი ორგანოა.

აი, ასეთი გზა განვლო დღემდე ქართულმა საჭადრაკო პრესამ. ბევრი რამ უთქმელი დაგვრჩა უადგილობის გამო, ვფიქრობ, საჭიროა გაგრძელდეს კვლევა-ძიება და მომზადდეს მონოგრაფიის გამოცემა.

**თენგიზ გიორგაძე.**

## გამოცა

# საჩუქარი – მოყვარულებს



საჭადრაკო კომპოზიციის მოყვარულებმა ახალი საჩუქარი მიიღეს. გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა საერთაშორისო დიდოსტატის დავით გურგენიძის წიგნი „Малютки грузинских этюдистов“. გვ. 160. 2000 წ.

წიგნში დასტამბულია ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორების 150 პაწია ეტიუდი.

ხუთფიგურიანი ეტიუდის შედგენა ავტორისაგან დიდ ფანტაზიას და მაღალ ტექნიკას მოითხოვს.

ეტიუდები მასალის მიხედვით არის დალაგებული.

წიგნი უხვად არის ილუსტრირებული. გარეკანის მხატვრობა ნეიკო ნეიძეს ეკუთვნის, კომპიუტერული უზრუნველყოფა – გელა ჩადუნაშვილს.

მკითხველი გაეცნობა გია ნადარეიშვილის, იოსებ კრიხელის, დავით გურგენიძის, ველიმირ კალანდაძის, ვაჟა ნეიძის, რევაზ თავარიანის, ჯემალ მახათაძის, რუზველტ მარცვალაშვილის, ვიქტორ სერედას, შაქრო და რომანოზ წურწუმიების, ჯუმბერ პაჭკორიას და ჯემალ მაწონაშვილის ხუთფიგურიან ეტიუდებს.

## კომპოზიცია

# როქის იდეა ეტიუდებში

„მეცნიერება უძლურია, რადგან იგი აზროვნებს, ხელოვნება ყოვლად ძლიერი, რადგან იგი ინტუიციით წვდება“.

(ანრი ბერგსონი).

ეტიუდისტები ხშირად იყენებენ საჭადრაკო სტრატეგიის იმ ტაქტიკურ ელემენტებს, რომლებიც პრაქტიკულ პარტიაში გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი ხერხია როქი. პრაქტიკულ პარტიაში, უმრავლეს შემთხვევაში, როქი კეთდება მეფის უსაფრთხო ადგილზე გადამალვის მიზნით. საჭადრაკო თეორეტიკოსები თავიანთ სახელმძღვანელოებში მოჭადრაკეებს ხშირად ურჩევენ, დროზე გააკეთონ როქი, რათა ცენტრში დარჩენილი მათი მეფე შეტევის ობიექტად არ იქცეს. მაგრამ ეს წესი უნივერსალური არ გახლავთ და, როგორც ცნობილია, კონკრეტული პოზიცია კონკრეტულ გადაჭრას მოითხოვს. საჭადრაკო ეტიუდში კომპოზიტორებმა როქის იდეა მრავალი საინტერესო ნიუანსით შეავსეს. მას იყენებენ ტემპის მოგების მიზნით, საპატიო კომბინაციის განსახორციელებლად, ფიგურის მოსაგერიებლად, შამათის მისაღწევად და სხვა მრავალფეროვანი ტაქტიკური ოპერაციების განსახორციელებლად. ამასთანავე, როქი მძლავრი საშუალება აღმოჩნდა სხვადასხვა საეტიუდო იდეის შერწყმის გზაზე.

ახლა გავეცნოთ როქის იდეაზე აგებულ რამდენიმე საინტერესო ეტიუდს: № 1 დიაგრამაზე გამოსახულ ეტიუდში როქის იდეის გამოყენებით თეთრები საინტერესო საპატო პოზიციას ქმნიან. ამოხსნა ასეთია:

**ვ. რუდენკო, 1957 წ.**



**ყაიმი.**

**1. 0-0-0! მფg2 2. ეg5 კg4 3. ეg4 მფh3 4. ეa4 a2 5. ეa3!! ეa3 6. ეd3! ეd3 პატი.**

№ 2 ეტიუდში როქის შემდეგ ჩაფიქრებული საპატო პოზიციის უარყოფა ხდება ეტლის საინტერესო გაცოცხლებით.

**დ. გურგენიძე, 1974 წ.**



**თეთრები იგებენ.**

**1. b7 0-0! 2. b8ე!! ეb8 3. მფb8 მფg7 4. მფc7 მფh6 5. მფd6 მფh5 6. მფe7 მფg5 7. მფe6 მოგებით.**

როქის იდეაზე გრანდიოზული ნაწარმოები შექმნა ჩეხმა ეტიუდისტმა ი. ფრიტზმა, სადაც ეტლის მრავალგზის შეწირვების შემდეგ თეთრები გრძელი როქით აგვირგვინებენ თავიანთ ჩანაფიქრს. ვნახოთ ამ მეტად საინტერესო ეტიუდის გადაწყვეტა: **1. ეg6! მფf8 2. ეg8! მფe7 3. ეe8! მფd6 4. ეe6! მფc7 5. ეc6 მფd8 6. კf3! კf3 7. ეh6 h1ლ 8. ეh1 კh1 9. 0-0-0!** ეფექტური მოგებით! მასშტაბური ნაწარმოებია! მას აშკარად ეტყობა დიდი შემოქმედის ხელი.

**ი. ფრიტზი, 1957 წ.**



**თეთრები იგებენ.**

გავეცნოთ კიდევ ერთ ნაწარმოებს, სადაც ეტლის სისტემატიური შეწირვებისა და როქის შემდეგ თეთრები მიუვალ სიმაგრეს აგებენ.

**ვ. კალანდაძე, 1994 წ.**



**ყაიმი.**

**1. ეd8! მფe7! 2. ეd7! მფe6 3. ეd6! მფe5 4. ეd5! მფe4 5. ეd4 მფd4 6. 0-0-0! მფc3 7. ეd3 მფc4 8. მფb2 h1ლ 9. მფa2 ლc1 10. ეc3! მფd4! 11. ეd3 მფe4 12. ეc3!** და სიმაგრე აუღებელია. ყაიმი!

როგორც ვხედავთ, როქის იდეა მეტად ნაყოფიერი გამოდგა სხვადასხვა საეტიუდო იდეის სინთეზის გზაზე. იგი, ჩვენი აზრით, მომავალშიც მიიპყრობს კომპოზიტორთა ყურადღებას.

**ველიმირ კალანდაძე,**
საერთაშორისო ოსტატი.

## ასეც მომხდარა...

### ფიქრებში ჩაიძირა

1953 წელს შვეიცარიაში მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირში ერთმანეთს შეხვდნენ: ძველი მეტოქეები ბოლესლავსკი და ნაიდორფი.

უკვე მერვე სვლაზე ლაზიერების გაცვლის შემდეგ ნაიდორფმა საზავო წინადადება მისცა მეტოქეს.

– ყაიმი გნებავთ?

– არა.

– თქვენ მოგებაზე თამაშობთ?

არა.

– რას ნიშნავს ეს! თქვენ, რა, წაგება გინდათ?

– არა, რატომ. მე, უბრალოდ, თამაშის გაგრძელება მინდა.

ორიოდე საათის შემდეგ, მდგომარეობა სრულიად გამარტივდა, დაფაზე წარმოიქმნა კუთა სრულიად საყაიმო ენდშპილი. ბოლესლავსკი ღრმა ფიქრებში იყო გართული, რამაც ნაიდორფი მოთმინებიდან გამოიყვანა.

– ნათელი ყაიმია! წამოიძახა მან.

– რა თქმა უნდა, – იყო მშვიდი პასუხი.

– კი, მაგრამ ამდენ ხანს რალაზე ფიქრობთ?

– ეხ, იცით რა – თქვა ბოლესლავსკიმ – საფიქრი როგორ არა მაქვს? ხვალ შავებით პეტროსიანთან ვთამაშობ. ვფიქრობ და ვერ მომიფიქრებია, რა ვუპასუხო, თუ თამაშს ინგლისური დასაწყისით დაიწყებს...

### წყალქვეშ „აღმოაჩინა“

28 წლის ამერიკელმა მყვინთავმა ჯიმ სტივენსმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა – მან წყალქვეშ დაჰყო 144 საათი და 7 წუთი.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტის კითხვაზე, რა შთაბეჭდილებები გამოიტანა მან ზღვაში ყოფნიდან, სტივენსმა (რომელიც ჭადრაკის ფანატიკური გულშემატკივარია და 6 დღე-ღამის მანძილზე გონებაში უამრავი საჭადრაკო პარტია გაითამაშა) განაცხადა:

– მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ შავებს ძალიან უჭირს თავის დაცვა, როგორც ესპანურ პარტიაში, ისე ლაზიერის მიღებულ გამბიტშიც...

### დამარცხების მიზეზი

ინგლისური ჭადრაკის ვეტერანმა, გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ მიმომხილველმა ბ. ვუდმა კარგა ხანია ასეთი წესი შემოიღო – როცა მოჭადრაკე პარტიას აგებს, ვუდი მყისვე ეკითხება, რაში ხედავს იგი თავისი დამარცხების მიზეზს. უკანასკნელი წლის განმავლობაში ვუდი უმეტესად დაახლოებით ასეთ პასუხებს იღებდა: „მეტოქე მაღიზიანებდა ხველებით (ხვნეშით, თავის ფხანით, ადგილზე წრიალით და ა. შ.)“, „დარბაზში დიდი ხმაური იყო“, „კბილები (თავი, წელი) მტკიოდა“, „შუქი ძალიან ძლიერი (ძალიან სუსტი) იყო“, „დაფა ძალიან პატარა (ძალიან დიდი) იყო“, „ჩემი ყურადღება დარბაზში ერთმა ქალმა მიიპყრო და ამის შემდეგ აღარ შემძლო ფიქრი“, „მე ვერ მოვახერხე მესადილა (ცუდად ვისადილე) პარტიის წინ“.

„ყველაზე დიდი ორიგინალი – განაცხადა ვუდმა – ინგლისელი დიდოსტატი მაიკლ სტინი აღმოჩნდა. მან ასეთი პასუხი გამცა: „ყველაფერი სწორად მოხდა. მეტოქე ჩემზე უკეთ თამაშობდა და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა“.

## ღიმილის დოზა



**– თქვენ ნამდვილად შავი ლაზიერი ბრძანდებით თუ ქობულეთის „ზაგარი“ მიიღეთ?**

**ვახტანგ კუციას ნახატი.**

### შორტი აკრიტიკებდა... შექსპირს

ინგლისელი ჭადრაკის ვარსკვლავი ახალგაზრდობიდანვე დიდი იმედისმომცემი გახლდათ: ჭადრაკს ხომ თამაშობდა და თამაშობდა. ფეხბურთშიც ძლიერი იყო და კრივშიც მშვენიერი მონაცემები ჰქონდა. ეს კი იყო, რომ საკუთარი განცხადებით შორტი არ მიეკუთვნებოდა „აკადემიური გენიოსების“ რიცხვს. მისი ლიტერატურის მასწავლებელი აცხადებდა, რომ შორტი „მხატვრული ნაწარმოებების ანალიზისას მეტისმეტად ხშირად იყენებს წმინდა საჭადრაკო შეფასებებს“. ასე, მაგალითად, შორტი აკრიტიკებდა... შექსპირს იმის გამო, რომ დიდი დრამატურგი „მეტისმეტად გატაცებული იყო გამბიტური თამაშით, ამასთან, მსხვერპლად სწირავდა გაცილებით მეტ პერსონაჟს, ვიდრე ეს მოქმედების განვითარებით იყო ნაკარნახევი“.

### რაზე ფიქრობდა?

გულშემატკივრები, რომლებიც სისტემატიურად ესწრებოდნენ საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებზე ხშირად უცნაური ამბის მომსწრენი ხდებოდნენ. დავით ბრონშტეინი, რომელსაც თეთრი ფიგურებით უნდა ეთამაშა, დროზე მოდიოდა სატურნირო დარბაზში. რთავდნენ საჭადრაკო საათს, მას პირველი სვლა უნდა გაეკეთებინა. გადის სამი, ხუთი წუთი. ბრონშტეინი რაღაცაზე ფიქრობს და სვლას არ აკეთებს. გადის 10, 15 წუთიც. ბრონშტეინი ისევ ფიქრობს და სვლას კვლავ არ აკეთებს. მოჭადრაკეები მიეჩვივნენ ბრონშტეინის ასეთ უცნაურ ფიქრს. ერთხელ მან პირველი სვლის წინ იფიქრა... 40 წუთი!

რაში იყო საქმე? ზოგი ამბობდა, რომ ბრონშტეინი ფიქრობდა, რა არჩევანი გაეკეთებინა, რომელი სვლით დაეწყო პარტია, რა დებიუტი გამოეყენებინა. დიახ, მაგრამ ბრონშტეინმა ხომ წინასწარ იცოდა, რომელ პარტიაში რა ფერებით თამაშობდა, რატომ ყველაფერს სახლშივე არ წყვეტდა?

როცა ამის შესახებ თვით ბრონშტეინს ეკითხებოდნენ, ისიც ვერ იძლეოდა კონკრეტულ პასუხებს, რატომ ფიქრობდა პარტიის წინ ამდენ ხანს.

**გივი გამრეკელის**
კურიოზების კოლექციიდან.

GCF ლოგ ზიჟრი
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, კახა ჩიგოგიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლიცია

# ბანდიტებს იმავე დღეს მიაგნეს

**გასული კვირის განმავლობაში საქართველოში რეგისტრირებულია 141 სისხლის სამართლის დანაშაული, რომელთაგან 115 უკვე გაიხსნა. წინა კვირასთან შედარებით, სამწუხაროდ, ჩადენილია 3-ით მეტი მკვლელობა, მაგრამ შემცირდა სხეულის დაზიანების, ყაჩაღობის, ძარცვის შემთხვევები.**

**პოლიციამ ერთ კვირაში გამოავლინა 21 ჯგუფური დანაშაული, გახსნა წინა პერიოდში ჩადენილი 9 და წინა წლებში ჩადენილი 23 დანაშაული, დააკავა 42 ძებნილი.**

შიდა ქართლში, კერძოდ, გორის რაიონში, სხვადასხვა ადგილას განლაგებულ ბენზინგასამართ სადგურებს რამდენჯერმე თავს დაესხა ავტომატითა და პისტოლეტებით შეიარაღებული ჯგუფი. ყაჩაღებმა ბენზინგასამართი სადგურის მომსახურე პერსონალსა და ბენზინის ჩასასხმელად მისულ მოქალაქეებს წაართვეს ფული, გაიტაცეს მათი ავტომანქანა.

რეგიონში გამოჩნდა კარგად შეიარაღებული და ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფება. საჭირო იყო მისი სასწრაფოდ გამოვლენა და დაკავება. შიდა ქართლის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობამ ბოროტმოქმედთა პარპაშის ალსაკვეთად შეიმუშავა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება. როგორც აქ კეთილ ტრადიციად არის დამკვიდრებული, ამ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელებაში პოლიციის თანამშრომლებთან ერთად ჩაებნენ საოლქო პროკურატურის მუშაკებიც.

ერთობლივმა ძალისხმევამ შედეგი მალე გამოიღო. სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს და პროკურატურის ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფმა მიაგნო ყაჩაღებს და დააკავა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: რამდენჯერმე ნასამართლევი, ხაშურის პოლიციის მიერ ძებნილი, ქარელის რაიონის დაბა აგარაში მცხოვრები გიორგი მღებრიშვილი, ქურდობისა და ყაჩაღობისათვის ნასამართლევი, გორში მცხოვრები დავით ყელბესაშვილი, ხულიგნობისა და ყაჩაღობისათვის ნასამართლევი კობა მაისურაძე და ქართლის სურამელი, რომლებმაც ერთ-ერთ მიმალულ თანამზრახველთან ერთად აგვისტოს პირველ რიცხვებში შეიარაღებულებმა ყაჩაღურად თავს დაესხნენ სოფელ ორთაშენში მდებარე ბენზინგასამართ სადგურს და იქ მდგომი ორი ავტომანქანა „კამაზის“ მძღოლებს წაართვეს 480 ლარი. 12 აგვისტოს შეიარაღებული ყაჩაღები თავს დაესხნენ გორში მცხოვრები ლევან კალანდარიშვილის კუთვნილი

სოფელ ბერბუკში მდებარე ავტოგასამართ სადგურს და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცეს 44 ლარი და ავტომანქანა „ვაზ-2101“. იმავე დღეს ყაჩაღები თავს დაესხნენ მინდისის გზატკეცილზე მდებარე ავტოგასამართ სადგურ „ტიბოს“, სადაც იმავე გზატკეცილის 38 ნომერში მცხოვრებ თამარ ლომსაძეს იარაღის მუქარით წაართვეს 100 აშშ დოლარი და 60 ლარი.

პოლიციამ ყაჩაღებს ჩამოართვა „ტტ“ ტიპის ორი პისტოლეტი 3 მჭიდითა და ვაზნებით, „აკს“ სისტემის ავტომატი, ერთი მჭიდითა და 30 ვაზნით, ამოღებულია ყაჩაღების მიერ გატაცებული ლ. კალანდარიშვილის კუთვნილი ავტომანქანა.

„საქართველოს რესპუბლიკის“ ამას წინანდელ პუბლიკაციაში ვწერდით, რომ იმერეთის რეგიონში კრიმინოგენული ვითარების გართულებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ მდგომარეობის გამოსასწორებლად გადამჭრელი ზომების მიღება დაავალა შსს მინისტრის მოადგილეს კახა ბაკურაძეს და იმერეთის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსს რუბენ ასანიძეს.

ერთობლივად განხორციელებულმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებმა უკვე გამოიღო პირველი შედეგები.

16 აგვისტოს შს სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს, იმერეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს, სამტრედიისა და ვანის პოლიციის განყოფილებათა შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებმა ერთობლივად განხორციელებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეს სამტრედიაში მცხოვრები გიორგი შარაშენიძე და ნასამართლევი კახა ტალახაძე, რომლებმაც სამ თანამზრახველთან ერთად 13 აგვისტოს მთახლისეხ ყაჩაღური თავდასხმა სოფელ ზემო ვანში მცხოვრებ გრიგოლ ახობაძის ოჯახზე. ყაჩაღური დაჯგუფების მიმალული სამი წევრის ვინაობა პოლიციამ უკვე დაადგინა და ინტენსიურად მიმდინარეობს მათი ძებნა.

იმავე დღეს 16 აგვისტოს, შსს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს, იმერეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოსა და ზესტაფონის რაიონის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა ერთობლივად განხორციელებული ოპერაციის შედეგად დააკავეს იმერეთის რეგიონში მოქმედი ბინის ქურდების ორგანიზებული ჯგუფი: ზესტაფონში მცხოვრები პაატა ჭუმბაძე, გოჩა კიკნაველიძე და რევაზ ბრეგვაძე.

გაბედული და პროფესიული თვალსაზრისით უნაკლო ოპერაცია განახორციელეს გურიის სამხარეო პოლიციის სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს, ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონების შესაბამისი სამსახურებისა და უმიწროების თანამშრომლებმა.

13 აგვისტოს ღამის სამ საათზე კურორტ ბახმაროში ავტომატით, გადაჭრილი კარაბინითა და ხელყუმბარით შეიარაღებული ბანდიტები თავს დაესხნენ ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიაში მცხოვრებ გურამ წულაძეს.

სამართალდამცველებმა ოპერატიულად, იმავე დღეს მიაგნეს ბანდიტებს და დააკავეს: აღმოჩნდა, რომ ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომში მცხოვრებ თენგიზ გორგაძეს, სოფელ დუაძეებში მცხოვრებ ლევან ხარაბაძეს და ქობულეთის რაიონის სოფელ ზემო აჭყვაში მცხოვრებ გია თედიძეს, ბახმაროში განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმამდე, უფრო მძიმე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. გორგაძესა და ხარაბაძეს ხულოს რაიონის პოლიცია ეძებდა 1999 წლის 26 სექტემბერს სოფელ ღორჯომში, ამ სოფლის მკვიდრის ბადრი ირემაძის მკვლელობისათვის.

ფოთის პოლიციის თანამშრომლებმა კი ორი გამომძალველი დააკავეს. 26 წლის გიორგი ჯიქია და 27 წლის გრიგოლ კალანდია შპს „წყალკანალის“ დირექტორს ვლადიმერ სხილაძეს სძალავდნენ 10 000 აშშ დოლარს, უარის თქმის შემთხვევაში მას ფიზიკური განდაგურებით ემუქრებოდნენ.

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

## სპორტი

# ევროპას- გაისამდე დავემშვიდობეთ




ბოლო ათი წლის განმავლობაში არ გვახსენდება შემთხვევა, საქართველოს საფეხბურთო კლუბებს ერთდროულად ევროპის თასების გათამაშების პირველსავე ეტაპზე განეცადოთ ფიასკო. ცხადია, ინტერტოტოს და ჩემპიონთა ლიგაში თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ მარცხის შემდეგ ჩვენი გულისყური უეფას თასისკენ იყო მიპყრობილი. ვერც აქ ივარგეს ჩვენმა რკინიგზელებმა და ვეტერინარებმა. თბილისის „ლოკომოტივი“ შინ და გარეთ ერთნაირი ანგარიშით – 0:2 დამარცხდა სლოვაკეთის „სლოვანთან“ და ევროპულ ტურნირებს ერთი წლით დაემშვიდობა, თუ, რა თქმა უნდა, ეროვნულ ჩემპიონატზე საამისო უფლებას მოიპოვებს. მისი ბედი გაიზიარა „ვიტ ჯორჯიამ“. „ბეითართან“ შინ წაგებული (0:3) მატჩის შემდეგ ვეტერინარებმა იერუსალიმელ კოლეგებთან სტუმრად უკეთ ითამაშეს, დაუზავდნენ მეტოქეს (1:1), მაგრამ ორი შეხვედრის ჯამში მათი დებიუტი ევროტურნირებზე მაინც უიღბლო აღმოჩნდა.

აქვე გაუწყებთ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩების შედეგებს:

„აშტარაკი“ (სომხეთი) – „რაპიდი“ (რუმინეთი) 1:0 (0:3),
„გორიცა“ (სლოვენია) – „ნეფთჩი“ (აზერბაიჯანი) 3:1 (0:1),
„ბუდოჩნოსტი“ ( ბოსნია) – „დრნოვიცე“ (ჩეხეთი) 0:1 (0:3),
„ვისლა“ (პოლონეთი) – „ჟელეზნიჩარი“ (ბოსნია) 3:1 (0:0),
„ტეუტა“ (ალბანეთი) – „რაპიდი“ (ავსტრია) 0:4 (0:2),
„პობედა“ (მაკედონია) – უნივერსიტატეა“ (რუმინეთი) 1:0 (1:1),
„კომიცე“ (სლოვაკეთი) – „არარატი“ (სომხეთი) 1:1 (3:2),
ცსკა (ბულგარეთი) – „კონსტრუქტორული“ (მოლდოვა) 8:0 (3:2),
„მაქაბი“ – (ისრაელი) – „სლავია“ (ბელორუსი) 0:0 (1:1),
„ტულევიკი“ – (ესტონეთი) – „ნაპრედაკი“ (იუგოსლავია) 1:1 (1:5),
„აპოელი“ (კვიპროსი) – „ტომორი“ (ალბანეთი) 2:0 (3:2),
„პარტიზანი“ (იუგოსლავია) – „სლიმა“ (მალტა) 4:1 (1:2),
„ნეფტოხიმიკი“ (ბულგარეთი) – „ომონია“ (კვიპროსი) 2:1 (0:0),
„ვადუცი“ – (ლიხტენშტეინი) – „ამიცა“ (პოლონეთი) 3:3 (0:3),
„იოკერიტი“ (ფინეთი) – მტკ (უნგრეთი) 2:4 (0:1),
„ლილესტრიომი“ (ნორვეგია) – „გლენტორანი“ (ჩ. ირლანდია) 1:0 (3:0),
„ანთალია“ (თურქეთი) – „ქიაფაზი“ (აზერბაიჯანი) 5:0 (2:0),
„ბრანი“ (ნორვეგია) – „მეტალურგსი“ (ლატვია) 1:0 (1:1),
„გომელი“ (ბელორუსი) – აიკ (შვედეთი) 0:2 (0:1),
„კორკი“ (ირლანდია) – „ლოზანა“ (შვეიცერია) 0:1 (0:1),
„ნორჩიოპინგი“ (შვედეთი) – „გოტუ“ (ფარერები) 2:1 (2:0),
„პალმსტადი“ (შვედეთი) – „ბარგორი“ (უელსი) 4:0 (7:0),
„იორგრიტე“ (შვედეთი) – „კოლრეინი“ (ჩ. ირლანდია) 1:0 (2:1),
„ბაზელი“ (შვეიცარია) – „ფოლგორი“ (სან მარინო) 7:0 (5:1),
„რუხი“ (პოლონეთი) – „ქალგირისი“ (ლიტვა) 6:0 (1:2),
„გენტი“ (ბელგია) – „აკრანესი“ (ისლანდია) 3:2 (3:0),
„ოლიმპია“ (სლოვენია) – „შერიფი“ (მოლდოვა) 3:0 (0:0),
„გრევენმახერი“ (ლუქსემბურგი) – პიკ (ფინეთი) 2:0 (1:4),
„ლიერსი“ (ბელგია) – „ეკრანასი“ (ლიტვა) 4:0 (3:0),
„რაბოტნიჩკი (მაკედონია) – „ვორსკლა“ (უკრაინა) 0:2 (0:2),
„ტორსჰავენი“ (ფარერები) – „აკადემისკი“ (დანია) 0:1 (0:8),
„ვალეტა“ (მალტა) – „რიეკა“ (ხორვატეთი) 1:1 (2:3),
„რაიო ვალეკანო“ (ესპანეთი) – „კონსტელაჩიო“ (ანდორა) 6:0 (10:0),
„ბერი“ (უელსი) – „ბოავიშტა“ (პორტუგალია) 0:3 (0:2),
„სელტიკი“ (შოტლანდია) – „ჟენესი“ (ლუსემბურგი) 7:0 (4:0),
„ვამიში“ (უნგრეთი) – „ვენდსპილსი“ (ლატვია) 3:1 დ.დ. (1:2),
„ბოჰემიანსი“ (ირლანდია) – „აბერდინი“ (შოტლანდია) 0:1 (2:1),
„ჰართსი“ (შოტლანდია) – „ვესტმანაეიარი“ (ისლანდია) 3:0 (2:0).

# განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) მიერ წარმოებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის შესაბამისად აცხადებს ტენდერს:

ნინოწმინდის რაიონი – ნინოწმინდის № 1 სკოლის კაპ. შეკეთების მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 147 ათასი ლარი);

ქ. ქუთაისი – № 3 ბაგა-ბაღის რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი:
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 115 ათასი ლარი);
– № 34 ბაგა-ბაღის რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 147 ათასი ლარი);

ქ. ვანი – ქ. ვანის საავადმყოფოს კაპ. შეკეთების მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 117 ათასი ლარი);

ზუგდიდის რაიონი – სოფ. ახალსოფლის ხიდის მშენებლობის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 126 ათასი ლარი);

ჩხოროწყუს რაიონი – ჩხოროწყუს საავადმყოფოს კაპ. შეკეთების მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 121 ათასი ლარი);

აბაშის რაიონი – სოფ. მარნის საშ. სკოლის რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 127 ათასი ლარი);

ოზურგეთის რაიონი – სოფ. მთისპირის სკოლის რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 126 ათასი ლარი);

თელავის რაიონი – სოფ. რუისპირის წყალსადენის რეკონსტრუქციის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 146 ათასი ლარი);

გურჯაანის რაიონი – სოფ. გურჯაანის სკოლის რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 129 ათასი ლარი);

ქ. წალკა – ქ. წალკის წყალსადენი სისტემის რეკონსტრუქციის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 135 ათასი ლარი);

გარდაბნის რაიონი – გარდაბნის საავადმყოფოს რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 109 ათასი ლარი);

კოდორის ხეობა – სოფ. შაბათკვარას ხიდის მშენებლობის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 134 ათასი ლარი);
– სოფ. საკენის სკოლის რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 135 ათასი ლარი).

ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ შესაბამისი ლიცენზიის მქონე კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს.

საკონკურსო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შესაბამისად:

- ნინოწმინდის № 1 სკოლა – 29 აგვისტოდან 28 სექტემბრის 14.00 სთ-მდე – ქ. ნინოწმინდის გამგეობაში;
(კონსულტაციები პროექტზე ჩატარდება ქ. ნინოწმინდის გამგეობაში 14 სექტემბერს 15.00 სთ-ზე);
- ქ. ქუთაისის № 3 ბაგა-ბაღი – 29 აგვისტოდან 28 სექტემბრის 16.00 სთ-მდე – № 3 ბაგა-ბაღის შენობაში;
- ქ. ქუთაისის № 34 ბაგა-ბაღი – 29 აგვისტოდან 28 სექტემბრის 15.00 სთ-მდე – № 34 ბაგა-ბაღის შენობაში;
- ქ. ვანის საავადმყოფო – 29 აგვისტოდან 28 სექტემბრის 12.00 სთ-მდე – საავადმყოფოს შენობაში;
(კონსულტაცია პროექტზე ჩატარდება ქ. ქუთაისის № 3 ბაგა-ბაღის შენობაში 15 სექტემბრის 13.00 სთ-ზე);
- სოფ. მთისპირის სკოლა – 29 აგვისტოდან 28 სექტემბრის 18.00 სთ-მდე – სკოლის შენობაში;
(კონსულტაცია პროექტზე ჩატარდება სოფ. მთისპირის სკოლის შენობაში 15 სექტემბრის 19.00 სთ-ზე);
- სოფ. ახალსოფლის ხიდი – 29 აგვისტოდან 29 სექტემბრის 12.00 სთ-მდე – ზუგდიდის გამგეობაში;
(კონსულტაცია პროექტზე ჩატარდება ზუგდიდის გამგეობაში 15 სექტემბრის 16.00 სთ-ზე);
- ჩხოროწყუს საავადმყოფო – 29 აგვისტოდან 29 სექტემბრის 14.00 სთ-მდე – საავადმყოფოს გამგეობაში;
- სოფ. მარნის საშ. სკოლა – 29 აგვისტოდან 29 სექტემბრის 16.00 სთ-მდე – საშ. სკოლის შენობაში;
(კონსულტაცია პროექტებზე ჩატარდება სოფ. მარნის საშ. სკოლის შენობაში 15 სექტემბრის 15.00 სთ-ზე);
- სოფ. რუისპირის წყალსადენი – 29 აგვისტოდან 29 სექტემბრის 12.00 სთ-მდე – სოფ. რუისპირის გამგეობაში;
(კონსულტაცია პროექტზე ჩატარდება სოფ. რუისპირის გამგეობაში 16 სექტემბრის 12.00 სთ-ზე):
- სოფ. გურჯაანის სკოლა – 29 აგვისტოდან 29 სექტემბრის 13.00 სთ-მდე – სოფ. გურჯაანის გამგეობაში;
(კონსულტაცია პროექტზე ჩატარდება სოფ. გურჯაანის გამგეობაში 16 სექტემბრის 14.00 სთ-ზე):
- ქ. წალკის წყალსადენი – 29 აგვისტოდან 30 სექტემბრის 15.00 სთ-მდე – ქ. წალკის გამგეობაში;
(კონსულტაცია პროექტებზე ჩატარდება ქ. წალკის გამგეობაში 16 აგვისტოს 16.00 სთ-ზე);
- გარდაბნის საავადმყოფო – 29 აგვისტოდან 30 სექტემბრის 11.00 სთ-მდე – საავადმყოფოს შენობაში;
(კონსულტაცია პროექტებზე ჩატარდება გარდაბნის გამგეობაში 16 აგვისტოს 12.00 სთ-ზე);
- სოფ. შაბათკვარას ხიდი – 29 აგვისტოდან 28 სექტემბრის 13.00 სთ-მდე – სსიფ;
- სოფ. საკენის სკოლა – 29 აგვისტოდან 28 სექტემბრის 13.00 სთ-მდე – სსიფ;
(კონსულტაცია პროექტზე ჩატარდება სსიფ-ს ოფისში 14 სექტემბერს 13.00 სთ-ზე);

კონსულტაციებზე დასწრება სავალდებულოა.

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულებაა 20 ლარი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს საკონკურსო გარანტია პროექტის საორიენტაციო ღირებულების ერთი პროცენტის ოდენობით.

წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საკონკურსო დოკუმენტების გატანის საბოლოო ვადიდან ერთი საათის შემდეგ, იმავე მისამართზე.

# განცხადება

## ქ. თბილისის მერიის საბურთალოს რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საბურთალოს რაიონის ტერიტორიის მწვანე ზოლის ექსპლოატაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე

ქ. თბილისის მერიის საქალაქო მეურნეობის საბურთალოს რაიონული სამსახური აცხადებს ღია ტენდერს საბურთალოს რაიონის ტერიტორიის მწვანე ზოლის ექსპლოატაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე.

შესყიდვის ობიექტის – შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება:

მწვანე ზოლის საერთო ფართი – 113,5 ჰა
სკვერი I კატეგორია – 51 ჰა
გაზონი II კატეგორია – 21,5 ჰა
გაზონი III კატეგორია – 41 ჰა
წითელი გზები და მოედნები – 28330 კვმ.
ფოთლოვანი ხეები – 12027 ძირი
წიწვოვანი ხეები – 11614 ძირი
ბუჩქები წიწვოვანი – 5822 ძირი
ბუჩქები ფოთლოვანი – 12126 ძირი
ბორდიურის ბუჩქები – 141326 ძირი
ვარდნარი – 3500 ძირი

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულთან გაფორმდება გენერალური ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების ზოგადი პირობებისა და ანაზღაურების წესის გათვალისწინებით. ყოველთვიური (ყოველკვარტალური) სამუშაო მოცულობები დაზუსტებული იქნება საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე საბიუჯეტო სახსრების ან სხვა ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებისათვის ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს დასაბუთებული ინფორმაცია შემდეგზე:

– მოცემული მომენტისათვის განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
– ფინანსური საქმიანობის ანალიზი ბოლო სამი წლის მანძილზე (საგადასახადო ინსპექციის მიერ დამტკიცებული ბალანსების ჩათვლით);
– ცნობა საქ. ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
– ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
– ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
– ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ საწარმოს ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

კვალიფიკაციის გასაველელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

საკვალიფიკაციო შერჩევის შემდეგ გამოვლენილ პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე.

ტენდერში მონაწილეობისათვის დაწესებული მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს, რომელიც ირიცხება ქ. თბილისის მერიის საფინანსო სამმართველოს 203827074 ანგარიშის № 001130101 სს „საქართველოს ბანკი“, კოდი 220101502.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

საკვალიფიკაციო მონაცემების მიღების ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 18 კალენდარული დღე. სატენდერო წინადადებების მიღების კონკრეტული ვადა პრეტენდენტებს ეცნობებათ საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად.

საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ადგილია ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, საქალაქო მეურნეობის საბურთალოს რაიონის სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელეფონებია: 37-06-41, 37-01-12.

## ქ. თბილისის მერიის საბურთალოს რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საბურთალოს რაიონის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებისა და საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა-გაუვნებლების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე

ქ. თბილისის მერიის საქალაქო მეურნეობის საბურთალოს რაიონული სამსახური აცხადებს ღია ტენდერს საბურთალოს რაიონის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო გატანა-გაუვნებლების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე.

შესყიდვის ობიექტის – შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება:

რაიონის საერთო ფართი – 1112000 კვმ.
მოსახვეტი ფართი I კატეგორია – 35000 კვმ.
მოსახვეტი ფართი II კატეგორია – 402000 კვმ.
ნაგავშემკრები კონტეინერები – 200 ცალი
კორპუსებში განლაგებული ნაგავშემკრები ბუნკერი – 980 ცალი.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულთან გაფორმდება გენერალური ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების ზოგადი პირობებისა და ანაზღაურების წესის გათვალისწინებით. ყოველთვიური (ყოველკვარტალური) სამუშაო მოცულობები დაზუსტებული იქნება საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე საბიუჯეტო სახსრების ან სხვა ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებისათვის ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს დასაბუთებული ინფორმაცია შემდეგზე:

– მოცემული მომენტისათვის განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
– ფინანსური საქმიანობის ანალიზი ბოლო სამი წლის მანძილზე (საგადასახადო ინსპექციის მიერ დამტკიცებული ბალანსების ჩათვლით);
– ცნობა საქ. ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
– ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
– ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
– ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ საწარმოს ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

კვალიფიკაციის გასაველელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

საკვალიფიკაციო შერჩევის შემდეგ გამოვლენილ პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე.

ტენდერში მონაწილეობისათვის დაწესებული მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს, რომელიც ირიცხება ქ. თბილისის მერიის საფინანსო სამმართველოს 203827074 ანგარიშის № 001130101 სს „საქართველოს ბანკი“, კოდი 220101502.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

საკვალიფიკაციო მონაცემების მიღების ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 18 კალენდარული დღე. სატენდერო წინადადებების მიღების კონკრეტული ვადა პრეტენდენტებს ეცნობებათ საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად.

საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ადგილია ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, საქალაქო მეურნეობის საბურთალოს რაიონის სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელეფონებია: 37-06-41, 37-01-12.

## საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება № 1

2000 წლის 4 აგვისტო — ქ. თბილისი

695 „რეგულირების ყოველწლიური საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

„კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე და 31-ე მუხლების შესაბამისად კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს „რეგულირების ყოველწლიური საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის შესახებ“ დებულება;
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიულ სამსახურს დადგენილების საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში გატარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**კომისიის თავმჯდომარე**
**ვ. აბაშიძე.**

**რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.**
**რეგისტრაციის ნომერი 320.013.004.377.**

### დებულება „რეგულირების ყოველწლიური საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის შესახებ

მოცემული დებულება შემუშავებულია „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად და განსაზღვრავს რეგულირების ყოველწლიური საფასურის ოდენობასა და გადახდის წესს.

რეგულირების ყოველწლიური საფასური წარმოადგენს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში კომისია) ნორმატიული აქტით განსაზღვრულ საფასურს, რომელიც კომისიის ბიუჯეტის ფორმირების ერთ-ერთი წყაროა, უშუალოდ არის დაკავშირებული კომისიისათვის კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციის შესრულებასთან და არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს.

#### მუხლი 1. დებულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებანი

ამ დებულების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

1) პირი – ფიზიკური და იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად;
2) ლიცენზიის მფლობელი – პირი, რომელსაც ამ დებულების დამტკიცების მომენტისათვის მინიჭებული აქვს უფლება განახორციელოს ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობა.
3) შემოსავალი – საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი (დღგ-ს გარეშე) და სხვა შემოსავლები ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ხარჯების დასაფარავად (სუბსიდია, საბიუჯეტო ასიგნებები და ა. შ.);
4) ლიცენზია – სპეციალური ნებართვა, რომელიც ლიცენზიის მფლობელს აძლევს უფლებას განსაზღვრული პირობების დაცვით კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში განახორციელოს საქმიანობა;
5) საანგარიშო პერიოდი – 3 თვე, 6 თვე, 9 თვე, წელიწადი.

#### მუხლი 2. საფასურის გადამხდელები

რეგულირების ყოველწლიური საფასურის გადამხდელები არიან ლიცენზიის მფლობელები.

#### მუხლი 3. საფასურის გამოანგარიშება

1. საფასური გამოიანგარიშება კალენდარული წლის განმავლობაში პირის შემოსავლიდან.
2. შემოსავლებს განეკუთვნება, როგორც ფულადი, ასევე სხვა ფორმით მიღებული შემოსავალი.
3. საფასურის ოდენობა გამოიანგარიშება ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან ყოველი საანგარიშო პერიოდისათვის, ფაქტიურად მიღებული შემოსავლიდან გამომდინარე.
4. გასული საანგარიშო პერიოდის მიხედვით კომისიის ანგარიშზე ჩარიცხული თანხები ჩაითვლება ყოველი მომდევნო საანგარიშო პერიოდის მიხედვით გამოანგარიშებული საფასურის თანხაში.

#### მუხლი 4. საფასურის ოდენობა

რეგულირების ყოველწლიური საფასური განისაზღვრება 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით პირის შემოსავლიდან.

#### მუხლი 5. საფასურის გადახდის ვადები და გაანგარიშების წარდგენის წესი

1. ლიცენზიის მფლობელები ვალდებულნი არიან ჩარიცხონ კომისიის ანგარიშზე რეგულირების ყოველწლიური საფასური საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვეში – 20 აპრილამდე, 20 ივლისამდე, 20 ოქტომბრამდე და 20 იანვრამდე.
2. პირები, რომლებიც არიან რეგულირების ყოველწლიური საფასურის გადამხდელები, ვალდებულნი არიან საფასურის გადახდისათვის დადგენილ ვადაში წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია ამ დებულების დანართში მოცემული ფორმით.
3. საფასურის გადამხდელის მიერ ბალანსში ასახული წლიური შემოსავლის დაზუსტების შემთხვევაში კორექტირებას ექვემდებარება რეგულირების საფასურის თანხაც.

#### მუხლი 6. გადამხდელთა პასუხისმგებლობა

რეგულირების ყოველწლიური საფასურის გადაუხდელობისათვის ან გადახდის ვადების დარღვევისათვის საფასურის გადამხდელი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### მუხლი 7. დამატებითი დებულებები

1. იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში წარუდგენს კომისიას ინფორმაციას რეგულირების ყოველწლიური საფასურის ოდენობაზე.
2. პირის მიერ საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში იგი ვალდებულია საქმიანობის შეწყვეტიდან 30 დღის განმაელობაში კომისიას წარუდგინოს ინფორმაცია რეგულირების ყოველწლიური საფასურის ოდენობაზე.

#### მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

1. 2000 წელს ლიცენზიის მფლობელები რეგულირების ყოველწლიურ საფასურს გადაიხდიან ყოველთვიურად 20 რიცხვამდე გასული საანგარიშო პერიოდის ფაქტიური შემოსავლებიდან გამომდინარე.
2. 2000 წლის საანგარიშო პერიოდს წარმოადგენს 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდი.

**დანართი № 1**

**საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია**

**რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშება**

........................................................
(საანგარიშო პერიოდის დასახელება)

........................................................
(პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი)

.......................... ..........................
(გადამხდელის დასახელება) (ტელეფონის ნომერი)

| | |
|---|---|
| 1. შემოსავალი | |
| 2. რეგულირების საფასური – | |
| 1.სტრიქონის 1 პროცენტი | |
| 3. ფაქტიურად გადახდილია | |
| 4. გადასახდელი თანხა საანგარიშო | |
| პერიოდში (სტრ. II – სტრ. III). | |

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ეს სურათი გადაღებულია 1937 წელს აბაშაში: არიან ქეთევან აბაშიშვილი, თამარ შაედათუაშვილი და მარო ჯაბიშვილი.

სურათი მოგვაწოდა ქეთი გელაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*მკითხველებს, ვისი მოწოდებული ფოტოებიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოაკითხონ დედნებს.*




**ნიკოლოზ ბარათაშვილი** – სიცოცხლეში ბედკრული პოეტი, სიკვდილის შემდეგაც უიღბლო გამოდგა; 1845 წელს იგი განჯაში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს, შემდგომ, 1893 წელს, დიდუბის პანთეონში გადმოასვენეს, 1938 წლის 15 ოქტომბერს კი მთაწმინდაზე მიუჩინეს ადგილსამყოფელი.

**ყოფილ საბჭოთა კავშირში** ყოველწლიურად 80 ათასზე მეტი დასახელების წიგნი და ბროშურა გამოდიოდა და მათი რაოდენობა 2 მილიარდ ეგზემპლარს აღემატებოდა. ჟურნალების წლიური ტირაჟი შეადგენდა 3,5 მილიარდ ეგზემპლარს, გაზეთებისა კი – 40 მილიარდზე მეტს. ყოველწლიურად კი ტიპოგრაფიიდან გამოდიოდა 6 მილიონი ეგზემპლარი წიგნი და ბროშურა, 10 მილიონი ჟურნალი და 110 მილიონი გაზეთი.

**ამერიკელები ყოველწლიურად** ეროტიკული ვიდეოფილმების, წიგნების, ჟურნალებისა და ტექნიკისათვის 4-დან 6 მილიარდამდე დოლარს ხარჯავენ. ამ პროდუქციაზე მასობრივი მოთხოვნილებაა.

**თბილისში,** სახელგანთქმული დროის სატარებელი ადგილი – ორთაჭალის ბაღები, გიორგი XII ეკუთვნოდა, მეფის გარდაცვალებისა და მისი ვაჟის – დავით ბატონიშვილის პეტერბურგში გადასვლის შემდეგ, ეს ბაღები არქიეპისკოპოს დორითეოს ფიცხელაურის ხელში გადავიდა.

**ჩვენმა თანამედროვემ,** ინდოეთში მცხოვრებმა, ვინმე ჯივან სინხმა, თავის შეყვარებულს წერილი მისწერა, რომელიც 10 მილიონი სიტყვისაგან შედგებოდა. ამისათვის მას დასჭირდა 240 მეტრი ქაღალდი, 111 ავტოკალამი და 7 თვის შრომა. „ბარათი" თითქმის 8 კილოგრამს იწონის.

## სანთელი

# ორიოდე სიტყვა 50 წლის გოგი ლომიძეზე

დიდად საინტერესო, მნიშვნელოვანმა ხელოვანმა გოგი ლომიძემ და მე სამ წელიწადზე მეტ ხანს ვიმუშავეთ ერთად. მანამდე ერთმანეთს პირადად არ ვიცნობდით. როცა მას ვუთხარი, მე მამაშენისგან, ბატონ ანდროსგან ბევრი სითბო მახსოვს-მეთქი, სათვალის იქით ვითომ მიმალული თვალები აუციმციმდა: – რაო, თქვენ ანდროს იცნობდით? ბატონ ანდროს, როგორც მწერალს, მოთხრობებისა და ნოველების „უძველესი ძალის", „მშობლიური მიწის", რომანის „ზღვასა და ხმელეთზე", „ელდარის გზის", „შუქურების" ავტორს და, როგორც ფაქტიურად პირველ ნაღდ მარინისტ მწერალს და, ამავე დროს, არაორდინარულ, ვაჟკაც პიროვნებას, საკმაოდ ახლოს ვიცნობდი-მეთქი, ეს ასეც იყო. და ამან თითქოს მყისვე სიმპათიურად განგვაწყო ერთმანეთის მიმართ.

მე არ ვპოზიორობ: ვწითლდები, როცა მწერალს მეძახიან. რატომ? იმიტომ, რომ დაახლოებით მაინც ვიცი, მწერლობა რაცაა. ყოველ შემთხვევაში, წიგნის კაცი ვარ და გვარიანი ბიბლიოთეკაც მაქვს. საბედნიეროდ, ბევრ ქართულ ოჯახშია შესაძლებლობისდაგვარად აუცილებელი ბიბლიოთეკა, მაგრამ, ბატონებო, ბევრს არ მოეხსენება, რომ სწორედ გოგი ლომიძის, კარგა ხანს გამომცემლობა „მეცნიერების" მთავარი მხატვრის მიერ არის გაფორმებული ამ გამომცემლობის მიერ ჩვენთვის ბოძებული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეული, ზურაბ კიკნაძის „შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი" და მისივე „საუბრები ბიბლიაზე", გივი ჟორდანიას „დაბრუნებული საუნჯე", ვახტანგ ლიჩელის „ძველი ვანი", „წიგნი ძუელისა აღთქმისანი", ილია ანთელავას „დავითისა და თამარის სახელმწიფო" და ბევრი სხვა.

ჩვენ, ასაკით გოგი ლომიძეზე უფროსთაც და, რაც მთავარია, ჩვენს მომდევნო თაობებსაც, ამის ცოდნაც და დაფასებაც გვმართებს.

იმ სიტყვის დაფასებაც გვმართებს, რომელიც გოგი ლომიძემ დაზგურ გრაფიკაში, გრაფიკულ დიზაინში, ფერწერაში (ნატურმორტები, პეიზაჟები, პორტრეტები) თქვა.

...ახლა გოგი ლომიძეს, ყველაფერთან ერთად, მადლობა მინდა მოვახსენო მისი იმ ფერწერული ნამუშევრისთვისაც, რომელიც გულითადი ავტოგრაფით მიძღვნა, რომელიც ჩემს სამუშაო მაგიდასთან მიკიდია. მისი ავტორის ნათელი სულის გამოსხივებას მე, ჩემი ოჯახის წევრებს და ჩვენს სტუმრებსაც ეს ნახატიც დღენიადაგ გვახსენებს.

**ჯუმბერ თითმერია.**

**P. S. 28 აგვისტოს, 19 საათზე გალერეა „TMS"-ში გაიხსნება გოგი ლომიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომელიც 2 სექტემბრამდე გაგრძელდება.**

## რეგიონი

### მართლმადიდებლები ხმას იმაღლებენ

#### იეღოველები ზუგდიდში იკრიბებიან

დიდი ხანია სამეგრელოში იეღოველთა სექტამ იმძლავრა, მაგრამ მის წინააღმდეგ ოფიციალური სტრუქტურები ხმას არ იმაღლებენ. არადა, იეღოველთა მთავარი კონგრესი ზუგდიდის რაიონში დანიშნეს. მათი მიზანია მართლმადიდებლური სარწმუნოების მოშლა, რასაც ქართველი ხალხი ყოველთვის ხმალამოღებული იცავდა.

ქრისტიანული სარწმუნოების სიყვარულის, ერისა და ბერის ერთად დგომის გამოხატულება იყო 23 აგვისტოს ზუგდიდის ცენტრში, ბულვარში აღმართულ ჯვართან გამართული მიტინგი, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატიის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის დემურ ანთიას თაოსნობით გაიმართა. აღსანიშნავია, რომ მიტინგის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. სიტყვებით გამოსულებმა მიტინგის მონაწილეებს გააცნეს იეღოველთა ანტიქრისტიანული ჩანაფიქრი და მიუთითეს საწინააღმდეგო ზომების მიღების აუცილებლობაზე.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ზუგდიდში საზოგადოებრივი აზრი იეღოველთა საწინააღმდეგოა. რაიონში მათი მიმდევარი დაახლოებით ათასი კაცია და ისინი მაინც თავისებურ ამინდს ქმნიან და ახლა აქ სრულიად საქართველოსაც ეპატიჟებიან.

**ოდიკ ძუხილავა.**
„სრ" საკ. კორ.

## ხსოვნა

### კარლო ცქიტიშვილი



გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მსოფლიო ისტორიის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზირებული საბჭოს წევრი **კარლო ვარლამის ძე ცქიტიშვილი.** იგი ამავდროულად იყო კულტურის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი, 15 წლის ასაკში მოხალისედ წავიდა სამამულო ომში, სადაც დაჯილდოვდა მრავალი, მათ შორის საზღვარგარეთის ორდენებითა და მედლებით, სწორედ სამამულო ომის თემა იქცა შემდგომში მისი სამეცნიერო კვლევის საგნად. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1953 წლიდან იწყება მისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობა კოჯრის სკოლა-ინტერნატიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტამდე, 1972-1977 წლებში კითხულობდა ლექციების კურსს მეორე მსოფლიო ომის ისტორიისა და ისტორიოგრაფიის პრობლემებზე, ბერლინის, ლაიფციგის და გრაიფსვალდის უნივერსიტეტებში.

წლების განმავლობაში მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ-საბჭოთა სამუშაოზე.

კ. ცქიტიშვილის კალამს ეკუთვნის 180-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 38 მონოგრაფია, რომლებშიც წარმოაჩინა კავკასიის ხალხთა წვლილი მეორე მსოფლიო ომში; ამ ნაშრომებმა სამეცნიერო აღიარება მოიპოვა ჩვენშიც და საზღვარგარეთაც.

წავიდა ჩვენგან სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, გულისხმიერი და ერთგული მეგობარი, ყველასათვის თანაბრად ძვირფასი და საყვარელი პიროვნება. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთა მეხსიერებაში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი.**

### მარიამ (მარიკა) მდინარაძე-სიხარულიძე



გარდაიცვალა ქართული ხალხური სიმღერებისა და ინსტრუმენტების შესანიშნავი მცოდნე და შემსრულებელი, ცნობილი ქართველი მომღერლისა და ლოტბარის გიორგი სიხარულიძის მეუღლე. ამ ღვაწლმოსილმა მუსიკოს-პედაგოგებმა ქ. ქუთაისში აღზარდეს არაერთი თაობა ხალხური მუსიკოს-შემსრულებლებისა, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ მამულიშვილურ საქმეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ცალკე უნდა აღინიშნოს ქალბატონ მარიამის განუმეორებელი და ულამაზესი კრიმანჭული, რომელსაც თავის დროზე დიდი შეფასება მისცა ცნობილმა მოღვაწემ არტემ ერქომაიშვილმა.

განსაკუთრებულია ქალბატონ მარიამის როლი შვილებისა და შვილიშვილების აღზრდაში. იგი გახლდათ ცნობილი ქართველი მუსიკოსების გომარ და ვიტალი სიხარულიძეების დედა.

**აღზრდილები.**

### ქეთევან სიჭინავა



ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ აკად. ლ. შ. ლავითაშვილის სახ. თბილისის 57-ე საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი, ქ-ნი **ქეთევან სიჭინავა** გამოაკლდა.

ჩვენო ქეთინო, სამწუხაროდ, თქვენს გარეშე შევხვდებით ახალ სასწავლო წელს, რომელიც გამორჩეულად გიყვარდათ. გული ვერ იტევს უთქვენობით გამოწვეულ მწუხარებას. მუშაობის პროცესში შესანიშნავად ახერხებდით და იტევდით უზარმაზარ სიყვარულს, სიხარულს, სიკეთესა და სათნოებას ერთად. ვინ იცის, რამდენი ლამაზი ფიქრი და ოცნება გაგყვათ თან, რომელთაგან უმთავრესი თქვენს დასა და დისშვილებს ეკუთვნოდა.

გაგვიძნელდება უთქვენოდ, ქ-ნო ქეთინო, მაგრამ, რადგან უზენაესის ნება ასეთი იყო, თქვენი ნათელი სახება ყოველთვის იქნება ჩვენსა და მოსწავლე-ახალგაზრდობაში, რომელთა აღზრდას რამდენიმე ათეული წელი შეალიეთ.

თქვენი ნათელი სახება ყოველთვის იტრიალებს ჩვენს შორის. ღმერთმა დაამკვიდროს თქვენი წმინდა და ამაღლებული სული სამარადჟამო სასუფეველში.

**57-ე საშ. სკოლის პედკოლექტივი.**

საქართველოს გენერალური პროკურატურა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა იმერეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორი

ხაბა შურცელაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს გენერალური პროკურატურა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული იურისტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რევაზ ჭოლოშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## ღიმილის დოზა



**ფეხსაცმლის** მაღაზიაში შედის კაცი და გამყიდველს ეუბნება:
– მე მინდა ენახო იაფი, გამძლე და ლამაზი ფეხსაცმელი.
– მეც, – უპასუხებს გამყიდველი.

* * *

– **გახდომის** უებარი საშუალება თუ იცით?
– ვიცი: არ ჭამოთ უზმოზე.

* * *

**დაბინტული** კაცი საავადმყოფოში მიიყვანეს, მედდა ანკეტას ავსებს და ეკითხება:
– ცოლიანი ხართ?
– არა, ეს ავარიის შედეგია.

* * *

**კაცი** ექიმთან მივიდა:
– ექიმო, გამუდმებით ჩემს თავს ველაპარაკები...
– ნუ ნერვიულობთ, თქვენ გამონაკლისი არა ხართ, მილიონობითაა თქვენნაირები.
– მაგრამ ვერც კი წარმოიდგენთ, რა გაუთავებელი ლაპარაკი ვიცი...

* * *

**ქალი** ექიმთან მივიდა, გაიხადა და გინეკოლოგიურ სავარძელში ჩაჯდა.
– ზევით, – ეუბნება თეთრხალათიანი კაცი.
ქალმა აწია ზევით ფეხები.
– ზევით, ზევით! – გაუმეორა თეთრხალათიანმა.
– მეტი არ შემიძლია, ექიმო!
– გინეკოლოგი ზევითაა, აქ საპარიკმახეროა...

* * *

**გიდი ექსკურსიაზე:**
– ახლა კი, თუ ჩვენი ძვირფასი ქალბატონები ერთი წუთით მაინც გაჩუმდებიან, თქვენ გაიგონებთ ნიაგარის ჩანჩქერის გრუხუნს.

* * *

**ბევრი** უცოლო მამაკაცი ოცნებობს ლამაზ, ჭკვიან და ყურადღებიან ცოლზე.
ბევრი ცოლიანიც.

* * *

**ზის** კურდღელი და რაღაცას წერს. ჩაურბინა მელამ:
– რას წერ?
– დისერტაციას.
– რაზე?
– იმაზე, თუ როგორ ჭამენ კურდღლები მელიებს.
– რას რომავ?
– წამოდი, გაჩვენებ.
ისევ ზის კურდღელი და რაღაცას ისევ წერს. ჩაურბინა მგელმა:
– რას წერ, ყურცქვიტა?
– დისერტაციას თემაზე – „როგორ ჭამენ კურდღლები მგლებს".
– შენ ხომ არ გადაირიე?!
– წამოდი, გაჩვენებ.
წაყვება. ცოტა ხანში ჩამოძუნძულდება დათვი. გამეორდება იგივე დიალოგი და დათვსაც წაიყვანს.
ბოლო სურათი: გამოქვაბულთან წევს ლომი და წინ მელიების, მგლების და დათვების ძვლების გროვა უყრია.
მორალი: მთავარი დისერტაციის თემა კი არ არის, არამედ ის, თუ ვინ არის დისერტაციის ხელმძღვანელი.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 3. ქალაქის, სიმაგრის, არმიის და სხვა გარემოცვა მტრის ჯარების მიერ. 5. ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მასწავლებელი. 7. საქართველოს ფულის ერთეული. 8. წარმოდგენა, გამართული მისი ერთ-ერთი მონაწილე მსახიობის პატივსაცემად. 9. პირი, რომელიც კამათში, პაექრობაში გამოდის ვისიმე მოსაზრების, ვისიმე დასაბუთების წინააღმდეგ. 10. ფრანგი კინომსახიობი ქალი. 13. ლირიკული, უპირატესად სატრფიალო პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში. 15. გათენება, გარიჟრაჟი. 17. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა. 19. იტალიელი კომპოზიტორი. 21. მრავალწლოვანი ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე. 22. მოუმზადებლად, სახელდახელოდ თქმული ლექსი, – ექსპრომტი. 25. XIX ს-ის ფრანგი მწერალი. 27. ავადმყოფი თავისი მკურნალი ექიმის მიმართ. 28. სწორი მიმართულებიდან გადახვევა (მაგ. გემისა, თვითმფრინავისა და სხვ.). 29. მამაკაცის საჩიხიანი რბილი ქუდი. 30. სახელმწიფო ვესტ-ინდოეთში. 31. კათოლიკური დედათა მონასტრის წინამძღოლი.

**შვეულად:** 1. პაექრობა. 2. კარელია-ფინეთის ხალხური ეპოსი. 3. საერთაშორისო გამოფენა ან ფესტივალი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება. 4. პოეტური ხერხი – ლექსის ტაეპში ერთი და იმავე თანხმოვნის რამდენჯერმე გამეორება. 5. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში. 6. ე. წ. „მცირე ფორმების" ხელოვნება, რომლის ძირითადი სახეა სხვადასხვა ნომრისაგან შედგენილი კონცერტი. 11. სასტუმროს მოსამსახურე, რომელიც თვალყურს ადევნებს წესრიგს შესასვლელსა და ვესტიბიულში და მისთ. 12. სიდიდით მეორე კონტინენტი ევრაზიის შემდეგ. 14. ქალის თავსაბურავი, – პირბადე. 16. დრამატული ან საოპერო ნაწარმოების აქტებს შორის ჩართული კომიკური ხასიათის სცენა ან პიესა. 18. სოფელი ჭიათურის პლატოზე. 19. ქალაქი საფრანგეთში. 20. სამგლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები ორკესტრისა და გუნდისათვის. 23. შემოქმედებითი წარმოსახვა. 24. ქვეყნის ნაწილი დას. ნახევარსფეროში. 26. ფილოსოფიური მოძღვრება მორალის, ზნეობის – როგორც საზოგადოებრივი შეგნების ერთ-ერთი ფორმის შესახებ.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა.**

**19 აგვისტოს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ეკოსეზი. 4. კუბრიკი. 10. სატირა. 11. კარეტა. 12. ლომბერი. 13. ქლიბი. 15. ნუარე. 17. ფრაკი. 19. კაკაბი. 20. ისლამი. 23. ისანი. 25. მესიე. 27. სალტე. 31. ლეგენდა. 32. რანტიე. 33. ლუგელა. 34. იადონი. 35. ბრაუნი.

**შვეულად:** 2. კოტეჯი. 3. ემალი. 5. ბუკია. 6. კვერნა. 7. ასპექტი. 8. ლაბადა. 9. მალხერო. 14. ბაიკალი. 16. უკრაინა. 17. ფრიზი. 18. იმირი. 21. კომფორტი. 22. სტენდალი. 24. ასკეტი. 26. სტენდი. 28. ლიდერი. 29. ალეკო. 30. ბალთა.

## ტელევიზია — შაბათი, 26 აგვისტო

10.00 დილის პაემანი 11.30 „ეკო-დაიჯესტი" 11.50 „პირისპირ, დენის" 13.05 ზღვარი 13.55 ეძიე ქალი 14.15 დოკ. პროგრამა 15.00 „ვოსტნიკი" 15.15 „რეგიონი" 15.35 „ჩემი ცხოვრება" 17.30 „რაც შევიცანი" - გ. ხუხაშვილი 18.00, 20.00, 00.00 „მოამბე" 18.15 სატ. ფილმი „მთის ცეკვები" 18.25, 20.45 უ-თუ-ოდ 18.30 მღერის ნ. სურგულაძე 19.20 სტადიონი 19.40 „ბასტი-ბუბუ" 20.55 „მაესტრო" 21.55 „დრიბლინგი" 22.45 კონცერტი 23.40 „ულტრა" 00.10 „ბოშათა ჟამი".

19.00 ინფორმაცია 19.30 „საზღვაო პოლიცია" 20.20 მულტფილმები 20.40 „შუაღამის კოვბოი" 22.30 ახლო ხედი 22.40 „შემდეგი გაჩერება – საოცრებათა ქვეყანა".

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 მულტსერიალი 10.40 საბავშვო ფილმი 12.00 მუსიკა 12.15 „კოლომბო" 12.45 სიმფსონები 13.15 „წითელი და შავი" 14.00 მხ. ფ. 18.00, 01.00 კურიერი 18.20 „კომპიუტერული ომები" 18.40 „რობინზონების ოჯახის თავგადასავალი" 19.10 დოკ. ფ. 20.05 „სიყვარულის ერთგულება" 21.00 კურიერი 22.00 „უდანაშაულო". 01.10 „წითელი ფეხსაცმლის დღიურები" 01.40 ღამის ჯაზი.

**იბერია** 09.00 ნახ. ფ. 09.10, 22.25 „ალსავალი" 09.15 სტუდიადიალოგი 10.00 „ქალაქი" 10.25 ქართული პანგები 10.35 „ყველა ჩემი შვილი" 11.20 მხ. ფ. 19.00, 22.00 მუს. ტალღა 19.20 ნახ. ფ. 19.45 მუს. ტალღა 20.45 ძ. პანგები 21.15 „სახეები" 21.30 მრწამსი 22.30 მხ. ფ. 00.35 „ნოსტალგია" 00.40 მხ. ფ. „ოვაცია".

12.00 „ქვირფასო, ჩვენ თავი დავიპატარავეთ" 13.10, 14.45, 17.45 მუსიკა 13.15 „ყველა ამბობს, შენ მე მიყვარხარ" 14.55 „კაზინო „როიალი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღე" 17.15 დოკ. ფ. 18.00 „მსოფლიო სპორტი" 19.15 „ცარიელი ბინა". 21.00 „ვარსკვლავები". 22.00 „ძმა-2" 00.20 „დღის მიწურულს".

**ევრიკა** 10.00 მულტფილმები 10.30 „თეთრი მგლები" 12.00 მუსიკალური კოლაჟი 12.15 „პარისკაცი" 19.00 თქვენი ადვოკატი 20.00 „თინეიჯერი" 20.45 „თქვენი პირველი ნაბიჯები" 21.00 „ქესტი" 21.30 „დაგვიანებული შურისძიება" 00.10 მუსიკალური კოლაჟი 00.15, „სასაუზმე „ბუდაპეშტი".

08.00 „ტონიკი" 10.30 „ერთი შეხედვით" 12.35, 16.30, 19.15, 21.00, 23.00, 00.45 კლიპ-მიქსი 13.00 მულტფილმი 14.40 „ყველაზე სათნო და მიმზიდველი" 18.00 მულტფილმები 19.30 „პოირვკი ჯუნგლებიდან" 21.15 „ტანგო და კეში" 23.15 „უნუგეშო ტყუილი" 01.00 „ვირთხების ბუნაგი" 02.20 ნონ-სტოპი.

09.00 საინფორმაციო პროგრამა 09.15, 18.15 მულტფილმი 09.40 „ქორწინების ჩვევა" 11.40 „ლიმონი და ლიმონათი" 12.50, 00.10 მუსიკა 13.10 „შურისძიების კანონი" 14.30, 18.45 „დისქავერი" 15.55 „სისხლი და ხორცი" 18.00 საინფორმაციო პროგრამა 21.00 „ბელისიმო" 21.30 „არმაგედონი" 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.30 „ციმბირელი დალაქი".

09.30 „დღე" 19.00 მულტფილმები 20.00 „რაც გინახავს, ველარ ნახავ" 21.20 დოკ. ფ. 21.50 ქართული მელოდიები 22.00 „დღე" 22.35 „რენდი" 23.00 „იდეალური საქმარო" 01.00 დოკ. ფ. 01.35 მუსიკალური კოლაჟი 01.45 „ყველაფრისთვის მზადყოფნი" 03.25 გასართობი პროგრამა 03.45 „მწარე მთვარე".

## თანადგომა

# პრობლემების მქონე მოზარდების ადაპტაციისათვის

ბოლო დროს საქართველოში მომძლავრდა მესამე სექტორი; მომრავლდნენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა სახის დახმარებას უწევენ საქართველოში მოქმედ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ერთ-ერთი მათგანია ამერიკული ორგანიზაცია „საერთაშორისო ხელოვნებისა და განათლების ფონდი".

მისი მიზანია დსთ ქვეყნებისათვის სასწავლო ტრეინინგების ორგანიზება და ისეთი პროგრამების შემუშავება, რითაც ეკონომიკურ და სოციალურ დახმარებას გაუწევენ დსთ-ში შემავალი ქვეყნების მოსახლეობას.

აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საქართველოს ელჩის მეუღლესთან თამრიკო ჯაფარიძესთან ერთად შეიმუშავეს პროექტის **Community connections"**, რაც შეზღუდული უნარის მქონე ბავშვთა განათლებასა და ინტეგრირებული სწავლების დანერგვას ითვალისწინებს საქართველოში (პროექტის დირექტორია ქეთი გუროვა). პროგრამა დააფინანსა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა.

უნარშეზღუდულთა პრობლემებზე მომუშავე ამერიკის განათლების ექსპერტები: ელენა რომანოვა, ბონი ბიირსი, ჯუნი მური, ლინდა შეფარდი და პეტი სმიტი საქართველოში ერთკვირიანი სტუმრობისას შეხვდნენ საქართველოს განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, პარლამენტის დედათა და ბავშვთა, ინვალიდთა ქვეკომიტეტის წარმომადგენლებს, მოინახულეს კასპის ბავშვთა სახლი, თემქის მე-3 საავადმყოფო და სხვა, ინდივიდუალური შეხვედრები მოაწყვეს თავისებურად განვითარებული ბავშვების მშობლებთან, ამ სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პედაგოგებთან, შეისწავლეს მათი პრობლემები, საჭიროებები, გაუზიარეს საკუთარი გამოცდილებები, აჩვენეს ამერიკიდან ჩამოტანილი ვიდეომასალა და მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

მათ მიერ წამოწყებული საქმიანობა წინგადადგმული ნაბიჯია სხვადასხვა პრობლემების მქონე მოზარდთა განათლებისა და საზოგადოებაში ადაპტაციის სფეროში.

**მაია ასაკაშვილი**

ფირმა „დარიალი" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ მოგვმართოთ 2 კვირის განმავლობაში, განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.
ტელ: 69-20-48
18 საათიდან 23 საათამდე.

გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი
„საქართველოს რესპუბლიკა"
შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დედაქალაქში), 15,6 ლარი – რეგიონებში;
სამი თვით, შესაბამისად, – 45 და 46,8 ლარი;
ექვსი თვით – 90 და 93,6 ლარი.
გაზეთის ინდექსია 66434.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოგუშლია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
გიორგი ლალიაშვილი.
ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.